

"ყიფშიძელები" მორატორიუმის გამოცხადებას ითხოვენ
A2



ჯაზფესტივალის მოკლე ცნობარი
A6



ქართველი პრინცი, რომელმაც საფრანგეთი გააოცა
A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 20 ივნისი, 2006 წელი. №135 (1287) | ფასი 50 თეთრი

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი
C2

**ამბები**

გზა მარქსიზმის იდეოლოგიიდან პრემიერ-მინისტრობამდე
A2

**რევიუ**

თავისუფლებისა და სიყვარულის ზეიმზე
A6

"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:
**"SLP-01F", "კასბი-02ფ" და "მერკური-180ფ"**
(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).
**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი**

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

**ამინდი**

| | 20/06 | 21/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 36 |
| ბათუმი | 29 | 32 |
| სოხუმი | 30 | 31 |
| ქუთაისი | 33 | 35 |
| გორი | 30 | 31 |
| ზუგდიდი | 32 | 34 |
| სამტრედია | 33 | 35 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7760 |
| ევრო | 2.2366 |
| ბრიტანეთ სტერლ. | 3.2744 |
| რუბლი | 0.0657 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| საზოგადოება | A 8 |

# მოულოდნელი ვიზიტი სოხუმში

## აშშ გააქტიურდა

*აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მრჩეველი მეთიუ ბრაიზა და საქართველოში აშშ-ს ელჩი ჯონ ტეფტი გუშინ მოულოდნელი ვიზიტით აფხაზეთში ჩავიდნენ. აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, სოხუმში ამერიკელ დიპლომატთა ვიზიტი დაგეგმილი არ იყო და მათივე ინიციატივით გაიმართა.*

**"აფხაზურ "მომავლის გასაღებში" და ქართულ "საგზაო რუკაში" არის იდეები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ კონფლიქტის დარეგულირების საფუძვლად,"** - აღნიშნული განცხადება აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მრჩეველმა მეთიუ ბრაიზამ გუშინ სოხუმში ვიზიტის დროს გააკეთა.

ბრაიზასთან ერთად სოხუმში აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტიც ჩავიდა. ამერიკელებმა აფხაზურ მხარესთან ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებათა პროცესის მიმდინარეობა განიხილეს.

დელეგაციის წევრები გუშინ სერგეი ბაგაფშს შეხვდნენ.

**"ჩვენ აფხაზეთში შექმნილი ვითარება, ასევე სოხუმისა და თბილისის ურთიერთობები განვიხილეთ. აფხაზური მხარე მოლაპარაკებათა პროცესის განვითარების მომხრეა და ეს ჩვენ ნათლად დავინახეთ. თუმცა, სტატუსთან დაკავშირებული საკითხები სოხუმში კვლავინდებურად მტკივნეულად აღიქმება,"** - აღნიშნა მეთიუ ბრაიზამ სერგეი ბაგაფშთან საუბრის შემდეგ. ამასთან, ამერიკელმა დიპლომატმა დასძინა, რომ აფხაზური მხარისგან მან კონსტრუქციული წინადადებები მოისმინა, **"რაც შეიძლება იმის მანიშნებელი გახდეს, რომ "მხარეები საერთო ენას გამონახავენ"**.

**"აფხაზურ მხარეს ჩვენ ვურჩიეთ, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, თუ აფხაზეთი ევროპასთან ეკონომიკურ კავშირებს გააღრმავებს,"** - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მრჩეველმა აფხაზ ჟურნალისტებთან საუბრისას.

ბრაიზას გუშინ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის გაღრმავებული ურთიერთობების კომენტირებაც მოუხდა. **"მთავარია, რომ ამ სამ რესპუბლიკას სამშვიდობო ინიციატივები ამოძრავებდეს და მათი დიალოგი კონსტრუქციული იყოს,"** - მიაჩნია მას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარლამენტი და დიდი ფეხბურთი

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის ბოლო პლენარული კვირის დღის წესრიგი საკმაოდ გადატვირთულია: 20-23 ივნისს დეპუტატებს 100-ზე მეტი კანონპროექტი აქვთ განსახილველი. ამიტომ, სავარაუდოა, რომ კანონმდებლებს "ზენორმატიული სამუშაოს" შესრულება მოუწევთ. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ივლისის შუა რიცხვებისთვის რიგგარეშე სესიის ჩატარებას გეგმავს, რომელიც დაახლოებით ორი კვირა გაგრძელდება.

**"ვფიქრობ, აგვისტოში ჩვენც დავისვენებთ და მოსახლეობასაც დავასვენებთ,"** - მხოლოდ ერთთვიან საზაფხულო არდადეგებს ჰპირდება დეპუტატებს პარლამენტის თავმჯდომარე.

გაგრძელება A3 გვერდზე



# ჩეხური "ენერგო პრო" "თითქმის" გამარჯვებულია

B

*საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მყიდველი, პრაქტიკულად, გამოვლენილია. უკონკურენტო Energopro-ს ეკონომიკური განვითარების მინისტრი გამარჯვებულად, სავარაუდოდ, ხვალ გამოაცხადებს. სხვა საკითხია დანარჩენი კომპანიების ბედი, რომელთა შესახებ სამინისტროში, ჯერჯერობით, ინფორმაციას არ ახმაურებენ. ოფიციოზის განცხადებით, სწორედ ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონკურენტი კომპანიების შესახებ მონაცემების მოპოვება და დამუშავება.*



# ამომრჩეველთა სიები - "ზუსტი" და "ფანტასტიკური"

*ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2006 წლის, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, ამომრჩეველთა ერთიანი სიის პირველად ვერსიაზე მუშაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით დაასრულა. ამომრჩეველთა ერთიან სიაში სულ 3 მილიონ 200 ათასი ამომრჩეველია შეყვანილი. აქედან 922 ათასი ამომრჩეველი თბილისშია რეგისტრირებული.*

ნათია მსხილაძე

გასულ არჩევნებთან შედარებით, ამომრჩეველთა რაოდენობა გაზრდილია, რაც ცსკო-ს თავმჯდომარის განმარტებით, რამდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული. ამომრჩეველთა ერთიან სიაში ყველა ის მოქალაქეა შესული, ვისაც საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა აქვს და უკვე 18 წელი შეუსრულდა. თუმცა, როგორც ირკვევა, სიებში კვლავაც ფიგურირებენ გარდაცვლილი ადამიანები - ისინი, რომელზეც გარდაცვალების ცნობა არ გაცემულა. **"ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ცესკო-მ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად პირველად მოახერხა ამომრჩეველთა ერთიან სიაში ყველა იმ მოქალაქის შეყვანა, ვისაც საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა აქვს და უკვე შეუსრულდა 18 წელი. სამწუხაროდ, სიებში ჯერ კიდევ გვხვდება გარდაცვლილები, თუმცა ამ პრობლემის მოგვარება, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, დაწყებულია და შევეცდებით, ყველა მიცვალებული დაახლოებით ერთ თვეში ამოვიღოთ სიიდან"**, - აღნიშნა გურამ ჩალაგაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ესპანეთის დეცენტრალიზაცია ნიშნავს კატალონიის კეთილდღეობას

## კატალონიელები რეგიონის აღმავლობას ფართო ავტონომიის სტატუსს უკავშირებენ

თეა მაისურაძე

კატალონიელმა ამომრჩევლებმა ახალი ქარტია შექმნეს, რომელიც მათ რეგიონს მადრიდისაგან მნიშვნელოვნად დამოუკიდებელს ხდის. კვირას კატალონიაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 73,9%-მა ხმა მისცა რეგიონის ფართო ავტონომიის გეგმას, ხოლო 20,8% კი - წინააღმდეგ გამოვიდა.

საყურადღებოა, რომ კატალონიის რეგიონულმა პარლამენტმა უკვე გაზარდა თავისი ძალაუფლება საგადასახადო და სამართლებრივ სფეროში, რაც შეეხება ჯანდაცვისა და განათლების სფეროს, ისინი ამჟამადაც კატალონიის ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება. აღსანიშნავია ისიც, რომ ფართო ავტონომიის მქონე კატალონია გააკონტროლებს აეროპორტებს, პორტებსა და იმიგრაციას.

კატალონიის ავტონომიის გეგმა ესპანეთის ხელისუფლებამ, კატალონიის მმართველმა სოციალისტებმა და თანამედროვე ნაციონალისტებმა შეიმუშავეს. რეგიონის ავტონომიის სტატუსს ეწინააღმდეგებიან როგორც კონსერვატორები, ასევე მემარცხენეები.

ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო აცხადებს, რომ კატალონიის მოსახლეობის აზრი ნათელია, მათ სურთ ავტონომია, შესაბამისად, მოხდება ამ რეგიონის უფლებების აღიარება და მისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უპრეცედენტო მართლმსაჯულება

*ნუ დავაკონკრეტებთ, ნებით თუ უნებლიეთ, მაგრამ ფაქტია, რომ ქართულმა მართლმსაჯულებამ ბოლო წლებში საკუთარი თავის დისკრედიტაციისთვის მონდომებით ილვაწა. სასამართლო სისტემის თავკაცები ამის მიზეზად მოსამართლეთა არაპროფესიონალიზმსა და, საერთოდ, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას ასახელებენ. სწორედ ამ ორმა ძირითადმა მიზეზმა განაპირობა ის, რომ ქართულმა სასამართლომ, ძირითადად, ბრალდების მხარის გადაწყვეტილების ნოტარიალურად დამმოწმებლის ფუნქცია შეიძინა და ამ საქმიანობით გართულს, ხშირ შემთხვევაში, კანონის მოთხოვნებიც კი ავიწყდება.*

ინგა ალავიძე

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა მოსამართლეები, რომლებიც, წესით, ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის გარანტად უნდა გვევლინებოდნენ, სინამდვილეში შავით თეთრზე დაწერილ კანონს არად აგდებენ. კანონს, რომელსაც მოსამართლეები ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით ხშირად არღვევენ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ჰქვია, თავად იურისტები - მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები, ადვოკატები - საკუთარ სამაგიდო წიგნს უწოდებენ. ამ "სამაგიდო წიგნის" - კოდექსის 540-ე მუხლი სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის შეცვლის პროცედურებს გვამცნობს; უფრო კონკრეტულად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლში, სახელწოდებით - "შემობრუნება საუარესოდ" - ძალზე კონკრეტულად, გასაგებ ენაზე წერია: "სააპელაციო ინსტანციას უფლება არ აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად, გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა ან მიიღოს განსასჯელისთვის სხვა არასასიკეთო გადაწყვეტილება, თუ საქმის გადასინჯვა ხდება განსასჯელის, დამცველის, განსასჯელის კანონიერი წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის ან მისი წარმომადგენლის საჩივრის საფუძველზე და საჩივარი არ შეუტანია პროკურორს, დაზარალებულს ან ბრალდების მხარის წარმომადგენელ პროცესის სხვა მონაწილეს".

გაგრძელება A4 გვერდზე

## "დროება" და "კურიერი - პოსტ სკრიპტუმი" დილემის წინაშე

ია ანთაძე

უკვე რამდენიმე წელიწადია, საქართველოში მეტად პოპულარულია ორი საავტორო გადაცემა: გიორგი თარგამაძის "დროება" და დავით კიკალიშვილის "კურიერი - პოსტ სკრიპტუმი". ორივე პროგრამა ერთსა და იმავე დროს გადის ეთერში, რაც იმას ნიშნავს, რომ "დროებისა" და "პოსტ სკრიპტუმის" შემოქმედებითი ჯგუფები ცდილობენ, მაყურებლის მხარდაჭერა ძლიერ მეტოქესთან პაექრობაში მოიპოვონ. მაგრამ გიორგი თარგამაძე და დავით კიკალიშვილი ერთმანეთთან კონკურენციის პროცესში სერიოზული დილემის პირისპირ აღმოჩნდნენ.

გიორგი თარგამაძის საავტორო გადაცემის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა იმის შემდეგ, რაც სწორედ "დროებაში" მომზადდა სიუჟეტი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შესახებ. ამ სიუჟეტმა რევოლუციის შემდგომი პერიოდი ორად გაყო: მანამდე სუსტი და არაგულწრფელი მედია ამ სიუჟეტის შემდეგ გაცილებით ძლიერი და მწვავე გახდა.

როგორია "პოსტ სკრიპტუმი"? ეს გადაცემა ყოველთვის გამოირჩეოდა სიუჟეტების მაღალი ხარისხით, საინტერესო ხედვით, შედარებით "რბილი" საინფორმაციო პოლიტიკით, მაგრამ ჟურნალისტიკისა და ეთიკის სტანდარტების პატივისცემით.

ადრე ეს ორი გადაცემა ეთერში სხვადასხვა დროს გადიოდა და მაყურებელს საშუალება ჰქონდა, ერთიც ენახა და მეორეც. ალბათ, სწორედ ამის გამო გადაწყდა, რომ "დროება" და "პოსტ სკრიპტუმი" ერთსა და იმავე დროს დაწყებულიყო და მაყურებელს არჩევანი გაეკეთებინა ან ერთი, ან მეორე გადაცემის სასარგებლოდ. კონკურენციის ასეთ მძიმე რეჟიმში გადაყვანამ, ცხადია, დამატებითი რესურსის ამოქმედება და მიზიდულობის ხარისხის გაზრდა მოითხოვა. ეს მიზანი ორ ძირითად მიმართულებად დაიყო. პოლიტიკურ თემატიკას დაემატა უცხოეთში მომზადებული მასალები და ადგილობრივი ყოფითი თუ სოციალური აქცენტები. თუ თავიდან "დროების" ჟურნალისტები ხშირად ამზადებდნენ საინტერესო მასალებს საქართველოს რეგიონებიდან, მოგვიანებით გახშირდა სიუჟეტები ჯადოებსა და საეჭვო ხარისხის სასწაულებზე. ამას მოჰყვა ეთიკის სტანდარტის უგულებელყოფა და შემდეგ - ნგრევა.

ეთიკის ელემენტარული ნორმების უგულებელყოფის ნიმუშია საყოველთაოდ ცნობილი სიუჟეტი სენაკის ბავშვთა სახლზე. ამ სიუჟეტში რესპონდენტი, ფსიქიკური პრობლემების მქონე აღსაზრდელი, კამერის წინ სთხოვდა ჟურნალისტს, ნუ გამამხელ, რომ აქაური ამბები მე გითხარი, თორემ შეიძლება უარესი დამემართოსო. ჟურნალისტმა რატომღაც გადაწყვიტა, ეს ფრაზა პირდაპირ ეჩვენებინა მაყურებლისთვის, რითიც საფრთხე შეუქმნა რესპონდენტს და დაარღვია არა მხოლოდ ეთიკა, არამედ - კანონიც. იმავე სიუჟეტში ჟურნალისტმა ინტერვიუ სთხოვა არა მხოლოდ ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს, არამედ - სავარაუდო მოძალადესაც და ისიც სახის დაუფარავად წარუდგინა მაყურებელს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში საქმე ეხებოდა ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანს.

რასაკვირველია, შესაძლებელი იყო ამ სიუჟეტის მომზადება იმგვარად, რომ მაყურებელსაც ინფორმაცია მიეღო, რესპონდენტებსაც საფრთხე აცილებოდათ და არც ეთიკისა და კანონის ნორმები დარღვეულიყო. მაგრამ ასეთი მასალის მომზადებას მეტი მუშაობა დასჭირდებოდა და სიუჟეტიც ნაკლებად საინტერესო გამოვიდოდა. სწორედ იმის გამო, რომ მასალები იყოს მიმზიდველი თავისი "სიყვითლით", "დროება" უარს არ ამბობს დაბალი ხარისხის ინფორმაციის გავრცელებაზე.

რით პასუხობს ამ გამოწვევას "პოსტ სკრიპტუმი"? ერთ-ერთ ბოლო გადაცემაში მაყურებელმა იხილა სიუჟეტი რძალ-დედამთილის კონფლიქტის შესახებ. საზოგადოების პატივისმცემელი ადამიანისთვის უხერხულიც კია დავის შინაარსის გადმოცემა. ეს მდარე მასალა მომზადებული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმ მაყურებლის მისაზიდად, ვისაც ყველაზე დაბალი ხარისხის ინფორმაცია აინტერესებს.

ორივე სიუჟეტი ზოგადი ტენდენციის თვალსაჩინო სახეა, ამიტომ, უფრო ნორმაა, ვიდრე გამონაკლისი. უეჭველია, რომ "დროება" და "პოსტ სკრიპტუმი", ერთმანეთთან კონკურენციის კონტექსტში, სულ უფრო მეტად ამცირებენ პროგრამის მეორე ნაწილში გადმოცემული ინფორმაციის ხარისხს. გიორგი თარგამაძე და დავით კიკალიშვილი, რომელთა პროფესიონალიზმი და განათლება ეჭვს არ იწვევს, მოქმედებენ პრინციპით: ძვირფასო მაყურებელო, მე ჩემთვის მჭირდება მაღალი ხარისხის ინფორმაცია, შენთვის კი - დაბალი ხარისხის, რადგან შენ სწორედ ეს გიზიდავს. ასეთი არაჰუმანური დამოკიდებულება მაყურებლის მიმართ საგანგებოდ მიუღებელია "დროებისა" და "პოსტ სკრიპტუმის" ავტორებისგან, რადგან მათი საავტორო პროგრამები დღემდე ყველაზე რეიტინგულია და, ამის გამო, განსაკუთრებულია მათი პირადი პასუხისმგებლობაც ქართული მედიისა და საზოგადოების წინაშე.

*მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით.*

## დევნილების იძულებით გამოსახლება დაიწყო

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

*ბათუმში სასტუმრო "მედეასა" და "მესხეთს" ელექტროენერგია და წყალი გამოურთეს. მშენებლებმა შენობების დემონტაჟი დაიწყეს. საპროტესტოდ გამოსული დევნილები პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა, რამდენიმე ახალგაზრდა კი დააპატიმრეს.*

აჭარაში ყაზახი ინვესტორების მიერ დასასვენებელი სახლების შესყიდვის შემდეგ ბათუმში განთავსებული 2 ათასი დევნილი ოჯახიდან სამასმა ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა. ისინი საკომპენსაციო თანხების დამატებას ითხოვდნენ. მათ საცხოვრებელი ადგილებიდან იძულებით ასახლებენ.

ბათუმში თბილისური სცენარის განმეორებას ბევრი მოელოდა. ინვესტორებს დევნილების გამოსახლება დასასვენებელი ობიექტების შესყიდვიდან 3 თვის შემდეგ შეეძლოთ. ეს ვადა 16 მაისს ამოიწურა. ერთი თვის მოცდის შემდეგ კი, ასე რომ ვთქვათ, მოსახდენის მოხდენა დაიწყო.


16 ივნისს დევნილთა გამოსახლება დაიწყო.
ემზარ დიასამიძის ფოტო

დევნილების უკმაყოფილების მიზეზი ბოლო დროს ბათუმში ბინების ფასების კატასტროფული ზრდაც გახდა. უკმაყოფილო დევნილები აცხადებენ, რომ შემოთავაზებული 7 ათასი დოლარი ახალი ცხოვრების დასაწყებად დღეს ძალიან ცოტაა. ინვესტორების პოზიციაც ამ შემთხვევაში ცალსახა იყო - ისინი საკომპენსაციოდ 14 მილიონს იხდიდნენ და მეტის გადახდაზე უარი განაცხადეს.

დევნილთა უკმაყოფილების კიდევ ერთი მიზეზი საკომპენსაციო სია გახდა. აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ 1921 ოჯახი შეიტანა სიაში. რამდენიმე ოჯახი სიიდან ამოვარდა. დევნილთა აზრით, ეს ხელისუფლებამ ხელოვნურად გააკეთა, რადგან ამით კორუფციის საშუალება ეძლეოდათ. ამის შესახებ განცხადება აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა სამმართველოს უფროსმა, ნანა ვეკუამ გააკეთა. მისი განცხადებით, საკომპენსაციო სიის შემცირება ხელისუფლების დავალებით ხდებოდა. მარტივი არითმეტიკული გათვლით, 14 მილიონით 2000 ოჯახის დაკმაყოფილება იყო შესაძლებელი. სად გაქრა ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი? ამ თემაზე პასუხი ჯერ გაუცემელია.

16 ივნისს დევნილთა გამოსახლება დაიწყო. დევნილებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს. აქციის მონაწილეთა თქმით, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე ისინი შენობის დატოვებას არ აპირებენ. ამიტომაც დემონტაჟს მოსახლეობასა და სამართალდამცავებს შორის შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ამის გამო დაპატიმრებულ ორ დევნილს - ბაჩუკი ბიგვავასა და დათო არზიანს, პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის გამო, სასამართლომ 4-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა.

დემონტაჟის დაწყებამდე, დილით სასტუმრო "მესხეთიდან" და "მედეადან" პოლიციამ რამდენიმე ახალგაზრდა განყოფილებაში წაიყვანა. ზოგი მათგანი ნარკოლოგიურში შეამოწმეს. **"დილით ეძინა, პოლიციამ ლოგინიდან აიყვანა და წაიყვანა. რომ ვკითხე, რა მოხდა-მეთქი, "მედეას" წინ რატომ ჯდებიან გვიანამდეო, - მომიგეს პასუხად. ბავშვი აქ გაიზარდა; ახლა, მით უმეტეს, მეგობრები ერთმანეთს ემშვიდობებიან და რა მოხდა, არაფერს აშავებდნენ"**, - აღნიშნა ერთ-ერთი დაკავებულის, 16 წლის ირაკლის დედამ.

ახალგაზრდები კი აცხადებენ, რომ პოლიცია მათ პასუხს სთხოვდა, თუ რატომ არ იღებენ მათთვის გამოყოფილ 7 ათასს დოლარს. **"ტერორი დაიწყეს - ბავშვები მიჰყავთ პოლიციის განყოფილებაში, აძალებენ რომ კომპენსაცია აიღონ. თითქოს ბავშვები წყვეტენ... ეს ზეწოლაა ბავშვებისა და მშობლების ფსიქიკაზე. ბავშვებს არანაირი დანაშაული არა აქვთ"**, - განაცხადა სასტუმრო "მედეაში" მცხოვრებმა იძულებით გადაადგილებულმა ზვიად ესაკიამ.

ახალგაზრდების პოლიციაში წაყვანას პოლიციასა და მოსახლეობას შორის შეხლა-შემოხლაც მოჰყვა. **"ამ დროს პოლიციამ გია ფარავაც წაიყვანა, რადგან ბავშვებს გამოესარჩლა. პოლიციელებმა ის სცემეს და გამოუშვეს. კაცს ტვინის შერყევა აქვს, სამედიცინო დახმარებაც გვყავდა გამოძახებული"**, - აღნიშნავს დევნილი მოსახლეობა.

26 ივნისს მორიგი სასამართლო პროცესი უნდა ჩატარდეს დევნილთა მოთხოვნაზე ბინებით ფართის მიხედვით დაკმაყოფილების თაობაზე. იქამდე კი, უკმაყოფილო დევნილებს წასასვლელი არსად აქვთ.

დევნილთა ადვოკატის გელა სირაძის განცხადებით, დემონტაჟი უკანონოდ დაიწყო: **"კანონით, ოჯახს, რომელიც ხელშეკრულებას გააფორმებდა, სამი თვის შემდეგ უნდა დაეცალა ბინა, მაგრამ ამ მოსახლეობას ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული. დემონტაჟი უკანონოდ დაიწყეს - კიბის, აივნების მოშლით ხელისუფლება მოსახლეობას იძულებულს ხდის, რომ დაცალონ სასტუმრო"**.

როგორც აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა მამუკა ნაკაშიძემ აღნიშნა, შაბათ-კვირის განმავლობაში ყაზახ ინვესტორებსა და დევნილებს შორის აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. მისი თქმით, **"ინვესტორები საკითხს განიხილავენ და, 7 ათასი დოლარის გადახდასთან დაკავშირებით საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლის შემთხვევაში, სავარაუდოდ, 19 ივნისისთვის საბოლოო შეთანხმებას მიაღწევენ"**.

### მოკლედ

#### პროკურორი სადამ ჰუსეინისა და მისი თანაგუნდელების დასჯას ითხოვს

ერაყის უზენაესი სასამართლოს პროკურორი ჯაფარ ალ-სუსაუი ერაყის ექს-პრეზიდენტ სადამ ჰუსეინთან ერთად, მისი ძმის ბარზან ატ-ტიკრიტისა და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ტაჰუ იასინ რამადანის სიკვდილით დასჯასაც მოითხოვს. პროკურორის აზრით, ეს სამი ადამიანი დამნაშავეა სოფელ დუჯაილის მოსახლეობის გენოციდში. შიიტური სოფლის 148 მკვიდრი 80-იან წლებში სადამ ჰუსეინზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ დახოცეს **ინტერპრესნიუსი**

#### სოხუმი რუსეთის ქალაქებთან დაძმობილებას განაგრძობს

აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმსა და რუსეთის ერთ ერთ ქალაქ პოდოლსკს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. "დოკუმენტს ხელი რუსულ და აფხაზურ ენებზე ქალაქ პოდოლსკისა და სოხუმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა ნიკოლაი პესტროვმა და ასტამურ ადლეიბამ მოაწერეს", - წერს აფხაზური სააგენტო. აღსანიშნავია, რომ სოხუმისა და პოდოლსკის დაძმობილება მოსკოვის ოლქის გუბერნატორის გრომოვის ძალისხმევით მოხდა, რომელიც ამავე დროს, დაძმობილებული ქალაქების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტია. მხარეები ეკონომიკის, ტურიზმის, ვაჭრობის, კულტურისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### "საქინფორმის" ფოტოარქივი ეროვნული ბიბლიოთეკის საკუთრება გახდება

"საქინფორმის" ფოტოარქივი ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცემა. ეს გადაწყვეტილება გუშინ პარლამენტის ბიურომ მიიღო, რომელსაც შემდგომ საკანონმდებლო ორგანოს სხდომაზე დაამტკიცებენ. "საქინფორმის" ფოტოარქივის ეროვნული ბიბლიოთეკისთვის გადაცემის ინიციატივა პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ გრიგალაშვილს ეკუთვნის. გრიგალაშვილის განმარტებით, ფოტოარქივის ეროვნულ ბიბლიოთეკისადმი დაქვემდებარება უნიკალური ფოტომასალების გადარჩენის შანსია. **მედიანიუსი**

## თავისუფალი სიტყვა

რადიო უცნობი FM 92.0

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ თამარ ჩიქოვანს, სტუდიის სტუმარია ნანა კაკაბაძე.*

**თამარ ჩიქოვანი:** საზოგადოება დღეს საკმაოდ ცალსახოვანია. გირგვლიანის საქმე რომ გავიხსენოთ, ყველა გამოკითხვამ აჩვენა, რომ საზოგადოება ამ საკითხთან მიმართებაში ძალზედ კრიტიკულია. თუმცა მოთხოვნებმა შედეგი მაინც ვერ გამოიღო. მაინცდამაინც ქუჩაში გამოსვლაა საჭირო, რომ თუნდაც კონკრეტული პირების დაკითხვა მოხდეს?

**ნანა კაკაბაძე:** სამწუხაროდ, ასეა. თუმცა, იმ ქვეყანაში, სადაც კანონის უზენაესობა არსებობს ასეთი რამ წარმოუდგენელია. დღეს როცა კანონის უზენაესობას ვახსენებთ ჩვენს ქვეყანაში, ცოტა სასაცილოა. ამ ქვეყანაში არ არსებობს კანონი, სასამართლო, რომელიც დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას. არ არსებობს საგამოძიებო ორგანოები, რომლებიც დაკვეთის გარეშე გახსნიან საქმეს. ერთადერთი გზა რჩება ქუჩაში გამოსვლა. თუ ხელისუფლება ასეთ გზას გააგრძელებს, მაშინ მას იგივე ბედი ელის, რაც მის წინამორბედს ერგო.

**თამარ ჩიქოვანი:** ალბათ ის, ვისაც ანგარიშს უწევს ხელისუფლება არის საერთაშორისო ორგანიზაციები. თქვენმა ორგანიზაციამ ხმაური ატეხა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის წამებასთან დაკავშირებით. ამაში ჩაერთო რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის ევროსაბჭო, ეუთო... ნამდვილად დადასტურდა, რომ ეს ადამიანი ნაწამები იყო და გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა, ამაზე აგო ვინმემ პასუხი?

**ნანა კაკაბაძე:** ჯერ ის ვთქვათ, გამოიღო თუ არა გახმაურებამ შედეგი? ციხეში უამრავი ადამიანი ქრება, ან ცხადდება მათი გარდაცვალების ამბავი, თუმცა მიზეზი ყოველთვის გაურკვეველი რჩება. მას შემდეგ, რაც გაჟღერდა, რომ სულხან მოლაშვილი ნაწამები იყო და ამის დამადასტურებელი ფაქტებიც გამოქვეყნდა, მისი სიცოცხლის ხელყოფა უკვე შეუძლებელი იყო. ევროსაბჭოს აქტიური ჩარევით მისი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანა მოხდა. ის ახლა საერთაშორისო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ არის. რაც შეეხება წამების წინააღმდეგ საქმის აღძვრას, ამას ხელისუფლება არ აკეთებს. საზოგადოების დაკვეთაც არ არის, რომ ეს ხალხი დაისაჯოს. ვინ დაისაჯა? დაისაჯა ექიმი, ვინც არ დააფიქსირა თურმე საჯაროდ, რომ მოლაშვილი იყო ნაწამები.

**თამარ ჩიქოვანი:** არასამთავრობოების მიერ დაკომპლექტებული მონიტორინგის ჯგუფების ციხეში მუშაობა რამდენად ეფექტურია? როგორც ვიცი, თქვენი ორგანიზაცია ამაში არ მონაწილეობს.

**ნანა კაკაბაძე:** ეფექტური რომ არ არის, ეს იმ მდგომარეობითაც ჩანს, რაც დღეს ციხეებშია. ასეთი ვითარება არასდროს ყოფილა. ხშირად ამ მდგომარეობას საკონცენტრაციო ბანაკებს ვამსგავსებთ. პატიმრები არაპროგნოზირებად სიტუაციაში არიან და ამ ადმინისტრაციის პირობებში არ იციან რა ელით. 27-ში ღამით, როდესაც პატიმრების ჩაცხრილვა მიმდინარეობდა ანა დოლიძეს არ მისცეს შიგნით შესვლის საშუალება კი არა, არამედ ახლოს მისვლისაც კი. ეს მაშინ, როდესაც მას ამის სრული უფლება ჰქონდა.

Georgian National airlines

CLUB Class -
როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია **"საქართველოს ნაციონალური ავიახაზები"** გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო **CLUB Class** სერვისს.
რას ნიშნავს იფრინოთ **CLUB Class**-ით: ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ, კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.
ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, **Bombardier CRJ 200 LR** -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

## გზა მარქსიზმის იდეოლოგიიდან პრემიერ-მინისტრობამდე

### ბრიტანული გაზეთები ტონი ბლერის პოლიტიკური კრედოს წარსულისა და აწმყოს შესახებ

ბრიტანული გაზეთების ფურცლები პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის წარსული პოლიტიკური გატაცებების შესახებ გამოქვეყნებული მასალებით აჭრელდნენ. საინფორმაციო ბუმი კი ისტორიის მუზეუმის ნებართვით გამოქვეყნებულმა წერილმა გამოიწვია, რომელიც დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა 1982 წელს იმდროინდელი "ლეიბორისტული პარტიის" მემარცხენე ფრთის ლიდერს მაიკლ ფუტს მიწერა.

"თაიმს"-ის მიხედვით, ზემოაღნიშნულ წერილში ტონი ბლერი აღნიშნავს, რომ "ლეიბორისტულ პარტიაში" კარლ მარქსის შრომების კითხვამ მიიყვანა.

**"საშუალო კლასის ბევრი სხვა წარმომადგენლის მსგავსად სოციალიზმამდე მეც მარქსიზმის იდეების გაზიარებით მივედი"**, - წერს ტონი ბლერი.

წერილი ერთ-ერთმა მკვლევარმა იპოვა "ლეიბორისტული პარტიის" არქივში, რომელიც პოლიტიკური გაერთიანების 100 წლისთავისთვის პარტიის ისტორიას ეცნობა.

**"სოციალიზმის იდეოლოგიით შეიძლება მხოლოდ საუკეთესო გონება იყოს დაკავებული, რადგან ამას ვერ მოახერხებთ იმ შემთხვევაში თუ კი ძლიერ ხართ დაავადებული ხელისუფლების პრაგმატიზმით. წინადადებებს, რომლებიც შეიძლება ჩვენი შთაგონების წყარო იყოს, ვერაფრით წარმოთქვამენ ის ადამიანები, ვინც მეტისმეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ისტებლიშმენტთან"**, - ნათქვამია წერილში.

წერილის ამონარიდების გარდა, "თაიმს"-ს მოყვანილი აქვს ლორდ ტაილერის ციტატაც, რომელიც 1982 წელს ბლერის მეტოქე იყო ადგილობრივ არჩევნებში: **"ამ წერილმა ისევ გამახსენა ის პრინციპული სოციალისტი, რომელსაც მე არ ვეთანხმებოდი, მაგრამ ძალიან დიდ პატივს ვცემდი დიდი ხნის წინ. სამწუხაროა, რომ მან ეს პრინციპულობა დაკარგა და ამის ნაცვლად მხოლოდ იდეოლოგიური ვაკუუმი დაიტოვა"**.

მეორე გავლენიანმა ბრიტანულმა გაზეთმა "ინდეპენდენტ"-მა კი გამოაქვეყნა ცნობილ ექსპერტებთან გამოკითხვის შედეგები თუ რამდენად აქტუალურია ეს თემა დღეს. გამოკითხულთა შორის ჯეკ სტროც იყო.

**"კარლ მარქსის მემკვიდრეობა არა მარტო ლეიბორისტული პარტიის, არამედ ყველა ინტელექტუალისთვის ფასეულია"**, - განაცხადა ჯეკ სტრომ.

სტროს აზრს იზიარებს ჟურნალ "სპექტეიტორ"-ის რედაქტორი მეთიუ დ`ანკოლაც - **"მარქსი, უდავოდ, აქტუალურია დღესაც. იგი ჯერ კიდევ მანამდე ფიქრობდა გლობალიზაციაზე, ვიდრე ამაზე მემარჯვენე ეკონომისტები ალაპარაკდებოდნენ... მარქსი იმ ერთეულ დიდ ადამიანთა შორისაა, რომლებმაც სრულებით შეცვალეს ჩვენი თვალთახედვა. გამოჩენილ ადამიანებს შორის მე სამს დავასახელებდი: მარქსი, ფროიდი და დარვინი"**.

მარქსის აქტუალობაში ეჭვი ეპარება "კონსერვატიული პარტიის" ყოფილ ლიდერს ნორმან ტებიტს.

**"მარქსის ნაშრომებს ვეცნობოდი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩემი ახალგაზრდობის დროს, მაშინ ჩემთვის უფრო აქტუალური ჰიტლერის წიგნი "მაინ კამპფი" იყო - მე მსურდა მეტი გამეგო ამ არამზადაზე, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ჩვენთვის ბომბებს არ იშურებდა. არა მგონია, მარქსი აქტუალური იყოს, ერთადერთი ის შეიძლება სისულელის მაგალითად გამოდგეს, თუ როგორი ფიასკოთი შეიძლება დასრულდეს პოლიტიკური სისტემა"**, - თქვა ნორმან ტებიტმა.

ისტორიკოსის ერიკ ჰოკსბონის მოსაზრებით კი, მარქსისადმი ინტერესი ბოლო პერიოდში გაიზარდა ხელმეორედ.

**"მარქსისადმი, ბოლო პერიოდში, ინტერესის ზრდას მე იმ იდეებისა და არსის სიმართლეს მივაწერ, რომლითაც დადასტურდა კაპიტალიზმის არამყარობის შესახებ არსებული მოსაზრება. ამას ზოგიერთი თანამედროვე ბიზნესმენიც კი აღიარებს. ისევ შესაძლებელია მარქსის ციტირება და გარკვეულწილად ამის მიზეზი "ცივი ომის" დასრულებაა"**, - აღნიშნა ერიკ ჰოკსბონმა.

*ბი-ბი-სი*

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# მოულოდნელი ვიზიტი სოხუმში

პირველი გვერდიდან

აფხაზმა ჟურნალისტებმა ბრაიზას კოსოვოც შეახსენეს და დაინტერესდნენ, გამოდგება თუ არა კოსოვოს მაგალითი აფხაზეთის შემთხვევაში. **"სიტუაცია აფხაზეთში სერიოზულად განსხვავდება კოსოვოს სიტუაციისგან. მე არ ვეთანხმები მათ, ვინც კოსოვოს მაგალითს უნივერსალურად მიიჩნევს,"** - უპასუხა ბრაიზამ.

რუსული სააგენტო "როსბალტის" ინფორმაციით, აშშ-მ აფხაზეთს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ახალი გეგმის შემუშავება შესთავაზა.

როგორც "როსბალტი" გადმოსცემს, აფხაზეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას ამერიკული დელეგაცია განსაკუთრებით იმით დაინტერესდა, თუ რამდენად არის მზად აფხაზური მხარე ქართველ კოლეგებთან დიალოგისთვის.

სერგეი ბაგაფშის თქმით, აფხაზური მხარე თანახმაა განაგრძოს მოლაპარაკებათა პროცესი და შეისწავლოს ყველა შესაძლო წინადადება, რაც კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისკენ იქნება მიმართული.



აშშ-მ აფხაზეთს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ახალი გეგმის შემუშავება შესთავაზა.

**"აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამერიკული მხარის მიერ შემოთავაზებულ ყველა წინადადებას შეისწავლის და ცოტა მოგვიანებით გასცემს მათზე პასუხს,"** - აღნიშნა ბაგაფშმა და დასძინა, რომ აფხაზური გეგმა კონფლიქტის ეტაპობრივ დარეგულირებას ითვალისწინებს და მასში განმსაზღვრელი პოლიტიკა არ არის.

**P.S. ეს ვიზიტი მით უფრო საყურადღებოა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ივლისში აშშ-ს პრეზიდენტის მიწვევით მიხეილ სააკაშვილი თეთრ სახლს ესტუმრება**

*24 საათი*

## საქართველოს თხოვნა ევროკავშირს

თბილისი ევროკავშირისგან ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილეობის გარდა, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად მხარეებს შორის პოლიტიკურ მოლაპარაკებებში მონაწილეობას მოითხოვს.

ამის შესახებ გუშინ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეცწარმომადგენელთან პიტერ სემნებთან გამართული მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ განაცხადა.

ხაინდრავას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მხარეს კარგად ესმის, რომ ევროკავშირს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად მიმდინარე პოლიტიკურ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად "საგანგებო გადაწყვეტილებების მიღება დასჭირდება", ოფიციალური თბილისი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად არსებული ფორმატის შეცვლას და ბრიუსელისგან მოლაპარაკებებში უშუალო მონაწილეობის მიღებას ითხოვს.

"ჩვენთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის პოლიტიკურ მოლაპარაკებებში მონაწილეობა და იმის გარკვევა, როგორ აპირებს რუსული მხარე ცხინვალისთვის გამოყოფილი 3 მილიონი ევროს გამოყენებას", - აღნიშნა გიორგი ხაინდრავამ, რომლის თქმითაც, ქართული მხარისთვის "აბსოლუტურად მიუღებელია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსეთის ცალმხრივი, გამჭვირვალობას მოკლებული მოქმედება".

ხაინდრავას განმარტებით, სინამდვილეს არ შეესაბამება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს რუსეთ-საქართველოს შორის მიღწეული შეთანხმება რუსეთს ცხინვალის ხელისუფლებისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენის საშუალებას აძლევს. "შეთანხმებაში ამდაგვარი არაფერი წერია. შეთანხმებაში დაფიქსირებულია, რომ ცალმხრივი მოქმედება არავის მხრიდან დაშვებული არ უნდა იყოს", - დასძენს გიორგი ხაინდრავა.

# პარლამენტი და დიდი ფეხბურთი

პირველი გვერდიდან

მანამდე კი, ვიდრე საგაზაფხულო სესია დაიხურება, საკანონმდებლო ორგანო ფეხბურთით ცხოვრობს: პარლამენტის ხელმძღვანელობა ცდილობს, ისე დაგეგმოს კვირის განრიგი, რომ დეპუტატებს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ყურებაში ხელი არ შეეშალოთ.

ამასთან, ფეხბურთისადმი საყოველთაო ინტერესი პატარ-პატარა ეშმაკობების საშუალებასაც იძლევა. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე ირწმუნება, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში პლენარულ სხდომათა დარბაზი ნახევრადცარიელი იქნება და ამიტომ, ასეთ პირობებში ისეთი სერიოზული საკითხის განხილვა, როგორიც სახალხო დამცველის ანგარიშია, მიზანშეწონილი არ არის. თევდორაძე წანადადებას იძლევა, რომ ომბუდსმენს რიგგარეშე სესიაზე მოუსმინონ, რასაც პარლამენტის ხელმძღვანელობა უსიტყვოდ ეთანხმება.

ამ შემთხვევაში, ფეხბურთის სიყვარულზე მეტად, ეტყობა, უფრო პოლიტიკურ გათვლასთან გვაქვს საქმე. ვინაიდან სახალხო დამცველის ანგარიში საკმაოდ მწვავე იქნება, გამორიცხული არ არის, რომ მან უმრავლესობის შიგნით არსებულ ჯგუფებს შორის ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვიოს. ამიტომ, სახელისუფლებო გუნდს ურჩევნია, "ბომბი" შუა ზაფხულში აფეთქდეს, როდესაც მკვდარი პოლიტიკური სეზონია და მას დიდი რეზონანსი არ მოჰყვება.

თუმცა, ბოლო პლენარული კვირა ხმაურისა და სკანდალის გარეშე მაინც არ ჩაივლის: სავარაუდოდ, ხვალ, პარლამენტი ბადრი ნანეტაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტას აპირებს, რომლის დროსაც ტელეკომპანია "თრიალეთის" შეფი კარის გაჯახუნებას შეეცდება და მწვავე განცხადებებს გააკეთებს.

თუ ფეხბურთი რიგითი გულშემატკივრისა და დეპუტატებისთვის სიამოვნებაა, მსოფლიო ჩემპიონატმა დიდი თავსატეხი გაუჩინა საზოგადოებრივი მაუწყებლობის ხელმძღვანელობას. რიგი ტექნიკური მიზეზების გამო, ეს ტელეარხი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირებას მთელი საქართველოს მასშტაბით ვერ ახერხებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ნოდარ გრიგალაშვილის კომიტეტმა გამოძიებაც კი ჩაატარა, მაგრამ მტყუანმართლის დადგენა ვერ მოახერხა.

საიდუმლო არ არის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობის ხელმძღვანელობას პარლამენტში მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს. ისინი ცდილობენ, ანგარიშსწორების შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვან და ტელევიზიის არასასურველ შეფებს პასუხი აგებინონ. ამიტომაც იყო, რომ ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ხათუნა გოგორიშვილი და ელენე თევდორაძე დაჟინებით ითხოვდნენ, რომ მიმდინარე კვირის დღის წესრიგში საზოგადოებრივი ტელევიზიის ხელმძღვანელობის ანგარიშის განხილვაც შესულიყო.

პარლამენტის თავმჯდომარემ მათ იმედი გაუცრუა, თუმცა - ნაწილობრივ: ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ამ საკითხს პარლამენტი მხოლოდ რიგგარეშე სესიაზე მიუბრუნდება.

# ესპანეთის დეცენტრალიზაცია ნიშნავს კატალონიის კეთილდღეობას

პირველი გვერდიდან

კატალონიაში კვირას ჩატარებული რეფერენდუმი წარმოადგენს რეგიონისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების ბოლო ეტაპს. ეს პროცესი გასულ სექტემბერს დაიწყო, როდესაც ადგილობრივმა პარლამენტმა დაამტკიცა რეგიონის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებული დოკუმენტის ახალი ვერსია, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს ორ პოლიტიკურ ერთეულს - ესპანეთსა და კატალონიას შორის.

როგორც რეფერენდუმიდან მიღებული შედეგებიდან ჩანს, კატალონიის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სწორედ ავტონომიის სტატუსს დაუჭირა მხარი. აქ მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ რეგიონის სუვერენიტეტის გაფართოება მის წინსვლას შეუწყობს ხელს: **"მე ვფიქრობ, რომ ეს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია"** - აღნიშნავს 28 წლის კატალონიელი მარკ ოლივია, რომელმაც რეფერენდუმში რეგიონის ავტონომიის სტატუსს მისცა ხმა.




ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, კატალონიისათვის ავტონომიის მინიჭება ესპანეთის პრემიერ-მინისტრს ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს რეიტინგს გაზრდის.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი კატალონიელის აზრით, ავტონომიის სტატუსი კარგია, თუმცა მათ რეგიონს უფრო მეტი უფლებები უნდა ჰქონდეს, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ესპანეთის ეკონომიკის 1/5 კატალონიაზე მოდის, ხოლო ესპანელთა დაახლოებით 1/6-ისათვის ეს რეგიონი სამშობლოს წარმოადგენს.

საყურადღებოა, ასევე, ავტონომიის სტატუსის მოწინააღმდეგეების აზრი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კატალონია ცეცხლს ეთამაშება და მის მაგალითზე ახლა სხვა რეგიონები შეეცდებიან არა მარტო ავტონომიის, არამედ სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას. **"მე არ მომწონს ესპანეთის გაყოფის იდეა"** - მიიჩნევს 38 წლის გაბიონ ესკრიბანო. კრიტიკოსების აზრით, თუ ესპანეთს მისი ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონი, კატალონია გამოეყოფა, ეს ცენტრალური მთავრობის შესუსტებას გამოიწვევს.

ანალიტიკოსების აზრით, კატალონიისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს და შეამციროს ის დაძაბულობა, რომელიც შეიარაღებულმა ბასკმა სეპარატისტებმა შექმნეს ამ წელს. ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, კატალონიისათვის ავტონომიის მინიჭება ესპანეთის პრემიერ-მინისტრს ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს რეიტინგს გაზრდის.

გავრცელებული მოსაზრებით, კატალონიის ავტონომიის სტატუსის მხარდაჭერით, საპატეროს სურს ყველას დაანახოს, რომ მისი გეგმა, რომელიც რეგიონალურ თავსუფლებას ითვალისწინებს, არ გულისხმობს და, მით უმეტეს არ გამოიწვევს ქვეყნის ნაწილებად დაშლას, თუმცა კონსერვატორების აზრით, კატალონიელებს ეს საკითხი საერთოდაც არ აღელვებთ.

ესპანეთი, რომელიც 17 რეგიონისაგან შედგება, ევროპის ყველაზე დეცენტრალიზებულ სახელმწიფოს წარმოადგენს.

კონსერვატორების აზრით, ესპანეთს გამთლიანება სჭირდება, რაც მისი კეთილდღეობის გარანტია.


თქვენი დაბალანსებული
ცხოვრება

ბალანსი მაგთიში...
ბალანსი ცხოვრებაში...



ცვლილება თქვენს სასარგებლოდ

ხართ მაგთის წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტი?
ამიერიდან

- თუ ანგარიშზე გაქვთ თანხა, თქვენი ნომერი აქტიური იქნება ბოლო გადახდიდან მთელი 1 წლის განმავლობაში, ანუ შეძლებთ დარეკვას, შეტყობინების გაგზავნას, და ა. შ.
- თუ ანგარიშზე ამოგეწურებათ თანხა, გინარჩუნდებათ გარანტირებული შემომავალი ზარი ბოლო გადახდიდან 1 წლის განმავლობაში.
- შემომავალი ზარების გათიშვის შემდეგ 1 წლით გინარჩუნდებათ ნომერი.
- თქვენი ადგილობრივი ზარები აღირიცხება და იანგარიშება 1 წამის სიზუსტით.

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან


# ამომრჩეველთა სიები - "ზუსტი" და "ფანტასტიკური"

პირველი გვერდიდან

ამომრჩეველთა სიების საბოლოო ვერსიებს ცესკო არჩევნებამდე 10-15 დღით ადრე, საარჩევნო უბნებზე გამოაკრავს. **"2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა მაქსიმალურად გამართული, 95-98-პროცენტიანი სიზუსტის ერთიანი სია გვექნება, საბოლოო სახე კი მაშინ ჩამოყალიბდება, როცა საუბნო საარჩევნო კომისიები მუშაობას დაიწყებენ და თითოეულ ამომრჩეველს კარდაკარ სიარულის პრინციპით გადაამოწმებენ,"** - აცხადებს ცესკო-ს თავმჯდომარე.

ცესკო-მ ამომრჩეველთა ერთიანი სიის პირველადი ვერსია პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს გადასცა. სიების მიღება, ასევე, შეეძლებათ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ყველა დაინტერესებულ პირს.

გუშინ ცესკო-ს თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრაზე, "ლეიბორისტ" პაატა ჯიბლაძის მტკიცებით, მათი პარტიის აქტივისტებმა თბილისის რაიონში რამდენიმე საარჩევნო უბანი გადაამოწმეს, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ 8 ათასამდე ამომრჩეველი პირველად სიებში შეყვანილი არ არის. ამასთან დაკავშირებით, ცესკო-ს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სიებში შესაძლოა არ აღმოჩნდეს ამომრჩეველთა ის ნაწილი, რომლებსაც პირადობის მოწმობები არ გააჩნიათ და ჯერ კიდევ "საბჭოთა პასპორტებით" სარგებლობენ. ასეთ ამომრჩეველთა რაოდენობა კი, მისი თქმით, 5 პროცენტს შეადგენს. **"არჩევნებამდე 10-15 დღით ადრე, ცესკო-ს ამომრჩეველთა დაზუსტებული სია ექნება და არც ერთ მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობაზე პრობლემა არ შეექმნება. სიები ისეთი დაზუსტებული იქნება, როგორიც საქართველოში ჩატარებული არც ერთი არჩევნების დროს არ ყოფილა,"** - აცხადებს ჩალაგაშვილი.

ცესკო-ს უნდობლობას უცხადებს "რესპუბლიკური პარტიაც" და პირველად საარჩევნო სიებს საეჭვოდ მიიჩნევს. "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერის თინათინ ხიდაშელის განცხადებით, ის, რომ ცესკო-ს მონაცემებით დღეს ხმის მიცემის უფლების მქონე 3 მილიონ 200 ათასი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში, მეტად საეჭვოა და, ელემენტარულად, "ფანტასტიკის" სფეროს განეკუთვნება. **"საარჩევნო სიებთან დაკავშირებით დარღვევები ძალიან ბევრია. საუბარია სიებში გარდაცვლილ ადამიანებზე, ერთი და იგივე ადამიანის დუბლირებაზე და ისეთ ადამიანებზე, რომლებიც არ ცხოვრობენ მითითებულ მისამართებზე. ოპოზიცია, ადგილობრივი არჩევნების ბოლო მომენტამდე, ცესკო-ზე მუდმივ ზეწოლას განახორციელებს, რადგან მისი სურვილია კომისიამ მოაწესრიგოს ტექნიკური პრობლემები, რომ არაფერი ითქვას საკანონმდებლო ხარვეზებზე. ცესკო-ს მიერ დასახელებული ამომრჩეველთა რიცხვი თავისთავად მიანიშნებს ხელისუფლების ინტერესებზე, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ არჩევნებთან. რესპუბლიკური პარტია სიების შედგენის თაობაზე მონიტორინგს კვლავაც განახორციელებს,"** - აცხადებს ხიდაშელი.

რაც შეეხება, მარკირების სითხის შოვნას, ეს საკითხი კვლავაც ღიად რჩება. არადა, არსებული კანონმდებლობით, მარკირების პროცედურის ჩატარება აუცილებელია. ამასვე მოითხოვენ საერთაშორისო ორგანიზაციები. აქედან გამომდინარე, ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია, მარკირების ის სითხე იშოვოს, რომლის თითიდან მოშორება გარკვეული დროის განმავლობაში შეუძლებელი იქნება.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩასატარებლად მარკირებისათვის საჭირო სითხის შესაძენად, ცესკო საერთაშორისო ტენდერს გამოაცხადებს. ცესკო-ს მტკიცებით, საქართველოში მარკირებისთვის საჭირო სითხე არ იწარმოება, მას მხოლოდ რამდენიმე უცხოური კომპანია ამზადებს. ცესკო ტენდერში გამარჯვებული კომპანიისგან "ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და აბსოლუტურად უხილავ" სითხეს შეიძენს, რომლის წაშლაც შეუძლებელი იქნება.

# პრეზიდენტი საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდა

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და სააკაშვილი-პუტინის შეხვედრა იყო გუშინ მთავარი თემა საქართველოს პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის შეხვედრაზე.

შეხვედრაზე, რომელიც დახურულ კარს მიღმა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, ქვეყანაში მიმდინარე ყველა პოლიტიკური მოვლენა განიხილებოდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტმა უმრავლესობასთან ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის დეტალებზე ისაუბრა.

"ჩვენ განვიხილეთ ის პერსპექტივები, რაც საქართველოს აქვს. სიტუაცია რუსეთთან არ არის მარტივი და საკმაოდ რთული რჩება," - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა. გარდა ამისა, შეხვედრაზე საუბარი იყო ტერაქტზე, რომელიც დავითაშვილის წინააღმდეგ იგეგმებოდა. "რომ არა ჩვენი სამართალდამცავების აქტიური მუშაობა, ეს ტერაქტი აუცილებლად განხორციელდებოდა. შეიძლება ეს დავითაშვილზე არ განხორციელებულიყო, მაგრამ ვინმეს მაინც შეიწირავდა," - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის საკითხებიც განიხილეს. როგორც მაჭავარიანმა აღნიშნა, ენერგოსექტორში ჩეხური კომპანია "ენერგო პრო" დაახლოებით 320 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. "თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს ბიუჯეტი წლის ბოლომდე 3 მილიარდ დოლარს მიუკაკუნებს," - აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

*ინტერპრესნიუსი*

# ყაზახეთი აზერბაიჯანის გამოცდილებას გაიზიარებს

ყაზახეთი, სადაც წარმატებით ვითარდება ნავთობგაზის სექტორი, ამ სფეროში აზერბაიჯანის მდიდარი გამოცდილებითაა დაინტერესებული - განაცხადა ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ალმა-ატაში აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან შეხვედრისას. მისი თქმით, კასპიისპირეთში ურთიერთქმედება რეგიონული თანამშრომლობისათვის ხელსაყრელ საშუალებებს იძლევა.

სახელმწიფოთა მეთაურებმა აღნიშნეს, რომ ეკონომიკურ სფეროში, განსაკუთრებით კი, სოფლის მეურნეობის სექტორში თანამშრომლობის გაფართოებისთვის უზარმაზარი პოტენციური შესაძლებლობები არსებობს.

ნაზარბაევმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან ყაზახეთის მიერთების საკითხზე საუბრისას ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან ვაჭრობის საქმეში მთავარ მაკავშირებელ რგოლებად სწორედ კასპიის ზღვის ორივე სანაპიროზე მდებარე ყაზახეთი და აზერბაიჯანი ითვლებიან. ყაზახეთის პრეზიდენტის თქმით, 2015 წლამდე ყაზახური ნავთობის მოპოვების მოცულობის ზრდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის აუცილებელ ამოქმედებას მოითხოვს.

ილჰამ ალიევის თქმით, ორი სახელმწიფოს მიერ ყაზახური ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა ორ ქვეყანას შორის მაღალი რანგის ურთიერთობის არსებობაზე მეტყველებს. მისივე განცხადებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიაა, რომელსაც მილიონობით ტონა ნავთობის ტრანსპორტირების საშუალება ექნება. **მედიანიუსი**

# პუტინის საკადრო არჩევანმა ყველა გააოცა

ვლადიმირ პუტინმა საკუთარი საკადრო არჩევანით ყველა გააოცა. პრეზიდენტმა გენერალური პროკურორის პოსტზე იუსტიციის მინისტრი იური ჩაიკა წარადგინა.

ჩაიკას გენერალური პროკურორის პოსტზე დანიშვნა ყველასათვის მოულოდნელი იყო. მის კანდიდატურას არც ერთი წყარო არ ასახელებდა. ჩაიკა გენერალური პროკურორის მოვალეობას 1999 წლის აპრილიდან აგვისტოს ჩათვლით ასრულებდა. ოფიციალურად ჩაიკას პოსტზე 23 ივნისისს დაამტკიცებენ. ჩაიკა ხასიათდება, როგორც მაღალი დონის პროფესიონალი, რომელიც თავის საქმეს ჩუმად და მაღალ დონეზე ასრულებს. პოლიტოლოგები და ექსპერტები აღნიშნულ ვაკანსიაზე დმიტრი კოზაკს, ვლადიმირ ასკუტოვს და ლუბოვ სლისკას ასახელებდნენ.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ექს-გენპროკურორი უსტინოვი რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს უხელმძღვანელებს, ხოლო იუსტიციის მინისტრი კოზაკი გახდება. მეორე ვერსიით უსტინოვს პუტინი კრასნოდარის მხარის გუბერნატორად გაგზავნის.

*ჯი-ეიჩ-ენი*

მოკლედ

## ელენე თევდორაძე შეწყალების საკითხებს პრეზიდენტთან შეათანხმებს

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე საქართველოს პრეზიდენტთან შეწყალების სახელმწიფო კომისიის მუშაობის პროცედურებს შეათანხმებს. ელენე თევდორაძის თქმით, შეწყალების სახელმწიფო კომისია თვეში ერთხელ იკრიბება და პატიმრების შეწყალების თაობაზე პრეზიდენტისთვის წარსადგენ მასალებს ამზადებს.

პარლამენტარის განცხადებით, კომისიის მიერ დეკემბერში წარდგენილი მასალების მიხედვით, პრეზიდენტმა პატიმრების ნაწილი მხოლოდ მაისში შეიწყალა. ამის გამო, თევდორაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტთან კომისიის მუშაობის პერიოდულობაც უნდა შეათანხმოს. კომიტეტის თავმჯდომარის მოსაზრებით, კომისიამ მომავალი სხდომა მხოლოდ მაშინ უნდა გამართოს, თუკი საქართველოს პრეზიდენტი ხელს მოაწერს პატიმრების შეწყალების შესახებ გადაწყვეტილებას.

ელენე თევდორაძის განცხადებით, შეწყალების სახელმწიფო კომისიაში უკვე შესულია დეკემბრის, იანვრისა და თებერვლის მასალები, რომელიც 150 პატიმარს შეეხება.

პარლამენტარის ინფორმაციით, პრეზიდენტს დეკემბერში 71 პატიმრის შეწყალების საკითხი წარედგინა, თუმცა, მან მაისის თვეში მხოლოდ 11 პატიმარი შეიწყალა. აქედან სამი ისეთი პატიმარი აღმოჩნდა, რომელსაც თევდორაძემ შეწყალებაზე უთხრა უარი. აქედან გამომდინარე, თევდორაძეს აინტერესებს, რატომ მიიჩნია პრეზიდენტმა, რომ აღნიშნული პატიმრები შეწყალებულნი უნდა ყოფილიყვნენ, მაშინ, როცა "ჩემზე უკეთესად არავინ იცის, რომელი პატიმარია შესაწყალებელი და რომელი არა", - აღნიშნავს თევდორაძე.

*ინტერპრესნიუსი*

## რუსეთის გენპროკურორობის კანდიდატი

რუსეთის სათათბიროს უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის წევრის, ვიქტორ ილიუხინის ინფორმაციით, რუსეთის გენერალური პროკურორის პოსტზე დუმის პირველი ვიცე-სპიკერის ლიუბოვ სლიზკას კანდიდატურა განიხილება.

"არაფერი გამიკვირდება, მათ შორის არც ის, რომ გენერალურ პროკურატურას სათავეში სლიზკა ჩაუდგეს", - აღნიშნა ილიუხინმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში სლიზკა რუსეთის გენპროკურატურაში მიმდინარე ცვლილებების მიმართ დიდ ინტერესს ამჟღავნებს; კერძოდ, იგი გენპროკურატურას ხშირად რიგი საქმეების ობიექტური გამოძიებისკენ მოუწოდებს.

ამავე დროს, ილიუხინის აზრით, ლიუბოვ სლიზკა გენპროკურორის თანამდებობაზე ერთადერთი ვარიანტი როდია. "რუსეთის გენერალური პროკურორი რუსეთის პრეზიდენტისათვის მისაღები და მოსახერხებელი ადამიანი იქნება. ამის შანსები კი სლიზკასთან ერთად დეპუტატ დიმიტრი კოზაკოვსაც აქვს", - ამბობს ილიუხინი.

მისივე აზრით, უკიდურეს შემთხვევაში, გენპროკურორი პრეზიდენტის პროვოლჟიეს ოლქის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ალექსანდრე კონოვალოვი გახდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## უაქციზო სიგარეტის ყველაზე მსხვილი რეალიზატორი

ფინანსურმა პოლიციამ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თბილისის სამმართველოსთან ერთად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად უაქციზო სიგარეტის ყველაზე მსხვილი რეალიზატორი მანანა ხიჯაკაძე დააკავა. სპეცოპერაცია, სპეცდანიშნულების რაზმის გამოყენებით, სამგორში გუშინ გამთენიისას ჩატარდა. ფინანსური პოლიციის ოპერატიული მონაცემების თანახმად, მანანა ხიჯაკაძე ყოველდღიურად, დაახლოებით, 25 ათას კოლოფ უაქციზო სიგარეტს ყიდდა (რაც ფარულ ვიდეოგადაღებებშია დაფიქსირებული). გამოძიების მონაცემებით, მისი ყოველდღიური მოგება, დაახლოებით, 1000 ლარს შეადგენდა. ხიჯაკაძე თბილისში უაქციზო სიგარეტის ყველაზე მსხვილ რეალიზატორად ითვლებოდა. სხვა გამსაღებლებს უაქციზო სიგარეტი სწორედ მისგან მიჰქონდათ. ამ სპეცოპერაციის ჩატარებდამდე მანანა ხიჯაკაძე ფინანსურ პოლიციას 5-ჯერ ჰყავს დაკავებული.

მანანა ხიჯაკაძეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტი სამგორში მდებარე ბაზრობა "სამგორი 2004"-ის ტერიტორიაზე, საყასბოში, შემნახველ საკანსა თუ ჯიხურებში, დაახლოებით, 15 წერტილში ჰქონდა შენახული. ამ ეტაპზე ბაზრობის ჩხრეკის შედეგად ნაპოვნია 5 ათას კოლოფზე მეტი უაქციზო სიგარეტი. გამოძიება ფინანსური პოლიციის პირველ ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველოში მიმდინარეობს. მანანა ხიჯაკაძესთან ერთად დაკავებულია მისი თანამზრახველი მერაბ აბშილავაც. მათ 4-დან 6-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

*ინტერპრესნიუსი*

# უპრეცედენტო მართლმსაჯულება

პირველი გვერდიდან

იმავე მუხლის მე-2 ნაწილში კი მითითებულია, რომ "სააპელაციო ინსტანციას უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად, გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გააუარესოს განსასჯელის მდგომარეობა, თუ პროკურორმა, დაზარალებულმა, ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროცესის სხვა მონაწილემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არ აქვს გასცდეს ბრალდების ფარგლებს, რომელიც განსასჯელს წაუყენეს წინასწარი გამოძიების დროს და რომელსაც მხარი დაუჭირეს პირველი ინსტანციის სასამართლოში".

ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოსამართლეს უფლება არ აქვს სადამსჯელო ფუნქცია იტვირთოს და სახელმწიფო ბრალდების მიერ მოთხოვნილ სასჯელზე უფრო მკაცრი განაჩენი გამოიტანოს - დაამძიმოს განსასჯელის მდგომარეობა.

მოკლედ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მაგიდაზე უდევთ თუ არა, ნებისმიერ შემთხვევაში, უკლებლივ ყველა მოსამართლეს მისი ცოდნა ევალება, მისი დარღვევა და გვერდის ავლა კი მათი მხრიდან, არც მეტი არც ნაკლები, დანაშაულია.

2005 წლის 4 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ დალი მეტრეველმა განსასჯელ კონსტანტინე ფარესაშვილს განაჩენი გამოუტანა. ფარესაშვილს, რომელიც სისხლის სამართლის რამდენიმე მუხლით იყო ბრალდებული, მოსამართლემ ორი, საკმაოდ მძიმე ბრალდება მოუხსნა; გაამართლა 260-ე მუხლის 1 და 2 ნაწილის ა, დ და ე ქვეპუნქტებში და 236-ე მუხლის 1 ნაწილში. საუბარია, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღებასა და, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაზე.

საბოლოოდ, მოსამართლის გადაწყვეტილებით, კონსტანტინე ფარესაშვილს, 276-ე მუხლის საფუძველზე - ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მოსამართლის განაჩენს დაეთანხმა სახელმწიფო ბრალმდებელიც, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სააპელაციოში არ გაუსაჩივრებია; მეტიც, მოგვიანებით, როცა სააპელაციო სასამართლოს განსასჯელმა და დაზარალებულმა მიმართეს, სახელმწიფო ბრალმდებელმა მხარი არ დაუჭირა სააპელაციო საჩივარს და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ძალაში დატოვება მოითხოვა.

ერთი სიტყვით, სააპელაციო სასამართლომ განსასჯელის, რომელიც გამართლებას ითხოვდა და დაზარალებულის, რომელიც ზიანის ანაზღაურებას ახალი ვარიანტით ითხოვდა, სარჩელები განიხილა და კონსტანტინე ფარესაშვილს სასჯელი დაუმძიმა - სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**"სააპელაციო სასამართლომ პირველი ინტანციის გადაწყვეტილება შეცვალა საუარესოდ და გაამკაცრა სასჯელი. ამ მოქმედებით მოსამართლემ არსებითად დაარღვია 540-ე მუხლის მოთხოვნები, საუარესოდ შებრუნებასთან დაკავშირებით; კერძოდ, სააპელაციო ინსტანციას უფლება ჰქონდა, დაემძიმებინა სასჯელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მოთხოვნას ბრალდების მხარე აყენებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, რასაც ადგილი არ ჰქონია და, შესაბამისად, არ ასახულა განაჩენში. სასჯელის გამკაცრებისა და მასთან ერთად სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს მიმართა დაზარალებულმა, რომელსაც აღნიშნული მოთხოვნა არ ჰქონია პირველ ინსტანციაში და ითხოვდა, მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებას",** - აცხადებს ფარესაშვილის ადვოკატი ზაზა ბუაჩიძე, რომელსაც სხვა სამართლებრივი პრეტენზიები აქვს, როგორც სააპელაციო ისე, პირველი ინსტანციის სასამართლოსთან.

**"არც ერთი ინსტანციით საქმის განხილვისას საქმეში არსებულ მტკიცებულებებს სწორი სამართლებრივი შეფასება არ მიეცა. ორივე ინსტანციის განაჩენი აშკარად უკანონოა და გამოტანილია მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევებით, სამართლებრივი საკითხების არასწორი შეფასებით და საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევით. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ალასანიამ, ფაქტობრივად, გაიმეორა ის უხეში შეცდომები, რაც დაშვებული იყო პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას",** - აცხადებს ადვოკატი, რომლის საკასაციო საჩივარიც უკვე ჩაიბარა უზენაესმა სასამართლომ.

იმ სამართლებრივი პრეტენზიების ჩამოთვლით, რომელიც ადვოკატს თავის საკასაციო საჩივარში აქვს მოტანილი, ახლა თავს არ შეგაწყენთ, მით უმეტეს, რომ მოსამართლეთა მიერ დარღვეული საპროცესო ნორმები საკასაციო საჩივარში მრავლადაა. მხოლოდ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ მოგახსენებთ.

გამოძიების მიერ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღებაში და, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ბრალდებულ ფარესაშვილს სასამართლომ ორივე მუხლი მოუხსნა - გაამართლა ბრალდებებში; ანუ ნივთმტკიცებები, რომელიც პოლიციამ, როგორც ფარესაშვილის, ასევე, მისი მშობლების სახლიდან ამოიღო, ორივე ინსტანციის სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნია და დაადგინა:

"ნივთმტკიცება 0,027 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", 0,197 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", 0,185 გრამი პრეპარატი "სუბუტექსი", რომელშიც ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინი"-ს შემცველობა შეადგენს 0,0037 გრამს, 0, 805 გრამი ნარკოტიული საშუალება "ოპიუმი" განადგურდეს, რომლის შესრულებაც დაევალოს შს სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ სამმართველოს.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ორი ცალი 5-მილიგრამიანი ერთჯერადი მოხმარების შპრიცი განადგურდეს", - ასეთი ბრძანებები გასცეს მოსამართლეებმა მეტრეველმა და ალასანიამ, თუმცა არც ერთ მოსამართლეს არ უმსჯელია იმაზე, თუ საიდან აღმოჩნდა ჩამოთვლილი ნარკოტიკული საშუალებები და ხელყუმბარა ფარესაშვილის სახლში, არ უმსჯელიათ იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხზე, რომლებმაც, თავის დროზე, ფარესაშვილების სახლში ჩხრეკა ჩაატარეს და დასახელებული "ნივთმტკიცებები" ამოიღეს. არადა, ფარესაშვილები, კარგა ხანია, იმ პოლიციელთა პასუხისგებაში მიცემას ითხოვენ, რომლებმაც მათ სახლში ჩამოთვლილი ნარკოტიკები და ხელყუმბარა "ჩადეს", მათ არაერთ ინსტანციას მიმართეს საჩივრით, თუმცა - უშედეგოდ. სხვათა შორის, პოლიციის ორი მაღალჩინოსანი - მაისურაძე და ბირთველიშვილი, რომლებიც ფარესაშვილის დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდნენ, ცოტა ხნის წინათ, შსს-ს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ ძებნილებად გამოცხადდნენ.

ფარესაშვილის მამა ზურაბ ფარესაშვილი იმ პოლიციელების პასუხისგებაში მიცემას ითხოვს, რომლებიც ახლაც შსს-ში მუშაობენ და რომლებმაც მათ სახლში მოსამართლეების მიერ ფალსიფიცირებულ მტკიცებულებად მიჩნეული ნარკოტიკები და იარაღი "ჩადეს" და, როგორც თავად აცხადებს, მისი შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, მას თანხას სძალავდნენ.

**"პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულიც არ ყოფილა სასამართლო ძიების დროს დადგენილ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი. არადა, მათ ჩაიდინეს კანონის უხეში დარღვევა და მსჯავრდებულ ფარესიშვილს, როგორც პირადად, ისე მშობლების ბინაში ჩხრეკის დროს ჩაუდეს ნარკოტიკული საშუალებები და საბრძოლო იარაღი - ხელყუმბარა. რაც პირველი ინსტანციის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტშიც ჩანს; ანუ მოსამართლე მეტრეველმა დაადგინა ნარკოტიკების განადგურების საკითხი, თუმცა გვერდი აუარა იმ ფაქტს, საიდან გაჩნდა ნარკოტიკები ფარესაშვილის ბინაში. სამწუხაროდ, იგივე და უარესი შეცდომა ჩაიდინა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ალასანიამ, რომელმაც, ასევე, არ განიხილა ფარესაშვილის სააპელაციო საჩივრის პირველი პუნქტი, რომელშიც იგი პირდაპირ მიუთითებდა აღნიშნულ დარღვევებზე და ითხოვდა მის განხილვას",** - აცხადებს ადვოკატი ზაზა ბუაჩიძე, რომელიც სხვა სამართლებრივი ხარვეზების გამოსწორებასთან ერთად საკასაციო სასამართლოს სთხოვს ფარესაშვილის საქმეში დამნაშავე პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასაც.

სხვათა შორის, ფარესაშვილების გახმაურებული საქმე თავის დროზე კონტროლზე აიყვანა სახალხო დამცველმაც, რომელმაც ამ საქმეში გამოვლენილი ცრუ მოწმეების შესახებ გენერალურ პროკურატურას რეკომენდაციით მიმართა და შეტყობინება გაუგზავნა უზენაეს სასამართლოსაც, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც ცრუ მოწმეების გამოყენებით იყო მიღებული, არ იყო გასათვალისწინებელი.

# ვალერი გელაშვილის საქმეზე მოწმეთა დაკითხვა დასრულდა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ყოფილი პარლამენტარის, "რესპუბლიკელ" ვალერი გელაშვილის საქმესთან დაკავშირებით მოწმეთა დაკითხვა დასრულდა. გუშინდელ სხდომაზე ჩვენება თბილისის 84-ე სკოლის პედაგოგმა, სამეურნეო დარგში დირექტორის მოადგილემ გულნარა ფრანგიშვილმა მისცა.

როგორც მოწმემ აღნიშნა, ვალერი გელაშვილი მასთან 2005 წლის ზაფხულში მივიდა და სკოლის შენობის და ტერიტორიის ფასით დაინტერესდა. ფრანგიშვილის თქმით, დეპუტატს აინტერესებდა, ახალი სკოლის აშენების შემთხვევაში, გადავიდოდნენ თუ არა პედკოლექტივი და მოსწავლეები ახალ შენობაში, რაზეც თანხმობა მიიღო. პედაგოგის განცხადებით, ამის შემდეგ ვალერი გელაშვილს მოლაპარაკებები სამინისტროსთან უნდა ეწარმოებინა.

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში, რომლის თანახმად, ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა, ნათქვამია, რომ ყოფილი დეპუტატი 84-ე სკოლის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. არადა, სასამართლოში ვალერი გელაშვილის წარმომადგენელი თინათინ ხიდაშელი აცხადებდა, რომ ეს ფაქტი მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება.

ხიდაშელის ინფორმაციით, მოსარჩელეებს აინტერესებდათ ერთადერთი რამ - შეხვდა თუ არა ვალერი გელაშვილი გულნარა ფრანგიშვილს, რომელიც პარლამენტის დადგენილებაში მოწმედ არის დასახელებული და რა საუბარი შედგა მათ შორის.

ხიდაშელის თქმით, მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება, რომ ვალერი გელაშვილს რაიმე კომერციული ინტერესი ჰქონდა, ვინაიდან 84-ე სკოლის პედაგოგი გულნარა ფრანგიშვილი არ იყო უფლებამოსილი პირი, რომელსაც შეეძლო გარიგება დაედო. მისივე განცხადებით, მოწმემ დაადასტურა, რომ ვალერი გელაშვილს პედკოლექტივისთვის არ უთხოვია სამინისტროსთან რაიმე სახის შუამდგომლობით მიმართვა.

"ვალერი გელაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებები გამოგონილია. არ ჩანს არანაირი მიზეზი, რატომ უნდა ესაუბრა ბიზნესმენს ადამიანთან, რომელსაც არც დახმარებას სთხოვდა და არც რაიმეს გაკეთებას. დადგენილება, რომელიც პარლამენტმა მიიღო, ვერანაირ საკონსტიტუციო ტესტირებას ვერ გაუძლებს. მთავარი აქ ის არის, გაუძლებს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შემადგენლობა იმ ზეწოლას, რასაც ხელისუფლება განახორციელებს", - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

სასამართლოზე მოპასუხე მხარეს წარმოადგენენ საქართველოს პარლამენტის წევრები: ნიკა გვარამია და პალიკო კუბლაშვილი, რომლებმაც სასამართლო პროცესის დასრულებამდე კომენტარისგან თავი შეიკავეს.

საკონსტიტუციო სასამართლო იმ დადგენილების კანონიერებას განიხილავს, რომლითაც ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება 31 მარტს მოეხსნა. საქმე არსებითი განხილვის სტადიაზეა.

საკონსტიტუციო სასამართლოში გელაშვილის საქმეზე, ასევე, დაიკითხნენ ექსპერტ-იურისტები. ექსპერტებმა პასუხი გასცეს კითხვებს - იყო თუ არა კანონის დაცვით მიღებული პარლამენტის ის დადგენილება, რომლის საფუძველზეც ვალერი გელშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა. როგორც სასამართლოში ყოფილი დეპუტატის წარმომადგენლები განმარტავენ, პარლამენტის დადგენილება, ობიექტურობის დაცვის შემთხვევაში, ვერანაირ კრიტიკას ვერ გაუძლებს.

*ინტერპრესნიუსი*

## "სახალხო ბანკის" სენაკის ფილიალის დაყაჩაღება

სენაკში "სახალხო ბანკი" დააყაჩაღეს. სარწმუნო წყაროს ცნობით, წაღებულია 300 ათასი ლარი, 50 ათასი დოლარი და 40 ტომარა ოქრო, რომელიც ბანკში სალომბარდო განყოფილების სპეციალურ საცავში ინახებოდა. ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა ვითარებაში მოხდა ყაჩაღობა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ შეიარაღებული პირები მოულოდნელად მაშინ შეიჭრნენ სახალხო ბანკის ფილიალში, როდესაც ერთ-ერთი მცველი გარეთ აპირებდა გამოსვლას. დამნაშავეებმა დარაჯებს, სავარაუდოდ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

სენაკის კრიმინალური პოლიციის სამსახურის უფროსი თემურ შურღაია მომხდარზე კომენტარს არ აკეთებს.

როგორც ფილიალის მმართველმა ავთანდილ მიქავამ განაცხადა, ბანკი სიგნალიზაციის კონტროლზე აყვანილი არ იყო.

"ძარცვის შესახებ გვიან გავიგე. ამ დროისათვის მიმდინარეობს თანამშრომელთა დაკითხვა", - ამბობს მიქავა.

შემთხვევის ადგლიზე მივიდნენ სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თემურ გერგაია და სხვა სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელები.

როგორც ბანკის დარაჯი აცხადებს, მისთვის უცნობია, როგორ შეაღწიეს ორგანიზაციაში მძარცველებმა. ყაჩაღობის მუხლით უკვე აღძრულია საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა სამართალდამცველები ამ ეტაპზე არ აცხადებენ, ცნობილია თუ არა ეჭვმიტანილთა სავარაუდო წრე.

ბანკის ფილიალის წინ გუშინვე შეიკრიბა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთაც ბანკში სხვადასხვა სახის ანაბრები და ოქროულობა ჰქონდათ ჩადებული. ისინი თავიანთ კუთვნილ თანხას და ოქროულობას ითხოვენ. ადგილობრივი ხელმძღვანელობის დაპირებით, ისინი მიიღებენ კუთვნილ თანხას, მაგრამ ამას დასჭირდება რამდენიმე დღე.

როგორც "სახალხო ბანკში" ცხადებენ, ზარალის ოდენობა ჯერჯერობით ბოლომდე დადგენილი არ არის. ფილიალის ხელმძღვანელობა თბილისიდან სენაკში გაემგზავრა. სავარაუდოდ, დეტალები მათი უკან დაბრუნების შემდეგ გახდება ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ სენაკში ეს ბანკის გაძარცვის პირველი შემთხვევა არ არის. რამდენიმე წლის წინ გაიძარცვა "ინტელექტბანკის" სენაკის ფილიალიც, მაგრამ საქმე დღემდე გაუხსნელია.

*24 საათი*

## სახალხო დამცველის ანგარიში სხვა თემით არ უნდა გადაიფაროს

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან ბიუროს სხდომაზე ახალი ინიციატივით წარდგა. ელენე თევდორაძე სახალხო დამცველის სოზარ სუბარის 2005 წლის მეორე ნახევრის ანგარიშის პარლამენტის რიგგარეშე სესიისთვის გადადებას მოითხოვს. თევდორაძის განცხადებით, მას აქვს გარკვეული ინფორმაცია, რომ იგეგმება პარლამენტის რიგგარეშე სესია, ამიტომაც იგი მოითხოვს სახალხო დამცველის ანგარიში რიგგარეშე სესიაზე საგანგებოდ იქნეს განხილული. როგორც ელენე თევდორაძე აცხადებს, სახალხო დამცველის ანგარიში ძალიან მნიშვნელოვანია. მასში მოყვანილია უმნიშვნელოვანესი ფაქტები, ამიტომაც მისი გადაფარვა არც ერთი სხვა თემით არ უნდა მოხდეს.

*ინტერპრესნიუსი*



# ჩეჩნეთი: „საწამებელი ცენტრების" საიდუმლოებანი

*რუსეთის ადამიანის უფლებების დამცველთა განცხადებით, გატაცებულ ჩეჩნებს უკანონოდ შექმნილ დაკავების ცენტრში აწამებდნენ.*

უმალტ დუდაევი, გროზნო

ადამიანის უფლებების დამცველები ირწმუნებიან, რომ იმ შენობის სარდაფებში, სადაც ბოლო დრომდე რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები იყვნენ განლაგებული, საწამებელი კამერები აღმოჩნდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩეჩნეთის ხელისუფლება გამოძიების დაწყებას აპირებს.

ამ მტკიცებულებებს ასეულობით უკვალოდ გამქრალი ადამიანის ბედისთვის ნათელის მოფენა შეეძლო. თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ინფორმაცია გაზვიადებულია.

გაუჩინარებული ადამიანების ათეულობით ოჯახი გროზნოში, ოქტიაბრსკის რაიონში მდებარე ყრუმუნჯ ბავშვთა ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობასთან შეიკრიბა. რუსეთის ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია „მემორიალის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მათ ხელთ არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ შენობის სარდაფები დაპატიმრებულთა არალეგალური დაკავებისა და საწამებელი ცენტრის ფუნქციას ასრულებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებმა შენობა, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ჩეჩნეთში რუსეთის ანტიტერორისტული ოპერაციების ცენტრს წარმოადგენდა, 26 მაისს დატოვეს. მალევე შენობასთან მუშათა ბრიგადები მივიდნენ, რომლებსაც მისი დანგრევა ჰქონდათ დავალებული. მაგრამ სამუშაოები „მემორიალის" ჩარევის შემდეგ შეჩერდა, რომელმაც ხელისუფლებას შენობის წინასწარი ჩხრეკის უფლება მოსთხოვეს.

,,მემორიალის" თანამშრომლების ჯგუფი შენობას სამი დღის განმავლობაში ათვალიერებდა. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა რუსი მილიციელების მიერ 2002 წლიდან წარმოებულ ალბომს მიაკვლიეს, სადაც ათეულობით დაკავებული ადამიანის ფოტო აღმოჩნდა. ფოტოსურათებზე აღბეჭდილ რამდენიმე დაკავებულს ცემის აშკარა კვალი აღენიშნება. გარდა ამისა, ,,მემორიალის" წარმომადგენლებმა სარდაფის კედლებზე გაკეთებული წარწერები აღმოაჩინეს, რომლებიც ტუსაღთა დაკავების ხანგრძლივობაზე მიუთითებს.

„მემორიალის" თანამშრომლებმა დაკავებულთა მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ ცნობები პირველწყაროდანაც მოიპოვეს. ერთ-ერთმა ყოფილმა პატიმარმა ალავდი სადიკოვმა ადამიანის უფლებათა დამცველებთან საუბრისას ცენტრი ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკს – ბუხენვალდს შეადარა. იგი იხსენებს, რომ „შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული მუშაკები დაკავებულებს ძაღლებს უქსევდნენ, ფრჩხილების ქვეშ სადგისს არჭობდნენ და უროებით სცემდნენ".

„დაკავებულებს ყოველ დღე მხეცურად აწამებდნენ", – თქვა სადიკოვმა.

„მიზეზი არ გვაქვს, რომ სადიკოვს არ დავუჯეროთ. მან ამ სარდაფში ჯოჯოხეთი გამოიარა – სასტიკად აწამებდნენ და ერთი ყურიც კი მოაჭრეს", – განაცხადა „მემორიალის" ნაზრანის ოფისის ხელმძღვანელმა შაჰმან აკბულატოვმა.

ხელისუფლებამ „მემორიალს" მტკიცებულებების გადაცემა სთხოვა და განაცხადა, რომ საქმის გამოძიება დაიწყება. თუმცა, როგორც ჩეჩნეთის გენერალურმა პროკურორმა ვალერი კუზნეცოვმა განაცხადა, რაიმე დასკვნის გაკეთება ჯერ ნაადრევია.

7 ივნისს „ინტერფაქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ სარდაფი „დროებითი დაკავების ცენტრის" ფუნქციას ასრულებდა, რომლის არსებობსაც გასაიდუმლოებული არ ყოფილა.

„ამ ეტაპზე რაიმე კატეგორიული დასკვნის გაკეთება ნაადრევი და სამართლებრივად არაკორექტულია", – განაცხადა კუზნეცოვმა საინფორმაციო სააგენტოსთან საუბრისას.

ჩეჩნეთის ადამიანის უფლებების კომისარი ნურდი ნუხაჟიევი „მემორიალის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას შეეცადა და განაცხადა, რომ „შენობაში სერიოზული არაფერი უპოვნიათ".

„იქ ხალხის წამებისა და მოკვლის დამადასტურებელი საბუთი არ აღმოჩენილა", – იმავე დღეს განუცხადა ნუხაჟიევმა „ინტერფაქსს".

თუმცა „მემორიალის" აღმოჩენებმა დაადასტურა ბევრი ჩეჩენის ეჭვი იმის შესახებ, რომ უკვალოდ გაუჩინარებულ ადამიანებს ოქტიაბრსკის რაიონში არსებული ცენტრის მსგავს ადგილებში სასტიკად აწამებდნენ.

ადამიანის უფლებების დამცველი ჯგუფის წარმომადგენელთა განცხადებით, მხოლოდ წელს ჩეჩნეთში 103 ადამიანი გაიტაცეს. მათგან 50 გაათავისუფლეს, ექვსი მკვდარი იპოვეს, 38 ადამიანი კი დღემდე უგზო-უკვლოდ არის დაკარგული.

„მემორიალის" მიერ გროზნოს ცენტრში გაკეთებული აღმოჩენების შესახებ განცხადების გაკეთების შემდეგ ბოლო წლების განმავლობაში გაუჩინარებული ათეულობით ადამიანის ნათესავები ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობასთან დაკარგულთა ბედის გარკვევის იმედით შეიკრიბნენ.

„ეს ადგილი ძალიან მძიმე სანახავი გახლდათ. ნესტიანი სარდაფი საკნებად იყო დაყოფილი, სადაც დღის შუქიც კი ვერ აღწევს. კედლებზე წარწერები დავინახე „სიკვდილი დუხებს" (ასე უწოდებენ რუსი სამხედროები ჩეჩენ ამბოხებულებს), – განაცხადა გროზნოს მკვიდრმა სედა ისმაილოვამ, რომელიც 2001 წელს დაკარგული ძმისშვილის ბედის გარკვევას ცდილობდა.

„კედლებზე წარწერები თავად დაკავებულებსაც გაუკეთებიათ. ბევრი მათგანის სახელის გასწვრივ პატარა ხაზებია გასმული, რაც, ალბათ, მათ მიერ პატიმრობაში გატარებული დღეების აღმნიშვნელი იყო. იქ 10 წუთზე მეტხანს არ გავჩერებულვარ, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმის გასაგებად, თუ რა საშინელება ტრიალებდა ამ სარდაფში", – დასძინა სედამ.

გროზნოს გარეუბანში მდებარე კატაიამას დასახლებაში მცხოვრებმა ვაჰიდ აკუევმა IWPR-თან საუბრისას განაცხადა, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ მეზობლად მდებარე რაიონში – სოლენაია ბალკაში მსგავსი დაკავების ცენტრის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები იპოვა. ეს ადგილი რუსმა სამხედროებმა მაისში დატოვეს. როგორც აკუევმა აღნიშნა, რამდენიმე წლის წინ იქ გატაცებული ადამიანების დამახინჯებული სხეულები აღმოაჩინეს.

„ნორმალურ სახელმწიფოში სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა. აქ კი დამნაშავეებს ადამიანის უფლებათა დამცველი იცავს... მომავალში ასეთი საშინელი დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან ასაცილებლად სიმართლის გარკვევა აუცილებელია", – განაცხადა აკუევმა.

ადამიანის უფლებების დამცველები აცხადებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოქტიაბრსკის რაიონის ოპერატიულ ჯგუფში უფროსი ლეიტენანტი სერგეი ლაპინი მსახურობდა. გასულ წელს მას გროზნოს მცხოვრების – ზელიმხან მურდალოვის სასტიკი წამებისთვის 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 2001 წლის იანვარში, სასამართლომ დაასკვნა, რომ ლაპინმა ახალგაზრდა ჩეჩენი, რომელიც უსაფუძვლოდ დააკავა, სასტიკად სცემა და მისი ცოცხალ-მკვდარი სხეული უცნობ ადგილას წაიღო. მურდალოვის გვამი დღემდე ვერ აღმოაჩინეს.

www.iwpr.net

# აზერბაიჯანი: ინსტიტუტის დახურვას შიმშილობის აქცია მოჰყვა

*კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები ხელისუფლებას არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისთვის სანქციების დაწესების გამო უპირისპირდებიან.*

ლეილა ამიროვა, ბაქო

„მოვითხოვთ განათლების უფლების აღდგენას", „შეჩერდეს ეს უკანონობა" – ასეთი პლაკატებია გამოკრული ბაქოს უნივერსიტეტის ,,დამოუკიდებელი აზერბაიჯანი" პატარა აუდიტორიის კედლებზე, სადაც სტუდენტებმა ორი კვირაა, შიმშილობის აქცია წამოიწყეს. ამგვარად ისინი უნივერსიტეტისთვის ლიცენზიის ჩამორთმევას აპროტესტებენ.

38 გრადუსი სიცხე, არანაირი კონდიცირება. აუდიტორიაში, სადაც რამდენიმე კვირის წინ საკონსტიტუციო სამართალს სწავლობდნენ, ახლა ანტისანიტარია სუფევს. უჰაერო ოთახში მყოფთა ჯანმრთელობის მდგომარეობა შეშფოთებას იწვევს.

„საპროტესტო აქცია უკიდურესად მძიმე პირობებში მიმდინარეობს. შენობაში ფანჯრები არ იღება, სტუდენტებს კი სასმელი წყალი არ ჰყოფნით", – განაცხადა ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა რობერტ აისმანმა უნივერსიტეტის მონახულების შემდეგ.

უნივერსიტეტი ,,დამოუკიდებელი აზერბაიჯანი" და მოსკოვის სამართლისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტის ბაქოს ფილიალი მას შემდეგ დაიხურა, რაც 5 მაისს ხელისუფლებამ ამ უმაღლესი სასწავლებლებისათვის სასწავლო ლიცენზიის გაცემაზე უარი განაცხადა.

ეს ორი უნივერსიტეტი განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას შეეწირა, რომლის მიზანიც უცხოური ინსტიტუტების ფილიალებსა და კერძო სასწავლებლებში საგანმანათლებლო სტანდარტების ამაღლებაა.

გარდა ამისა, განათლების სამინისტრომ ქვეყნის ყველა კერძო უმაღლესი სასწავლებლის სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებზე აბიტურიენტთა განაცხადების მიღების პროცესიც შეაჩერა. აზერბაიჯანში ეს სპეციალობები ყველაზე პრესტიჟულად ითვლება, ამიტომ სწავლის საფასური სხვებთან შედარებით მაღალია. ფაქტობრივად, ბევრი კერძო სასწავლებელი სწორედ ამ ფაკულტეტებიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე არსებობს.

განათლების სამინისტროს განცხადებით, აღნიშნულ ინსტიტუტებს განათლებაზე მეტად ფინანსური მოგება აინტერესებთ. ისინი სტუდენტთა რაოდენობას ყოველწლიურად ზრდიდნენ – ხშირად უკანონოდ და ტექნიკური შესაძლობლებობის გაუთვალისწინებლად.

2005 წელს სხვადასხვა სამთავრობო დეპარტამენტების წარმომადგენელთაგან შემდგარმა სპეციალურმა კომისიამ კერძო ინსტიტუტებში სწავლების ხარისხის შეფასება მოახდინა და დაასკვნა, რომ ბევრი მათგანი კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად საჭირო ბაზას არ ფლობს.

კომისიამ აგრეთვე დაასკვნა, რომ აზერბაიჯანში მოქმედი ორმოცდაათი უმაღლესი სასწავლებლიდან ჩვიდმეტი აუცილებელ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი სტუდენტების მიღებას კვლავ განაგრძობენ.

ზოგიერთი ექსპერტის განცხადებით, არსებული სისუსტეების მიუხედავად, კერძო სასწავლებლები უმაღლესი განათლების სფეროში კონკურენტულ გარემოს ქმნიან.

„რამდენიმე წლის წინ კერძო ინსტიტუტების შექმნამ ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამედიცინო უნივერსიტეტის მონოპოლიას წერტილი დაუსვა. ბაზარი ამ პრობლემებს თავად დაარეგულირებს – წარმატებას ის სასწავლო დაწესებულება მიაღწევს, რომელსაც კომპეტენტური პერსონალი ეყოლება", – განაცხადა პროფესორმა აჟდარ აგაევმა.

თუმცა ხელისუფლება ამ მოსაზრებას არ იზიარებს და, როგორც ჩანს, იმ კერძო ინსტიტუტების აკრძალვას აპირებს, რომლებიც ოფიციალური განცხადების თანახმად, უკანონოდ მოქმედებდნენ.

განათლების სამინისტროს განცხადებით, უნივერსიტეტ ,,დამოუკიდებელი აზერბაიჯანისთვის" ლიცენზიის ჩამორთმევა შემდეგმა ფაქტმა გამოიწვია – უნივერსიტეტმა 1 700 სტუდენტი მიიღო, რომელთაც მისაღები გამოცდები არ ჩაუბარებიათ.

საპროტესტო აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების გამო ისინი არ უნდა ისჯებოდნენ. სტუდენტები სწავლის სხვა ინსტიტუტებში გაგრძელების უფლებას ითხოვენ.

„ჩვენ უმაღლესი განათლების მიღების უფლების აღდგენას მოვითხოვთ", – განაცხადა სტუდენტთა უფლებების კომიტეტის თავმჯდომარემ ელნურ მამედოვმა.

შიმშილობის აქციამ სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გავლენა უკვე იქონია – მათი რიცხვი ასიდან სამოცამდე შემცირდა, თორმეტი მათგანი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ტიმად ბუდაგოვს სამედიცინო დახმარება საკმაოდ გვიან აღმოუჩინეს. როგორც ვარაუდობენ, აქციის დროს იგი ტუბერკულოზით დაავადდა. ბუდაგოვი საავადმოფოში 9 ივნისს მიიყვანეს. აუდიტორიას კი, სადაც საპროტესტო აქცია მიმდინარეობს, დეზინფექცია ჩაუტარდა.

ჯანდაცვის სფეროს მუშაკებმა საპროტესტო აქციის დანარჩენი მონაწილეები გააფრთხილეს, რომ არსებობს ტუბერკულოზით დაავადების საფრთხე. სტუდენტებს შიმშილობის შეწყვეტა და ექიმებთან გამოკვლევის ჩატარება ურჩიეს.

გასული კვირის ბოლოს განათლების სამინისტრო მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს დიპლომების გაცემა, ხოლო მესამე კურსის სტუდენტებს სხვა კერძო ინსტიტუტებში გადასვლა შესთავაზა.

„სტუდენტებს აქციის გაგრძელებისთვის არავითარი საფუძველი აღარ გააჩნიათ, რადგან მათი ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა", – განაცხადა უნივერსიტეტის საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელმა ზაჰირა სამედოვამ.

თუმცა საპროტესტო აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ისინი შიმშილობას მხოლოდ მაშინ შეწყვეტენ, როცა სამინისტრო თავის დანაპირებს რეალურად შეასრულებს.

ზოგიერთის განცხადებით, მიცემული დაპირება საკმარისი არ არის – დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს სხვა კერძო ინსტიტუტებში გადასვლის საშუალება უნდა ჰქონდეთ, რადგან თუ უნივერსიტეტ ,,დამოიკიდებელ აზერბაიჯანს" ლიცენზია ჩამოართვეს, დიპლომები, რომლებსაც ისინი სამინისტროს დაპირების თანახმად მიიღებენ, ღირებული აღარ იქნება.

„რა მნიშვნელობა აქვს ისეთი უნივერსისტეტის დიპლომის აღებას, რომელსაც ლიცენზია არ აქვს?" – განაცხადა სტუდენტთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, IV კურსის სტუდენტმა ელნურ მამედოვმა.

სტუდენტთა საპროტესტო აქციას მხარს ადამიანის უფლებათა დამცველებიც უჭერენ.

„სტუდენტების ბრალი არ არის, რომ ხელისუფლება მსგავს უნივერსიტეტებს გაურკვეველი მიზეზების გამო ამდენი ხნის განმავლობაში ყურადღებას არ აქცევდა", – განაცხადა აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელმა ელდარ ზეინალოვმა. მისი აზრით, ხელისუფლების ეს ნაბიჯი სტუდენტების საკონსტიტუციო უფლების აშკარა დარღვევაა.

საპროტესტო აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და განათლების მინისტრს მისირ მარდანოვს სასამართლოში უჩივლებენ. სასამართლოში სარჩელის შეტანით ის ინსტიტუტებიც იმუქრებიან, რომლებზეც ხელისუფლებამ იერიში მიიტანა.

www.iwpr.net




*შიმშილობის აქცია ბაქოს ერთ-ერთ უნივერსიტეტში*

# ქალის მოტაცების ტრადიცია სამხრეთ საქართველოში

*გამკაცრებული კანონმდებლობისა და ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების აქტიური ძალისხმევის მიუხედავად, ქალის მოტაცების უძველესი ტრადიცია კვლავ აქტუალურია.*

გულო კოხოძე,
თამუნა უჩიძე, ახალციხე

მომავალმა მეუღლემ მაია სამჯერ მოიტაცა. ორჯერ მან გაქცევა მოახერხა, მესამედ კი ხელი ჩაიქნია და ბედს მიენდო.

მიუხედავად იმისა, რომ გიამ და მისმა მეგობრებმა მაია ძალით მოიტაცეს და დაქორწინების გარდა სხვა არჩევანი არ დაუტოვეს, ახლა იგი ამბობს, რომ არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავს.

,,ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მამაკაცის გვერდზე ვცხოვრობ", – ეღიმება მაიას.

14 წლის წინ დაქორწინებულ ცოლ-ქმარს უკვე სამი შვილი ჰყავს. მშობლიურ სოფელში მაიას ყველა იცნობს. ამიტომ მან თავისი ნამდვილი სახელის საიდუმლოდ შენახვა გვთხოვა.

მაიას და გიას დაქორწინების ისტორია ქართველებითა და სომხებით დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩვეულებრივი მოვლენაა. „ქორწინების მიზნით ქალის მოტაცების" ტრადიცია, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში დავიწყებული იყო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღდგა.

ქალთა უფლებების დამცველი ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, ქალის მოტაცება ჩამორჩენილი აზროვნებისა და და მამაკაცური ძალადობის გამოვლენის უხეში ფორმაა. ისინი ამ პრობლემისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობასა და ქალებისთვის მათი უფლებების გაცნობას ცდილობენ.

ადამიანის უფლებათა დამცველი ადგილობრივი ორგანიზაციების განცხადებით, აღნიშნული ტრადიციის გავრცელების მასშტაბის ამსახველი სტატისტიკა არ არსებობს. თუმცა, მათი მტკიცებით, ყოველ წელს რეგიონში ასეულობით ქალი იძულებული ხდება, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ დაქორწინდეს.

მათივე თქმით, პოლიციას ძალიან ცოტა ქალი მიმართავს, რადგან ტრადიციული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, მოტაცების შემდეგ ყოველთვის ჩნდება ეჭვი დაკარგული ქალწულობის შესახებ. ეს კი შეიძლება შავ ლაქად დარჩეს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მაიამ გვიამბო, თუ როგორ სცადა გიამ მისი მოტაცება რამდენჯერმე.

„მეცხრე კლასში ვიყავი, როცა იგი გავიცანი. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა სასულიერო სემინარიაში განვაგრძე. გია ჩემ სანახავად ხშირად ჩამოდიოდა. ვფიქრობდი, რომ მისთვის მეგობარზე მეტი ვიყავი. მაგრამ იმ დროს სხვა ბიჭი მიყვარდა", – ამბობს მაია.

გიას მაიას მოტაცებაში სამივეჯერ მეგობრები დაეხმარნენ.

„პირველად მანქანაში შემიტყუეს. ძალიან შემეშინდა. ტირილი დავიწყე და ვეხვეწებოდი, მანქანა მოებრუნებინათ. როცა ვნახე, რომ ჩემმა ცრემლებმა არ გაჭრა, კარი გავაღე, ფეხები გარეთ გავყავი და ვთქვი, გადავხტები-მეთქი. გვერდზე მიმავალმა მანქანებმა სვლა შეანელეს. ყველა ჩვენ გვიყურებდა", – იხსენებს მაია.

მაშინ გიას გოგონა შეეცოდა და გაუშვა. თუმცა შემდეგ ჯერზე მისი მეგობრები მაიას ტალახიან აღმართზე გამოედევნენ. ბოლოს საქმეში გამვლელები ჩაერიენ და მაია ადგილობრივ ეკლესიაში შეაფარეს.

„სულ დასვრილი ვიყავი, ტანსაცმელი შემოხეული მქონდა. მაცხოვრის ხატს ტირილით მივუახლოვდი, მის წინ დავიჩოქე და ჩურჩულით ვთქვი - ღმერთო, იგი არ მიყვარს, მაგრამ დაე ყველაფერი ისე იყოს, როგორც შენ გსურს", – იხსენებს მაია.

„მესამე მცდელობის დროს ვილაცამ პირზე ხელი ამაფარა, რომ არ მეყვირა. გაქცევა მოვახერხე, მაგრამ გარეთ ბნელოდა, თხრილში ჩავვარდი და ზურგი ვიტკინე. ნაიარევი ახლაც მაქვს", – განაცხადა მაიამ.

„მოტაცების შემდეგ საშინელი გრძნობა მქონდა. დღესაც კი ვკანკალებ, როცა მახსენდება. არ ვიცოდი, რა მექნა. ყველამ იცოდა, რომ მოტაცებული ვიყავი. ჩემს ძმებზე ვფიქრობდი. სახლში რომ დავბრუნებულიყავი, ყველა იტყოდა, რომ ქალწული აღარ ვიყავი. ამიტომ დარჩენა გადავწყვიტე", – დასძინა მაიამ.

ზოგიერთი ადგილობრივი მაცხოვრებლის თქმით, ქორწინებების ნახევარი საპატარძლოების მოტაცებით იწყება. ბევრ შემთხვევაში მოტაცება ფიქტიურად ხდება და წინასწარ დაგეგმილი ,,რიტუალია". ზოგიერთ შემთხვევაში კი, ახალგაზრდა წყვილი მოტაცების სცენას თავად დგამს, რათა ქორწინებაზე მშობლების თანხმობის მიღებას თავი აარიდოს.

და მაინც, უმეტეს შემთხვევაში ქალებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ იტაცებენ.

„ნებისმიერ სოფელში ათიდან ცხრა გოგონას იტაცებენ. ჩემი ქალიშვილი მერვე კლასშია. მეშინია, კარგად რომ ჩავაცვა, ლამაზი იქნება და შეიძლება ვილაცამ მოიტაცოს", – განაცხადა ახალქალაქის მცხოვრებმა ოფელია პეტროსიანმა.

ოფელიას აზრით, ამ ტრადიციის არსებობას ადგილობრივი საზოგადოების ჩამორჩენილი შეხედულებები განაპირობებს.

„ყველაფერი ხალხის უცოდინრობით არის გამოწვეული. მათი ერთადერთი ინტერესი დაქორწინებაა. ქალები ოჯახის გამოკვებაზე ფიქრით იმდენად არიან დაკავებული, რომ სხვა არაფერი აწუხებთ და მზად არიან, მონებივით იცხოვრონ", – დასძინა პეტროსიანმა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველაზე დიდი ქალაქის – ახალციხის ცენტრალურ პარკში მოდურ ტანსაცმელში გამოწყობილი თინეიჯერები ერთმანეთს უახლესი ჟარგონებით ესაუბრებიან. თუმცა, მათი შეხედულებები, როგორც წესი, ძალიან ტრადიციულია.

„ერთხელ მოტაცებულ გოგონას, იმავე დღესაც რომ იყოს სახლში დაბრუნებული, ცოლად არასდროს მოვიყვან, რადგან მისი სახელი სამუდამოდ შებღალული იქნება. რად მინდა ისეთი ქალი, რომელიც სხვას ჰყავს მონატაცები? თუ გოგონა მიყვარს, შეიძლება მისი მოტაცება მეც მოვინდომო", – განაცხადა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ნიკა ბერიძემ.

ისტორიკოსებს ამ ტრადიციის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება აქვთ. ზოგიერთის მტკიცებით, ქალის მოტაცების ტრადიცია მაშინ გაჩნდა, როცა სამცხე-ჯავახეთი ოსმალთა მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. და ნებისმიერ შემთხვევაში, ის აღმოსავლეთიდან შემოვიდა. ბევრი კი მიიჩნევს, რომ ქალის მოტაცება კავკასიელთა უძველესი ტრადიციაა.

„ეს კავკასიაა – მოტაცება ხალხს სისხლში აქვს გამჯდარი და მისი შეცვლა შეუძლებელია. 70 წლის ვარ და მთელი ცხოვრება ვუყურებ, როგორ იქმნება ოჯახები ქალის მოტაცებით. ეს ქალისთვისაა ცუდი, თორემ კაცს სხვისი მოტაცება ყოველთვის შეუძლია", – განაცხადა სამცხე-ჯავახეთის მკვიდრმა ნინა ნახატაკიანმა.

საქართველოს კანონმდებლობით ქალის მოტაცება მკაცრად ისჯება. სისხლის სამართლის 23-ე მუხლი, რომელიც „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების" წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს ეხება, ამ დანაშაულისთვის ოთხიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს ადამიანთა ჯგუფის მიერ წინასწარ განზრახული ქმედებაა, პატიმრობის ვადა შესაძლოა 12 წლამდე გაიზარდოს.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება რამდენიმე წლის წინ მიიღეს, როცა ახალი კანონპროექტი შემუშავდა. კანონით ქალის მოტაცება განისაზღვრა, როგორც „ქორწინების მიზნით მოტაცება". მანამდე ეს ქმედება უმნიშვნელო დანაშაულად ითვლებოდა და მსუბუქად ან საერთოდ არ ისჯებოდა.

როგორც ადამიანის უფლებათა დამცველები და იურისტები აცხადებენ, საკანონმდებლო ცვლილებებმა და სასჯელის გამკაცრებამ გარკვეული ეფექტი გამოიღო, თუმცა, ეს საკმარისი არ არის.

„ჯავახეთში გოგონების მოტაცების უამრავი შემთხვევიდან ოფიციალურად მხოლოდ ორი ან სამია დაფიქსირებული", – განაცხადა ახალქალაქელმა იურისტმა ანაიდა ოგანესიანმა.

„რატომ არასდროს ეკითხებიან ქალს, უყვარს თუ არა მამაკაცი? ქალების უმეტესობამ არც კი იცის, რომ უფლებები აქვს და მათი სასამართლოში დაცვა შეუძლია. დედები ქალიშვილებს ეუბნებიან – რას იტყვის ხალხი? მოითმინე შვილო, ისევე როგორც თავის დროზე მე ვითმენდი", – დასძინა ოგანესიანმა.

ცოტა ხნის წინ ოგანესიანი მოტაცების საქმეზე მუშაობდა. ეს მოტაცემბის ფაქტის სასამართლოში გასაჩივრების ერთადერთი შემთხვევა იყო.

„გოგონას ინტერესებს ვიცავდი და ყველაფერი გავაკეთე, რომ გამტაცებელი გაესამართლებინათ. მაგრამ ბოლო მომენტში გოგონამ უარი განაცხადა და თქვა, თავი დამანებოს და აღარ ვუჩივლებო", – განაცხადა ოგანესიანმა.

„მამაკაცი დაუსჯელი დარჩა. გოგონა კი ახლა დეპრესიაშია და პრაქტიკულად, სახლიდან არასდროს გამოდის", – დასძინა ადვოკატმა.

ადვოკატის განცხადებით, გამტაცებლები თავისუფლად მოქმედებენ, რადგან საზოგადოება მსხვერპლს არ თანაუგრძნობს.

„ქალები სოციალურად დაუცველი არიან. ჩემს პრაქტიკაში გამტაცებლის დასჯის შემთხვევა არ ყოფილა. მოტაცებულ გოგონას საკუთარი ოჯახიც კი არ ეკიდება გაგებით და ნათესავებს მისი სახლში დაბრუნება შეურაცხყოფად მიაჩნიათ", – განაცხადა ანაიდა ოგანესიანმა.

„თაობების აღზრდა არასწორად ხდება. ხალხი, რომელიც ქალების წინააღმდეგ ძალადობას იყენებს, დაუსჯელი რჩება. შეიძლება ითქვას, რომ XVI საუკუნის მსგავსი მდგომარეობაა", – დაასკვნა ადვოკატმა.

სამცხე-ჯავახეთში მოქმედი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა ქალებისთვის მათი უფლებებისა და ძალადობისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ცდილობს.

მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, ახალგაზრდების მენტალიტეტის შეცვლაც კი ძალიან რთულია.

„ვხვდებით ქალებს, რომელთა უმეტესობაც მოტაცებულია. ახლა მათ ოჯახები ჰყავთ და ბედნიერად ცხოვრობენ. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე აცხადებენ. მათი მენტალიტეტის შეცვლა რთულია. არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ყველაფერი უცებ შეიცვლება, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ გარკვეულ შედეგებს მივაღწევთ", – განაცხადა სამცხე-ჯავახეთის დემოკრატი ქალების ჯგუფის ლიდერმა მარინა მოდებაძემ.

მოდებაძის ორგანიზაციამ საინფორმაციო ბუკლეტები გამოსცა და სატელეფონო ცხელი ხაზი შექმნა. ორგანიზაცია მოტაცების მსხვერპლთათვის თავშესაფრის შექმნას გეგმავს.

მაია, რომელიც აცხადებს, რომ ქმარი მოტაცებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეიყვარა, ასეთ ღონისძიებებს არ იწონებს.

„ყველაფერი ღმერთის სურვილით ხდება. ჩემი ქორწინების პირველი წელი რთული იყო, მაგრამ ღვთის წყალობით ყველა სიძნელე ერთად გადავლახეთ. ახლა ქალიშვილი მეზრდება და მისი მომავალი ძალიან მადარდებს. მაგრამ თუ ოდესმე მოიტაცეს, ესეც ღვთის ნება იქნება", – აცხადებს მაია.

„ერთ დღეს ჩემმა ორმა ვაჟმაც შესაძლოა მამის საქციელი გაიმეოროს და შეყვარებული მოიტაცოს. ტრადიციას ვერსად გავექცევით", – დასძინა მაიამ.

www.iwpr.net

20 ივნისი, სამშაბათი 2006 წელი. №135 | 24 საათი

## მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავების სია

ჟურნალმა "ფორბსმა" შეადგინა კინოს, ტელევიზიის, მუსიკისა და სპორტის ყველაზე მაღალანაზღაურებად მოღვაწეთა რეიტინგი, რომელშიც 100 ცნობილი სახელი შევიდა.

პირველი ადგილი სიაში დაიკავა ტომ კრუზმა. მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო ყველაზე მსხვილი ქონების მფლობელი. გასულ წელს მსახიობმა მხოლოდ 67 მილიონი გამოიმუშავა. ჟურნალის რედაქტორის ლეი გოლდმანის სიტყვებით, ტომ კრუზი გახდა პირველი ცნობილი სახე, რომელმაც მეორედ მოიპოვა პირველი ადგილი. პირველად იგი ამ სიის სათავეში 2001 წელს იყო.

მეორე ადგილი დაიკავა კინორეჟისორმა და პროდიუსერმა სტივენ სპილბერგმა, რომლის წლიური შემოსავალი 332 მილიონი დოლარია. შემდეგ მოდის ცნობილი ამერიკელი ტელეწამყვანი ოფრა უინფრი 225 მილიონი დოლარით.

ყველაზე მდიდარი სპორტსმენი გამოკითხვის შედეგად გახდა გოლფისტი, ტაიგერ ვუდსი. მან მეხუთე ადგილი დაიკავა 90 მილიონით წელიწადში.

პირველი და ერთადერთი რეპერი ამ სიაში არის 50 ცენტი, რომელიც პირველად მოხვდა ფორბსის სიაში, პირდაპირ მეცხრე ადგილზე.

პირველი ათეულს ხურავს მწერალი დენ ბრაუნი, რომლის წიგნის "და ვინჩის კოდის" 61 მილიონი ეგზემპლიარი გაიყიდა მთელს მსოფლიოში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## "ვეფხისტყაოსნის" კოლექცია

28 ივნისს "თი-ბი-სი" ბანკის საგამოფენო დარბაზში "ვეფხისტყაოსნის" ქართული და უცხოური გამოცემების გამოფენა მოეწყობა. ექსპოზიციაში წარმოსადგენი 300 გამოცემა კოლექციონერ გურამ ახალაიას ეკუთვნის.

გამოფენა გალერეა "ბაიას" და გალერეა "ვერნისაჟის" ერთობლივი ინიციატივით ეწყობა. გამოფენაზე "ვეფხისტყაოსნის" ახალი გამოცემაც წარდგება, რომელსაც მამუკა ცეცხლაძის ახალი ილუსტრაციები ამშვენებს.

## იარაღის სამჭედლო-სახელოსნო

საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში ქართული ტრადიციული იარაღების სამჭედლო-სახელოსნო დაიწყებს ფუნქციონირებას. სახელოსნოს შექმნა მიზნად ისახავს მუზეუმში დაცული ექსპონატების, ცივი იარაღების და სხვადასხვა ჭედური ნივთების აღდგენა-რესტავრაციას.

"იარაღის წარმოების შემოქმედებითი ჯგუფი მუზეუმში დაცული ესკიზების, ორნამენტების, ნახაზების, ნახატების და სხვა მასალების მხატვრული ფორმებით იხელმძღვანელებს. პროდუქციის გამოშვების შემდეგ იარაღი საკანონმდებლო წესების დაცვით გაიყიდება", - განაცხადა მუზეუმის დირექტორმა მიხეილ კიკნაველიძემ. სახელოსნოს გახსნა ივლისის ბოლოდან იგეგმება. მას ფონდი "ქართუ" აფინანსებს.

## შოპენის გიგანტური ქანდაკება

დიდი პოლონელი კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენის გიგანტური ფიგურა ჩინელმა მოქანდაკემ ლუ პინმა შექმნა. სკულპტორის ინიციატივას, ქანდაკება შანხაის ცენტრში აღემართათ, ქალაქის ხელმძღვანელობამ და პოლონეთის კულტურის სამინისტრომ მხარდაჭერა გამოუცხადა.

შოპენის ქანდაკებას შანხაის ერთ-ერთ პრესტიჟულ რაიონში, დასასვენებელ პარკში მიმდინარე წლის შემოდგომაზე განათავსებენ. გარდა ამისა, პარკში შოპენის სახელობის ხეივანიც გაშენდება. ქალაქის მმართველები შანხაიში შოპენის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მუზეუმის დაარსებასაც გეგმავენ.

ლუ პინი ვარშავის ნატიფი ხელოვნების აკადემიის კურსდამთავრებულია.

## ემინემი მკვლელის როლისთვის ემზადება

ცნობილი რეპერი ემინემი კიდევ ერთ ფილმში მონაწილეობისთვის ემზადება. ამჯერად რეპერი 1957 წელს გადაღებული Have Gun - Will Travel-ის გაგრძელებაში ცდის ბედს და დაქირავებული მკვლელის როლს შეასრულებს.

კინოსტუდია Paramount Pictures-ის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ემინემი ფილმის საუნდტრეკის შექმნაზეც იზრუნებს. კინოსტუდიის წარმომადგენლები სურათის სხვა დეტალებს არ ახმაურებენ.

## ბრიუს უილისმა ფოტორეპორტიორს სცემა

ჰოლივუდის ერთ-ერთ მდიდრულ რესტორანში ვახშმობისას, მსახიობმა ბრიუს უილისმა ფოტორეპორტიორს სცემა. როდესაც ფოტორეპორტიორმა მისთვის სურათების გადაღება დააპირა, განრისხებულმა ბრიუსმა მას კამერა სახეში მიალეწა, ცხვირი დაუზიანა და წინა კბილები ჩაუმტვრია.

ფოტოგრაფი იხსენებს, რომ მსახიობს მისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს, აგრესიულად მივარდა და სასტიკად გაუსწორდა. თავად ბრიუსი მომხდარის შესახებ კომენტარს არ აკეთებს, თუმცა, პოლიციისთვის ახსნა-განმარტების მიცემა მაინც მოუწევს, რადგან დაზარალებული რეპორტიორი ზარალის ანაზღაურებას ითხოვს.

## დევნილი ბავშვების ნახატები

23 ივნისს თბილისში, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში დევნილი ბავშვების ნახატების გამოფენა-კონკურსი გაიხსნება. გამოფენა სახელწოდებით "ჩემი სახლი, რომელიც მომელის", საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ორგანიზებით და "სახალხო ბანკის" დაფინანსებით ტარდება. გამოფენაში თბილისში, ქუთაისში, გორში, წყალტუბოში, ბათუმში, ზუგდიდსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი 300 ბავშვი მიიღებს მონაწილეობას.

მცირეწლოვანი მხატვრების ნამუშევრებს საკონკურსო კომისია შეაფასებს. კონკურსი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდება. 6-დან 11-მდე და 12-დან 16 წლამდე ბავშვები და მოზარდები მიიღებენ მონაწილეობას. ორივე ჯგუფიდან სამ-სამი გამარჯვებული გამოვლინდება. პირველი ადგილის მფლობელები პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდებიან. მეორე ადგილზე გასულ პატარებს "სახალხო ბანკი" 300-ლარიან საბავშვო ანაბარს გაუხსნის, ხოლო მესამე ადგილზე გასულებს ძვირადღირებული მოლბერტები გადაეცემათ. დამატებით 100 საუკეთესო ნამუშევარიც გამოვლინდება, რომელთა ავტორებიც ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან. საკონკურსო ჟიურის მხატვარი გია ბუღაძე უხელმძღვანელებს. "ჩემი სახლი, რომელიც მომელის" თბილისში 10 დღეს გასტანს, რის შემდეგდაც დევნილი ბავშვების ნახატები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იმოგზაურებენ.

*მედიანიუსი*

# ჯაზფესტივალის მოკლე ცნობარი

### აბონემენტის მფლობელებისა და არა მარტო მათთვის

ია ვეკუა

თუ ამ დღეებში კომპანია "ისტერნ პრომოუშენის" ოფისში შეივლით, ნუ გაგიკვირდებათ, თუ მისტერ კეით ან მისტერ ჰენკოკით მოგმართავენ - "ისტერნელები" წლის ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენისთვის სრულ მზადყოფნაში არიან და თბილისის ცაზე გადაფრენილი ყოველი თვითმფრინავის დანახვაზე "თბილისის კოკა-კოლას ჯაზფესტივალის" წლევანდელი ვარსკვლავები ახსენდებათ.




პირველი ამ თვითმფრინავს "ჯემიროქუაის" 35-კაციანი შემადგენლობა ჩამოჰყვება. მათ შორის ერთი ჯეისონ კეი და რვა მუსიკოსი იქნება. ტექნიკური პერსონალი დიდ საკონცერტო დარბაზში ჯგუფის ხუთტონიანი აპარატურის გამართვაზე იზრუნებს, მუსიკოსები კი - ჩვენს მუსიკალურად დამუხტვაზე.

მოგეხსენებათ, ჯეი კეი სპორტული და მდიდრული ავტომობილების ტრფიალია. თბილისური ვოიაჟისთვის მან "ინფინიტის" მარკის ავტომობილი აირჩია, რასაც აეროპორტში დაახვედრებენ. ეს კი 21 ივნისის შუადღის საათებში მოხდება. ამიტომ ამ დროისთვის თბილისის აეროპორტის ტრასაზე მოძრავ მძღოლებს სტუმრების პატივსაცემად "ჯემიროქუაის" მოსმენისკენ მოვუწოდებთ.

"ისტერნ პრომოუშენის" წარმომადგენლების ინფორმაციით, ჯგუფის წევრებმა თბილისში დაბანაკების ადგილის გასაიდუმლოება ითხოვეს. ეს გონივრული გადაწყვეტილება ადგილობრივი ფანების შემოსევის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა - ქართველი ფანების თავგანწირვას საზღვარი და გეოგრაფია რომ არა აქვს, ეს საფეხბურთო ისტერიკამაც კარგად დაგვანახა.

დიდ საკონცერტო დარბაზში "ჯემიროქუაის" მეგაშოუ თბილისის დროით საღამოს რვა საათზე იწყება. კონცერტის ბილეთები პლასტიკური ბარათების ტიპისაა და მათი შემოწმება სპეციალურად დამონტაჟებული აპარატურის მეშვეობით გარკვეულ დროს მოითხოვს, ამიტომ ყველას ვურჩევთ, ფილარმონიას კონცერტის დაწყებამდე 2 საათით ადრე მიაშუროს. საკონცერტო დარბაზის ფოიეში დროის მოსაკლავად რამდენიმე კაფე გაიხსნება. ამიტომ ვერც კი იგრძნობთ, როგორ აღმოჩნდებით უცნაურქუდიანი მომღერლის წინაშე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ჯაზფესტივალის აბონემენტი, რომელიც ყველა კონცერტზე დასწრების საშუალებას გაძლევთ, ინდივიდუალურია, ანუ მხოლოდ ერთი ადამიანისთვისაა განკუთვნილი, ამიტომ უბილეთო ბავშვები, ნათესავები და მეზობლები შინ დატოვეთ.

გარდა ამისა, ნურც იმის იმედი გექნებათ, რომ ჯეი კეის და კომპანიას კონცერტის შემდეგაც იხილავთ (თბილისში გავრცელებული ჭორების თანახმად, ჯგუფი ერთ-ერთ კლუბში უნდა მისულიყო ე. წ. After Party-ს გასამართად). თუ "ჯემიროქუაისგან" მიღებული ემოციის შენარჩუნება მოგინდებათ, 23 ივნისს კლუბ "მეიდანში" "ქუდების კარნავალზე" შეიარეთ, თავს ფანტაზიის გამოყენებისკენ მოუწოდეთ და ცოტა ხნით "ჯემიროქუაის" წარმოსახვით After Party-ზეც აღმოჩნდებით.

იმავე დღეს გალერეა TMS-ში "ისტერნ პრომოუშენისა" და ამერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებული პლაკატების კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება. უკვე შერჩეულია 30 პლაკატი, რომლებიც გალერეაში გამოიფინება, ხოლო სამ საუკეთესოს გამოფენის გახსნაზე დააჯილდოებენ. საუკეთესო ნამუშევარი კი მომავალი ჯაზფესტივალის პლაკატი იქნება.

ხუთდღიანი ტაიმაუტის შემდეგ, რომელსაც შარდენის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილი ჯაზღონისძიებები შეავსებს, თბილისში ჰერბი ჰენკოკი ჩამოვა. იგი ბაქოს ჯაზფესტივალის შემდეგ გვეწვევა, კონცერტს ჩაატარებს და იმავე დღეს დაგვემშვიდობება.

ასევე აპირებენ მოქცევას ფესტივალის ყველაზე ეგზოტიკური მონაწილეები - The Three Ladies Of blues, რომლებიც თბილისის ჯაზბენდთან ერთად რამდენიმე კომპოზიციას შეასრულებენ.

მათგან განსხვავებით, პიანისტი ფრედი კოლი თავის კვარტეტთან ორი დღით ნამდვილი თბილისელი იქნება. კონცერტზე გამოსვლის გარდა, ამერიკის საელჩოს ინიციატივით ქართველ მუსიკოსებს, არტ მენეჯერებს, მუსიკალურ პროდიუსერებს და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებსაც შეხვდება. მათთან საავტორო უფლებებსა და სხვა საკითხებზე ისაუბრებს, შემდეგ კი რამდენიმე კომპოზიციასაც შეასრულებს. ეს შეხვედრა 30 ივნისს თბილისის კონსერვატორიის ერთ-ერთ აუდიტორიაშია დაგეგმილი.

# თავისუფლებისა და სიყვარულის ზეიმზე

### ანაბეჭდი მზიურში

სოფო კილასონია

უკვე ექვსი წელია, რაც ყოველ ივნისს მზიურში ხალხმრავლობაა. თავმოყრილებსა და მოსიარულეებს ვერ მივანიჭებთ რაიმე კატეგორიას, ვერ დავახასიათებთ, ვერც იმას დავადგენთ, რა არის აქ მოსვლის მიზანი. ახალგაზრდები თითქოს თანამედროვე ხელოვნების ფესტივალს ზეიმობენ, მაგრამ ალბათ თავისუფლებას უფრო ეტრფიან და ამას აღნიშნავენ.

ყველა თავისებურად ზეიმობს, ოღონდ ყველა ერთად. ერთობიან ისე, როგორც ესმით და მოსწონთ. თუ მოინდომეს, დახატავენ, ფოტოს გადაიღებენ, ლექსს წაიკითხავენ. თუ დაეზარათ, ბალახზე წამოწვებიან, ამბებს მოყვებიან, თან მზეზე ირუჯებიან.

თუმცა, არა, 17-18 ივნისს ჩრდილს უფრო ეძებდნენ, ვიდრე მზეს და მცხუნვარებას. ფესტივალი "მზიური", რომლის ორგანიზატორი უკვე მეორე წელია ჟურნალი "ანაბეჭდია", უცვლელად ინარჩუნებს ხასიათსა და სტილს. მზიურის ცის ქვეშ რამდენიმე ცენტრია, სადაც მოქმედება მიმდინარეობს. მათ შორის კი არის ბილიკები და გზები, რომლებზეც ჯერ უნდა ჩაიარო, მერე კი ამოიარო. ამასობაში შეიძლება ძალიან დაიღალო, მაგრამ საინტერესოს მაინც ეძებ და პერიოდულად პოულობ კიდეც.

პოეზია რომ არაერთის სმენასაც იპყრობს და გულსაც, ფაქტია. მაგრამ მაშინ, როცა ავტორები კითხულობენ, მხედველობაც იბნევა. ამიტომ მზიურის თეატრონი ყოველთვის ყველაზე ხალხმრავალია. ამჯერადაც ასე იყო. საღამოჟამს ყურადღება როკ-კონცერტისკენ ინაცვლებს ხოლმე, სულ გვიან კი კინოს ღამეები დგება. არასდროს არ შემოვრჩენილვარ მზიურს გვიანობამდე. არც ამჯერად. ამიტომ ღამის ფესტივალს არ ვიცნობ. მაგრამ ის, ვინც ჩემსავით არ გამორბის ხალხმრავალი "მზიურიდან", ის, ვინც "მზიურის მაჯლაჯუნებს" არ უფრთხის, მშვენიერ საღამოებს ესწრება და ღამის ინსტალაციებით ზაფხულის თბილისურ ერთფეროვნებას აფერადებს.

მზიურის ფესტივალს მრავალი ლამაზი და მომხიბვლელი რამ ახასიათებს. ხიდან ხეზე გაბმული ჰამაკები, ცივი და გემრიელი სასმელები, ლექსითა და მუსიკით დაგემოვნებული, სიგრილე სიცხეში, ყველა ხის ძირში ნაცნობებისა და დავიწყებული სახეების გუნდი, დაბოლოს, ყველაზე მთავარი: უკვე ორი წელია, რაც მზიურში ყვავილების გვირგვინებიანი ქალბატონები მომრავლდნენ. მათი მოძებნა იოლია, ერთად დადიან და ყვავილოვანი სამკაულების წყალობით ერთმანეთს ჰგვანან. ისინი არც მზიურის ფერიები არიან და არც ხელოვნების მუზები. ახალგაზრდა ქალბატონები "ანაბეჭდის" ავტორები გახლავთ, გვირგვინები კი მზიურთან დაკავშირებული მათი განსაკუთრებული ტრადიციაა.



"მზიურში" ყველა თაობა ერთობოდა.

ნინო დარასელი: "პირველად ფესტივალი პირველ ივნისს ჩატარდა და ის იყო საბავშვო, მაგრამ მერე ახალგაზრდულ ფესტივალში გადაიზარდა. ეს არ არის მხოლოდ ხელოვნების ფესტივალი. ეს თავისუფლებისა და სიყვარულის ზეიმია. მონაწილეებს, ნებისმიერ მსურველს შეუძლია აქ გააკეთოს და წარმოადგინოს ყველაფერი, რასაც ქმნის. თანამედროვე ხელოვნება ორი დღე მაინც იქნება მზიურში. სულ მეკითხებიან, მონაწილეობენ თუ არა ცნობილი ადამიანები. მზიურის ფესტივალი სწორედ ამას გაურბის. ჩვენი მიზანია ახალი სახეები და სახელები აღმოვაჩინოთ."

ფესტივალის ორგანიზატორები, ახალგაზრდა ხელოვანები: ნიკა მშველიძე, ირაკლი ჩხეიძე, გიორგი მასხარაშვილი, ბაკურ ბურდული, ნენე კვინიკაძე და სხვები, რამდენიმე თვით ადრე ჟურნალ "ანაბეჭდში" აცხადებენ ფესტივალისთვის მზადების დასაწყისს. მონაწილეობის მსურველები მათ უკავშირდებიან, თუმცა, ზეიმში ჩართვა მზიურში ნებისმიერ გამვლელსაც შეუძლია:

"ეს არის მზიურის ანაბეჭდი. მზიურმა ჩვენზე დიდი ანაბეჭდი დატოვა წლების განმავლობაში. ერთი და იგივე ადამიანები ვაკეთებთ ჟურნალსა და ფესტივალს. "ანაბეჭდის" მიზანიც იგივეა: აღმოვაჩინოთ და საზოგადოებას გავაცნოთ ახალგაზრდა შემოქმედნი, ვინ ღირებულ ხელოვნებას ქმნიან. ასე რომ, მზიური და "ანაბეჭდი" ერთ საქმეს ემსახურება. მზიურმა ადრე დაიწყო ეს საქმე, ორი წლის წინ კი მას ჟურნალიც შეუერთდა."

ის, ვინც 17 და 18 ივნისს მზიურ-ქალაქში ვერ მოხვდა და ყვავილების გვირგვინით საკუთარი თავისუფლება ვერ იზეიმა, ფესტივალის ილუსტრაციას ივლისის "ანაბეჭდში" იხილავს. ის კი, ვინც სიყვარულს ხელოვნებით ეტრფის, აჯობებს, მომავალი ივნისისთვის მოემზადოს. რაც შეეხება მომავალ, 2007 წლის მზიურის ფესტივალს, კარგი იქნება, თუ მასში თეატრალური ჯგუფებიც მიიღებენ მონაწილეობას. დანარჩენი მიმართულებით გატაცებული ახალგაზრდები კი უმჯობესი იქნება შემოქმედებითად მიუდგნენ მოვლენას და საკუთარი თავისუფლება, პირველ რიგში, საკუთარი ხელოვნებითა და შემოქმედებით გამოხატონ.

# "ბი-პი"-მ ტაძრისის სამონასტრო კომპლექსი აღადგინა

სალომე ძაძამია

ტაძრისის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ბორჯომის ტერიტორიაზე მდებარეობს, მე-10-ე საუკუნეში აიგო. მისი სახელი გიორგი მთაწმინდელს უკავშირდება, რომელიც ტაძრისის დედათა მონასტერში იზრდებოდა, მისი და თეკლე კი დედათა მონასტრის მონაზონი გახლდათ. უნიკალური ტაძარი მე-15-ე საუკუნეში დაინგრა, ამ დრომდე კი მისით არავინ დაინტერესებულა.

კომპანია "ბი-პი"-მ სამონასტრო კომპლექსის აღსადგენად 160 ათასი დოლარი გაიღო. კომპანიის გენერალური დირექტორი ჰიუ მაკდაუელი ამბობს, რომ მათი კომპანია სიამოვნებით განახორციელებს მსგავს პროექტებს.

ტაძარი ბორჯომ-ბაკურიანის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე სერაფიმემ აკურთხა.

კომპანია "ბი-პი"-ს გენერალური მენეჯერი ჰიუ მაკდაუელი: "საოცარი ადგილია, როგორც ვიცი, უძველესი მონასტერია და გარკვეული დანიშნულებაც ჰქონდა ამ რეგიონისთვის. ჩვენ ყოველთვის დავეხმარებით თქვენს ტაძრებს, განსაკუთრებით კი ამ რეგიონში არსებულ ეკლესია-მონასტრებს. ჩვენმა კომპანიამ რამოდენიმე მსგავსი პროექტი უკვე განახორციელა. ჩვენ იმ ტერიტორიის პასუხისმგებლები ვართ, სადაც ვმუშაობთ და თქვენი ქვეყნისთვის იმაზე მეტს გავაკეთებთ ვიდრე მილსადენია."

კომპანია "ბი-პი-ს" კულტურული მემკვიდრეობის მონიტორი ნინო ერქომაიშვილი: "ტაძრისის სამოსანტრო კომპლექსს დიდი ისტორია აქვს, აქ იზრდებოდა გიორგი მთაწმინდელი, რომლის და თეკლა ამ მონასტრის მონაზონი გახლდათ. იმ დროისთვის ეს ტაძარი რეგიონისთვის საგანმანათლებლო კერა იყო.

მილსადენის გარშემო დაზვერვითი სამუშაოები ჩავატარეთ, ტაძარის ტერიტორიას არაფერი ემუქრებოდა, თუმცა "ბი-პი"-მ გადაწყვიტა დახმარებოდა და აღედგინა ტაძარი პირვანდელი სახით. აღნიშნული პროექტი 160 ათასი დოლარი დაჯდა."

"ტაძრისის მონასტერი უძველესი ისტორიული ძეგლია. მისი სახელი ათონელ მამებთანაც არის დაკავშირებული. აღდგენილი ტაძარი ჩვენი სიამაყეა. მადლობელი ვარ ამ კომპანიის. იშვიათი მოვლენაა, რომ უცხო საერთაშორისო ორგანიზაცია აფინანსებს ქართული ტაძრის აღდგენას," განაცხადა მეუფე სერაფიმემ.

# ტურიზმის მეცნიერების დიდი წარმატება

ბუბული მაღრაძე
საქართველოს პარლამენტის წევრი, პროფესორი

საქართველოში დღეს ტურიზმი ხელისუფლების მიერ ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგადაა აღიარებული. იგი ჩვენი სახელმწიფოს მომავალი განვითარების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი საქმიანობის სფეროა. განსაკუთრებით გაიზრდება მისი როლი ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით. ქვეყნის სტრატეგიული პერსპექტივების თვალსაზრისით საქართველო უნდა გახდეს განვითარებული ტურიზმის ქვეყანა. ტურიზმის როლის ასეთი გააზრება დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს არა მარტო ამ დარგის სპეციალისტებსა და მასში დაკავებულ მუშაკებს, არამედ მთელ საზოგადოებას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი ტურიზმის განვითარების ფუნდამენტური პრინციპებისა და არსის შესახებ საკმაოდ მცირე ინფორმაციას ფლობს, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში არსებულ მდგომარეობაზე. კერძოდ, ბოლო დრომდე არ არსებობდა ტურიზმის შესახებ ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა; ტურიზმის სპეციალობა სულ ახლახან შევიდა უმაღლესი განათლების სპეციალობების შესახებ არსებულ კლასიფიკატორში; არ არის კარგად გააზრებული ტურიზმის სწავლების აკადემიური კუთვნილება. ყოველივე აღნიშნულის საფუძველი და მიზეზი არის სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაციის დეფიციტი. არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელისუფლებო სტრუქტურებში არსებული უზუსტობა ტურიზმის სფეროს მთელი რიგი ტერმინებისა და დეფინიციების მიმართ, რაც ხელს უშლის ტურიზმის შეუფერხებელ განვითარებას ყველა დონეზე. გამომდინარე აქედან, დიდ წარმატებად მიგვაჩნია, როგორც სამეცნიერო ისე სასწავლო ლიტერატურაში ყოველი ნაშრომის გამოჩენა, მაგრამ სამეცნიერო საქმიანობის მნიშვნელოვან პრობლემას ამ ეტაპზე წარმოადგენს სპეციალისტებისათვის მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ აღიარებული ტურისტული ტერმინოლოგიის არა მხოლოდ შეთავაზება, არამედ დეფინიციის არსისა და მოვლენის დონეზე დახასიათება.

ცხადია, ნებისმიერი ინდუსტრია თანამედროვე მსოფლიოში, მით უფრო, ისეთი მრავალმხრივი და მასშტაბური, როგორიც ტურიზმია, სერიოზული მეცნიერული საფუძვლების შექმნასა და თეორიული ბაზისის მომზადებას მოითხოვს. სხვაგვარად დარგის რაციონალური, გეგმაზომიერი განვითარება შეუძლებელიც არის და წარმოუდგენელიც.

ამიტომაც არიან სანთლით საძებარი ის ერთეული სპეციალისტები, ვინც ამ სფეროს განვითარებისათვის მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ჩადებს.

ერთ-ერთი ასეთი იშვიათი პროფესიონალთაგანი, რომელმაც მნიშვნელოვანი სამეცნიერო და პედაგოგიური წვლილი შეიტანა საქართველოში ტურიზმის პროფესიული დაფუძნების სფეროში. არის საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახ. უნივერსიტეტის პროფესორი, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის საუნივერსიტეტო სწავლების ასოციაციის წევრი, რუსეთის ტურიზმის ნაციონალური აკადემიის ნამდვილი წევრი **მარინა მეტრეველი**.

მისი მოღვაწეობა განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა. საქართველოში ტურიზმის სფეროში, თუ რამ საინტერესო თეორიული ნაშრომი შექმნილა, მათ შორის უპირველესად სწორედ ამ ავტორის გამოკვლევები და სახელმძღვანელოებია. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 2003 წლიდან მის მიერ გამოცემული წიგნები: "ტურიზმი", თბ., 2003, "ტურიზმი და გარემოს დაცვა - ეკოტურიზმის საფუძვლები", თბ., 2004, "ტურიზმის თეორია" - თარგმანი და ადაპტირება მ. ბირჟაკოვის "ტურიზმის შესავალი კურსის" მიხედვით, თბ., 2004.

ამ წიგნებში ტურისტული ბიზნესის წარმოების, მის ორგანიზაციასა და ეკონომიკასთან დაკავშირებული არაერთი საკითხია პროფესიულ დონეზე წარმოდგენილი და ანალიზის საგნად ქცეული, მათ შორის ისეთი საკითხები, რომლებშიც სწორედ ქართული ტურიზმის სპეციფიკა და პერსპექტივები პოულობს გამოხატულებას.

ამჯერად მარინა მეტრეველის პროფესიული ცოდნა და გამოცდილება უფრო მასშტაბურად იქნა წარმოჩენილი სარეცენზიო ორენოვან ლექსიკონში - ტურისტულ ტერმინთა "ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი" (თბ., გამომც. "ფოტონი " 2006).

ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რა სირთულესთან არის დაკავშირებული ამა თუ იმ დარგის სრული ლექსიკოგრაფიული უზრუნველყოფა. ეს, წმინდა რუტინულ სალექსიკონო სამუშაოებთან ერთად (მასალის მოპოვება, გაცხრილვა, კლასიფიკაცია, დეფინიცია-კვალიფიკაცია) გულისხმობს მაღალი ნორმატიული ამოცანების გადაწყვეტასაც - სათანადო ტერმინთა ქართული ეკვივალენტების მოძიება-დადგენას, რაც უმეტესად მთელი კომისიის მუშაობას მოითხოვს.

მაგრამ ეს სირთულე კიდევ უფრო იზრდება მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ტურიზმის ლექსიკონის შექმნის ამოცანასთან, რომლის აქტუალურობაზე ლაპარაკიც, უკვე აღნიშნულ გარემოებათა გამო, სრულიად ზედმეტია.

საქმე ის არის, რომ ტურიზმი ყველაზე უფრო ინტეგრირებულ დარგს წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკის დარგებს შორის (და ამითაც არის ის თანამედროვე გლობალიზაციის ავ-კარგის ცოცხალი გამომხატველი). მასში თავს იყრის ეკონომიკის, ბიზნესის, მენეჯმენტის, იურისპრუდენციის, კულტურის, სოციოლოგიის, ისტორია-ეთნოგრაფიის და ა.შ. არაერთი ფუნდამენტური ცნება და მიმართულება. შესაბამისად, ტურიზმის ენობრივი (ტერმინოლოგიური) არეალი ფაქტობრივად უსაზღვროა და ის ადამიანთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების არსებითად ყველა სფეროს მოიცავს. სწორედ ამიტომ ლექსიკონი შედგენილია როგორც ტურიზმის სფეროს პროფესიონალებისათვის, ისე არაპროფესიონალთათვის, მისი გამოყენება შეუძლია ყველას, ვისაც ტურიზმი და მოგზაურობა აინტერესებს.




ზოგადად, სპეციფიკური სფეროს ენის შექმნისას მთავარ სირთულეს წარმოადგენს ინფორმაციის ოდენობის განსაზღვრა. სწორედ ამ ოდენობაში უნდა შევიდეს ის სიტყვები და ფრაზები, რომლებიც დარგის ენას ქმნის. ეს პრობლემა ნაკლებად მწვავეა სპეციალიზირებული, ტექნიკური საქმიანობის სფეროში, რადგან ასეთ შემთხვევაში დარგის კონტურები შედარებით იოლი დასადგენია და, შესაბამისად ამისა, არსებობს გამოკვეთილი ტერმინოლოგიური (ლექსიკური) ველი. ამის საპირისპიროდ, უფრო რთულია ტურისტული საქმიანობის კონტურების დადგენა, რადგან მისი ასპექტები და მასთან დაკავშირებული დარგები გაცილებით ფართოა უშუალოდ ტურიზმის სფეროსთან შედარებით.

ამ ლექსიკონის სახით ჩვენ წინაშეა ერთ-ერთი ყველაზე მომცველი და მასშტაბური დარგობრივი ლექსიკონი, რომელიც უპირველესად ქართული ტურიზმის ძლიერ თეორიულ ბაზისზე, მის საიმედო მომავალზე მეტყველებს.

წარმოვადგინოთ სარეცენზიო ლექსიკონის ის რამდენიმე ძირითადი ნიშანი, რომელიც არსებითად განსაზღვრავს მისი - როგორც ინფორმაციის კვალიფიციური წყაროს - მთავარ ღირსებას:

ეს ლექსიკონი არის ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) ანუ თარგმნითი, მაგრამ, ამავე დროს, ის არის განმარტებითი, ანუ შესაბამისი ცნებები არა მარტო თარგმნილია ინგლისურიდან ქართულად, არამედ მათი მნიშვნელობა კვალიფიციურად არის განმარტებული.

ლექსიკონში ოპტიმალურად არის წარმოდგენილი ლექსემათა (ტერმინთა) როგორც ბუნებრივი, ისე დარგთაშორისი პოლისემანტიზმი.

ლექსიკონის არაერთი სტატია ენციკლოპედიური ხასიათისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ტერმინთა ლექსიკურ მნიშვნელობებთან ერთად ლექსიკონში სხვა ხასიათის (ისტორიული, სამართლებრივი, ეკონომიკური...) კვალიფიციური ინფორმაციაც არის წარმოდგენილი.

ლექსიკონის პროფესიულ ღირებულებას ისიც განაპირობებს, რომ მასალის დიდი ნაწილი ბუდობრივი პრინციპით არის განლაგებული. ეს გულისხმობს იმას, რომ ერთმანეთთან ფუნქციურ-სემანტიკურად დაკავშირებული სპეციალური ცნებები ერთგვარეობრივ (გამაერთიანებელ) ცნებასთან არის თავმოყრილი. შემდეგ კი ისინი თავიანთ ანბანურ რიგსაც იკავებენ ლექსიკონში. ასეთ ბუდეთა შემადგენლობა ზოგჯერ რამდენიმე ათეულსაც აღწევს.

ლექსიკონის მნიშვნელობას ზრდის დანართები, რომლებშიც მოცემულია ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული საცნობარო ინფორმაციები - დაწყებული ტურისტული აბრევიატურებით და დამთავრებული მსოფლიოს მნიშვნელოვანი დღესასწაულებითა და საქართველოს ხუროთმოძღვრული ძეგლებით თბილისიდან მანძილის ჩვენებით (ლექსიკონს აქვს 20-მდე ამგვარი დანართი).

ერთ-ერთი განსაკუთრებული მხარე, რომელიც ყოველ დარგობრივ ლექსიკონში და, მით უფრო, პირველ ისეთ მასშტაბურ ლექსიკონში, როგორსაც დღეს ჩვენ წარმოვადგენთ, არის მისი ის ნაწილი, რომელიც საკუთრივ ქართულ მასალას გვთავაზობს და რომელიც მართლაც მრავალწლიან რუდუნებით შრომას მოითხოვს არა მხოლოდ ერთი ლექსიკონის დონეზე და არც მარტო ერთჯერადად და ერთი თაობის მიერ. ამ თვალსაზრისით წინამდებარე ლექსიკონმა წარმოაჩინა, რომ უახლოეს პერსპექტივაში ზღვა სამუშაოა შესასრულებელი, როგორც ტერმინთა დადგენისა და ნორმირების, ისე მათი დეფინიციისა და კვალიფიკაციის სფეროში. როდესაც ჩვენ წინაშეა არაერთი ისეთი შემთხვევა, როცა სათანადო უცხოურ ტერმინს ლექსიკურ შესატყვისს კი ვერ ვუძებნით, არამედ იძულებული ვართ განმარტება-დახასიათების, ან, უკიდურეს შემთხვევაში, აღწერითი შესიტყვებების კონსტრუირების გზით წავიდეთ, ბუნებრივია, ამ ფაქტს ქართული ენის სიღარიბეს კი ვერ მივაწერთ, არამედ იმ სამეცნიერო-ორგანიზაციულ არაადეკვატურობას (ნაკლოვანებას), რაც, სამწუხაროდ, ეპოქისა და დარგის სწრაფი განვითარების პირობებში მეტად ხელშესახები გახდა.

ამიტომაც ამ დარგშიც და საზოგადოდაც უმწვავეს აქტუალობად გვესახება სატერმინოლოგიო კომისიების შექმნა სახელმწიფო დონეზე უპირველესად ისეთი სპეციალისტების შემადგენლობით, როგორიც ამ ლექსიკონის დამსახურებული და რეგალიებით აღჭურვილი ავტორი გახლავთ.

შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ გლობალური ეპოქის მასშტაბურმა, დინამიურმა და სწრაფად განვითარებადმა დარგმა საქართველოში ამ ლექსიკონის სახით მოიპოვა მძლავრი სამეცნიერო-თეორიული მხარდაჭერა; შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ მოვლენასთან, როდესაც მაღალი დონის თეორია წინ უსწრებს პრაქტიკას. ახლა ჯერი დარგის სახელმწიფო-ინსტიტუციურ უზრუნველყოფაზეა და ქვეყნის განვითარების ინტერესები მოითხოვს, დარგის პოლიტიკის განმსაზღვრელი ნაბიჯები სწავლულთა გამოწვევის ადეკვატური იყოს!

# ქართველი პრინცი, რომელმაც საფრანგეთი გააოცა

სოფიო პეტრიაშვილი

საქართველოსა და საფრანგეთს შორის არა მხოლოდ კულტურული, არამედ სამხედრო ურთიერთობების დიდი ტრადიცია არსებობს (უკვე რამდენიმე წელია ქართული და ფრანგული მხარე ერთობლივად მუშაობს ჩვენს ქვეყანაში არსებულ სამხედრო პრობლემებზე). ამისი ერთ-ერთი დასტურია გასულ წელს 14 ივლისს საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულზე მეორე მსოფლიო ომის მონაწილის, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანის ბატონი ვახტანგ სეხნიაშვილის დაჯილდოება საპატიო ლეგიონის ორდენით, რომელიც მას რესპუბლიკის ხელისუფლების სახელით საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბატონმა ფილიპ ლეფორმა გადასცა.

წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საფრანგეთის სახმელეთო ჯარების ქვეითთა 43-ე პოლკის სასულე ორკესტრმა მიულოცა. მათ ქართულ ჯართან ერთად მონაწილეობა მიიღეს რუსთაველის გამზირზე ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად გამართულ აღლუმში, რომლის მსვლელობისას თავად საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიესალმა მათ მშობლიურ ენაზე. დიდი ისტორიის მქონე პოლკის ორკესტრს რეგულარულად იწვევენ საფრანგეთისა თუ სხვა ქვეყნების ხელისუფლების უმაღლეს პირთა დახვედრის ცერემონიალებსა და აღლუმებზე.

სამეფო საფლაგმანოს მემკვიდრე, საფრანგეთის არმიის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და პრესტიჟული ერთეული, ქვეითთა 43-ე პოლკი 1638 წელს შეიქმნა (მას კარდინალი რიშელიე, შემდგომ კი კარდინალი მაზარინი მეთაურობდნენ, პოლკი ასევე იბრძოდა და თავი გამოიჩინა ნაპოლეონის ყველა სამხედრო კამპანიაში), მის შემადგენლობაში მუდამ შედიოდა ორკესტრი, რომელიც თავისი არსებობის 368-წლიანი ისტორიის მანძილზე წელს პირველად სტუმრობდა საქართველოს. მისი ვიზიტი აღსანიშნავი გახლდათ იმითაც, რომ ის დაემთხვა საფრანგეთ-საქართველოს სამხედრო გმირის, საპატიო ლეგიონის კავალერის, პრინცი დიმიტრი ამილახვარის დაბადებიდან ასი წლისთავს. 2006 წელი ასევე ემთხვევა მის სახელთან დაკავშირებულ სენ-სირის სპეციალური სამხედრო სასწავლებლის გამოშვების 50 წლისთავს. ამ თარიღებთან დაკავშირებით ფრანგულმა სამხედრო ორკესტრმა რუსთაველის თეატრში დიდი კონცერტი გამართა, მათ პატივი მიაგეს ქართველი და ფრანგი ხალხის ღირსეულ მამულიშვილს.

ვინ იყო ეს საარაკო პიროვნება, რომელიც საფრანგეთმა და ფრანგმა ხალხმა ეროვნულ გმირად აღიარა. საიდან მოდიოდნენ მისი გენები, რას მოგვითხრობს მათ შესახებ ისტორია?

დიმიტრი ამილახვრის წინაპრები, ზედგენიძეები XIV საუკუნის პირველ ნახევარში დამკვიდრდნენ მდინარეების რეხისა და მეჯუდის სანაპირო ტერიტორიაზე. გვარი წამომდგარა ამილახორის (არაბ. ამირ ახურ - საჯინიბოს ამირა) თანამდებობიდან, რომელიც გახლდათ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის სამხედრო უწყების მოხელე - ამირსპასალარის თანაშემწე, სავაზიროს წევრი სათათბირო ხმით. დარბაზობის დროს ის პატივით მეჭურჭლეთუხუცესთან და მსახურთუხუცესთან იყო გათანაბრებული.

XIV საუკუნის 80-90-იან წლებში თაყა ზევდგინიძემ, გიორგი VII-ის თანამებრძოლმა და საზოგადო მოღვაწემ, მეფე მის წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ გააფრთხილა და იმ საბედისწერო ღამეს, როდესაც მეფე უნდა მოეკლათ, თავად ჩაწვა მის საწოლში. მოღალატეებმა იგი დაჭრეს (ზოგი ცნობით მოკლეს. ვახუშტის მიხედვით ეს ფაქტი მეთხუთმეტე საუკუნეში მოხდა, მეფისთვის თავდადებულ ზევდგინიძეს კი იოთამი ერქვა). სამეფო კარის ერთგულებისა და თავგანწირვისათვის გიორგი VII-მ საგვარეულო საძვლედ ზევდგინიძეებს შიომღვიმე უბოძა. შემდგომ ალექსანდრე I-მა მათ დაუმტკიცა ამილახვრობა, გორის მოურაობა და სოფლები კასპი, გომი, ნადარბაზევი ყმა-მამულებით.

პირველი ამილახვარი იყო თაყა ჯანიბეგის ძე ზევდგინიძე. აქედან მომდინარეობს ამილახვართა გვარი და სათავადო სამილახვრო. XV-XVI საუკუნეებში მისი მფლობელნი ზევდგინიძე-ამილახვრებად იწოდებოდნენ. XVII საუკუნიდან კი ამილახვრებად. ისინი ფეოდალური ქართლის თვალსაჩინო პოლიტიკური, სამხედრო და კულტურის მოღვაწენი იყვნენ. სხვადასხვა დროს ეკავათ ეშიკაღასბაშის (საპოლიციო-ადმინისტაცული აპარატის უფროსი გვიანდელ ფეოდალურ საქ-ში), ბოქაულთუხუცესის, ყორჩიბაშისა (მეფის პირადი სამსახურის ხელმძღვანელი, შეიარაღებულ მცველთა უფროსი გვიანდელ ფეოდ. საქ-ში) და მოლარეთუხუცესის თანამდებობები. თუმცა, ამილახვართა სათავადოს მთავარს (საქართველოს სამეფოს პოლიტ. დაშლის შემდეგ) მუდმივად ებარა ზემო ქართლის სადროშოს სარდლობა და გორის მოურავობა, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა.

თაყა ზევდგინიძის შთამომავალი დიმიტრი გიორგის ძე ამილახვარი დაიბადა 1906 წლის 12 ნოემბერს სოფელ ბაზორკინოში (თერგის ოლქი, ახლანდელი ჩერმენი ჩრდ. ოსეთი). დაბადების ადგილის მიხედვით "ბაზორკად" წოდებულს, ეს მეტსახელი მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. 15 წლამდე საქართველოში იზრდებოდა. 1921 წელს წითელი არმიის შემოსვლისთანავე ოჯახთან ერთად ტოვებს სამშობლოს და თავს საფრანგეთს აფარებს. 1924 წელს სენ-სირის სპეციალურ სამხედრო სასწავლებელში ირიცხება, რომელსაც ორი წლის შემდგომ რიფის გამოშვების სახელით ამთავრებს და მას უცხოელი უმცროსი ლეიტენანტის წოდებით უცხოური ლეგიონის I პოლკში სიდი-ბელ-აბესში მიავლენენ. 1929 წელს ის მე-4 უცხოურ ლეგიონში მარაკეშის რეგიონში გადადის. მონაწილეობს ო-ატლას სამხედრო კამპანიაში, სადაც ოცეულს მეთაურობს. 1932 წლის 30 მაისს დიმიტრი ამილახვარს აიტ-ატოს ბრძოლებისთვის მადლობას გამოუცხადებენ. 1937 წლის იანვარში კი კაპიტნად დააწინაურებენ და კვლავ სიდი-ბელ-აბეს I უცხოურ ლეგიონში გაუშვებენ, სადაც 1939 წლის აგვისტომდე მეტყვიამფრქვევეთა სასწავლო ასეულს ხელმძღვანელობს. 1940 წლის თებერვალში კაპიტან ამილახვარს მაღალმთიანი რეგიონების დაჯგუფების მეორე ბატალიონში გადაიყვანენ. ამავე წელს საფრანგეთის მოქალაქე გახდება. ნორვეგიაში, ნარვიკის ბრძოლისას (1940 წ. მაისი-ივნისი) ის კვლავ გამოირჩევა როგორც უბადლო მეომარი და სტრატეგოსი, მას ერთდროულად სამ მადლობას გამოუცხადებენ და რესპუბლიკის უმაღლეს ჯილდოს საპატიო ლეგიონის ორდენს გადასცემენ.



ჰიტლერული ოკუპაციის დროს დიმიტრი ამილახვარი მე-13 პოლკის რამდენიმე ოფიცერთან და თავის უფროსთან პოლკოვნიკ მაგრენ-ვერნერესთან ერთად ჩრდილოეთ საფრანგეთიდან ინგლისში გადადის, სადაც შეადგენს თავისუფალი საფრანგეთის ძალების პირველ ბირთვს. შემდგომ ლონდონიდან დაკარს მიემგზავრება. ამილახვარი მონაწილეობს ერითრეას (ეთიოპიის პროვინცია) კამპანიაში. დიდი წვლილი შეაქვს 1941 წლის 27 მარტის კერენის გამარჯვებაში. განსაკუთრებით ისახელა თავი 7 აპრილს ქალაქ მასაუის აღებისას, როდესაც მოულოდნელი შეტევით ხელთ იგდო იტალიელთა რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი და მრავალი ტყვე. მან აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სირიაში, ქალაქ დამასკოს გათავისუფლებისას. "ვიშის" მთავრობამ (მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის ფაშისტური პროჰიტლერული რეჟიმის სახელწოდება) მას სიკვდილი მიუსაჯა, თუმცა შეპყრობა ვერაფრით მოახერხა. ამილახვარმა მიიღო ლეიტენანტ-კოლონელის წოდება და დაინიშნა უცხოური ლეგიონის ნახევარბრიგადის მეთაურად. მისმა ნაწილმა გენერალ კენიგის (რომლის მოადგილეც თავად გახლდათ) ბრიგადის შემადგენლობაში გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია გენერალ ე. რომელის არმიას "უდაბნოს ვერდენად" წოდებულ 16-დღიან ბირ-ჰაკეიმის ბრძოლაში (1942წ. 26 მაისი-10 ივნისი). იმავე წლის 10 აგვისტოს ელ-ტაჰაგის ბანაკში მას "განთავისუფლების ჯვრის" მედლით თავად გენერალი შარლ დე გოლი დააჯილდოვებს. შვიდი კვირის შემდეგ ჩრდილოეთ აფრიკაში (ეგვიპტე, ელ-ალამეინი), პოდპოლკოვნიკი ამილახვარი ორ ბატალიონამდე შემცირებულ პოლკს ხელმძღვანელობს. მას თავისუფალი ფრანგული 1-ლი ბრიგადის A დაჯგუფება აბარია, რათა გაათავისუფლოს ოკუპირებული ჰიმეიმატის მწვერვალი, მაგრამ 24 ოქტომბერს გერმანიის ტანკების თავდასხმის შემდგომ უკან დახევისას, ის დანაღმულ ველზე ჭურვის ნამსხვრევით თავში მძიმედ დაიჭრა. მისი გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა... გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა 36 წლის, დაბადების დღემდე სამი კვირით ადრე.



*19 ოქტომბერი 1941 წელი. ალეპოში ლეიტენანტ-კოლონელ დიმიტრი ამილახვარს გენერალი კატრუ გადასცემს მეცამეტე პოლკის დროშას.*

მეტად სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ამილახვარი, რომელიც საფრთხეს არასდროს არ ერიდებოდა და ყოველთვის (ნორვეგიაში, სირიაში, ერითრეასა თუ ლიბიაში...) ფრონტის წინა ხაზზე იდგა, გარდაიცვალა სწორედ ელ-ალამეინის ბრძოლისას, ეგვიპტეში, ქართველი მამლუქების ქვეყანაში, სადაც საუკუნეების მანძილზე მრავალი, წარმოშობით ქართველი მეომრის სისხლი დაღვრილა. სისხლი სისხლს ყველგან ცნობს და ეძახისო ამბობენ... დიმიტრი ამილახვარი დაკრძალულია ელ-ალამეინში - ლიბიის უდაბნოში.

უნდა აღინიშნოს, რომ II მსოფლიო ომის დროს მას ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა, ბედის ირონიით, წითელარმიელების მხარდამხარაც მოუხდა. სინამდვილეში ძალიან ცოტამ თუ იცის, რამდენად მძიმე იყო მისთვის მოკავშირედ მიღება იმ ჯარისა, რომელმაც არც თუ ისე შორეულ წარსულში მისი ქვეყნის ანექსია მოახდინა, რის შედეგადაც სამშობლოს დატოვება მოუხდა...

ამჟამად საქართველოში იმყოფება ქალბატონი თინა კერესელიძე, ამილახვართა სანათესაოს წარმომადგენელი (მისი მეუღლე გიორგი კერესელიძე გახლდათ დიმიტრი ამილახვარის დის შვილი), რომელმაც უჩვეულო ამბავი გვიამბო: დიმიტრი ამილახვარს ერთი ქართული ნაბადი ქონია, რომელსაც განუყრელად თან ატარებდა, ყველგან იმ ნაბადით იბრძოდა. ერთხელაც, მორიგი საომარი შეტევის წინ თავისი ნაბადი მოიკითხა, ვერ ნახა და ძებნა დაუწყო. ვერსად ვერ იპოვა და პირველად ცხოვრებაში წავიდა ისე, უნაბადოდ... სწორედ იმ საბედისწერო დღეს, 24 ოქტომბერს, ორი სასიკვდილო ჭრილობით შუბლში დაეცა ის ბრძოლის ველზე. შემდგომ გაოგნებული ჯარისკაცები ერთხმად ამბობდნენ, ალბათ ის ნაბადი თუ იცავდაო მანამდე დიმიტრის. ნაბადი გაქრა და მას შემდგომ თვალით აღარავის უნახავს...

ქალბატონმა თინამ ასევე აღნიშნა ერთი საყურადღებო ფაქტი: დიმიტრი ამილახვარის გარდაცვალების შემდგომ, გენერლებმა კენიგმა და დე გოლმა დიდი წვლილი შეიტანეს მისი შვილების, ოთარისა და თამარის აღზრდაში, რომელთა დედა, ირინე დადიანიც, ასევე ახალგაზრდა გარდაიცვალა და ბავშვებს ძირითადად მისი და, ეკა უვლიდა. ამჟამად გიორგი ამილახვარის (დიმიტრის მამის) შთამომავლები არიან თამარ ამილახვარის (რომელიც გახლავთ ჩეხი გრაფის გვარად კინსკის მეუღლე) ორი ვაჟი კონსტანტინე და ნიკოლოზ კინსკები და ქალბატონ თინა კერესელიძის ქალიშვილი ნესტან კერესელიძე. სამწუხაროდ, ოთარ ამილახვარს მემკვიდრე არ დარჩენია.

**P.S.** საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დიმიტრი ამილახვარი 1990-91 წწ.-ში "აღმოაჩინა", როდესაც ქართული ჟურნალ-გაზეთები განსაკუთრებით ბევრს წერდნენ საზღვარგარეთ მცხოვრებ და მოღვაწე ქართველების შესახებ. დაახლოებით 10 წლის წინ თავად მეც მხვდა პატივი გამეცნო დიმიტრი ამილახვარის ვაჟი, აწ გარდაცვლილი ოთარ ამილახვარი. ჩვენი შეხვედრა პარიზში, სიტროენის ავენიუზე მდებარე მათ ბინაში შედგა. ბატონი ოთარი და მისი ფრანგი მეუღლე მარგერიტი არაჩვეულებრივი მასპინძლები აღმოჩნდნენ. მათ სახლს ნოსტალგიური, ქართული ელფერი დაკრავდა. მისაღებში, საპატიო ადგილას, ეკა დადიანის უშველებელი პორტრეტი ეკიდა, ყურადღებას იპყრობდა ამილახვართა გვარისა და სანათესაოს წარმომადგენელთა ლამაზ ჩარჩოებში ჩასმული ფოტოები, რომლებიც მთელ სახლში "მიმოეფანტათ". ქალბატონმა მარგერიტმა სათითაოდ ამიხსნა თითოეულის ვინაობა. შესამჩნევ ადგილას მოეთავსებინათ, დიმიტრი ამილახვარის რამოდენიმე სამხედრო ჯილდოც, რომლებითაც ის საფრანგეთის ხელისუფლებამ სიმამაცისა და გმირობისათვის დააჯილდოვა. როდესაც ჩემმა მასპინძელმა გაიგო რომ საქართველოში დიმიტრი ამილახვარს იცნობენ, გაუხარდა და გაოცება ქართულად გამოხატა. ქართული გცოდნიათ მეთქი, გამიხარდა, და სანამ რამეს მიპასუხებდა, მისმა ფრანგმა მეუღლემ წმინდა ქართულ ენაზე მომიგო - სამწუხაროდ ცოტაო... სასტუმრო ოთახის უშველებელი ფანჯრები პირდაპირ მირაბოს ხიდს, სენასა და მთელ პარიზს გადაყურებდნენ. ბატონმა ოთარმა ბავშვობა გაიხსენა, მე და მამა ამ ხიდზე დავდიოდითო სათევზაოდ, და ერთობ დანანებით აღნიშნა: "მას შემდგომ მირაბოს ხიდი რამდენჯერმე გადააკეთეს და ახლა სულ სხვანაირია". სენის ორივე მხარეს ამაყად გადაჭიმული ეს ნაგებობა, უეცრად, რატომღაც, იმ ბეწვის ხიდად წარმომიდგა, რომელზეც დიმიტრი ამილახვარი მთელი ცხოვრების მანძილზე გადიოდა...

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული გმირი საფრანგეთს არასდროს დავიწყებია. მის შესახებ უამრავი რამ დაიწერა. ცნობილმა ფრანგმა პოეტმა მორის როსტანმა ემოციებით აღსავსე ლექსი მიუძღვნა, სადაც მას როგორც ქართველ პრინცს ისე მიმართავს. 1956 წელს მისი სახელი მიენიჭა სენ-სირის სპეციალური სამხედრო სასწავლებლის 143-ე გამოშვებას.

დიმიტრი ამილახვარის ხანმოკლე, მაგრამ საოცარი ცხოვრება შეიძლება აიხსნას სრულიად განსაკუთრებული და მისგან დამოუკიდებელი გარემოებებითა და პირობებით, რომელთა თანხვედრა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ერთეული პიროვნებების ცხოვრებაში, და ისიც მხოლოდ ერთხელ ათასი წლის განმავლობაში. ბედის უკუღმართობით საქართველოდან გადახვეწილი ემიგრანტების შვილი გახდა უცხო ქვეყნის ეროვნული გმირი. მისმა გაქრობამ სამხედრო ასპარეზიდან თანამედროვეებზე უეცრად შეწყვეტილი გრიგალის შთაბეჭდილება დატოვა. მეოცე საუკუნის საფრანგეთის სამხედრო ისტორიაში ამილახვარმა უცხოელისთვის არნახული მიღწევებით გამოიჩინა თავი. მის სახელს დროის არ ეშინია. ასეთი გახლავთ ბალადა ქართველ პრინცზე, რომელმაც საფრანგეთი გააოცა.

# ჰეპატიტების ალფაბეტი

სოფიო თოდუა



პროფესორი ელზა ვაშაკიძე.

A, B, C, D ... კარგი იქნებოდა, ამ სიმბოლოებში გეომეტრიულ სიდიდეებს ვგულისხმობდეთ, მაგრამ ჩვენ ჰეპატიტებზე ვლაპარაკობთ. ბოლო დროს ხშირად მოისმენთ ასეთ სიტყვებს: "ცე აიკიდა" და იქ ლაპარაკი მინორული ტონალობაში გრძელდება. ეს სამწუხარო რაელობაა და სრულიად კონკრეტული დაავადება, რომელთანაც ბრძოლა ჩვენს პირობებში არც ისე იოლია. ზუსტად რამდენი კაცია ამ ვირუსით ინფიცირებული ან უკვე რამდენი დაიღუპა, ამის მონაცემები არ არსებობს. მაგრამ არსებობენ ადამიანები, - ჩვენი ნათესავები, ახლობლები, მეზობლები, - ვინც ამ დაავადებას იმდენად ებრძვიან, რამდენადაც შეუძლიათ. გვეუბნებიან, რომ გაზრდილი ბიუჯეტი ჯანდაცვის სფეროზეც საგრძნობლად აისახა და ვხედავთ პაციენტებს, მკურნალობის საფასურის დასაფარად სახლ-კარის გაყიდვა რომ უწევთ. უდავოდ კარგია, როცა C ჰეპატიტის მკურნალობის შემთხვევაში სახელმწიფო 900 ლარს ფარავს, პაციენტი კი მხოლოდ 90 ლარს იხდის. მაგრამ ახლა ისიც ვიკითხოთ: ამ თანხის ფარგლებში რამდენი ხნის სიცოცხლე უწერია ამ ვირუსით ინფიცირებულ პაციენტს? უფასოდ არაფრის მკურნალობა არ შეიძლება და ნებისმიერ შემთხვევაში მკურნალობის საფასური უნდა ანაზღაურდეს. სხვა საქმეა, ვინ გაიღებს თანხას: სახელმწიფო თუ პაციენტი. იმ ქვეყნებში, სადაც ხელფასები ამა თუ იმ დაავადების გამოსავლენად და სამკურნალოდ საკმარისია, პრობლემა ასე მწვავედ არ დგას. მაგრამ იქ, სადაც ოჯახების უმრავლესობას თვიური შემოსავალი საკვებადაც არ ყოფნის, ბუნებრივია, ამ ქვეყნის მოქალაქეების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. რამდენად გაიზრდება ჩვენი ბიუჯეტი უახლოეს მომავალში, ეს სახელმწიფოს კურსზეა დამოკიდებული, მანამდე კი არსებული სტანდარტებით დაკმაყოფილება მოგვიწევს. ამ სტანდარტების ფარგლებში ერთადერთ იმედად ისევ ჩვენი ექიმების პროფესიონალიზმი გვესახება - მაშინაც კი, როცა ლამის ყოველ მეორე დღეს "ექიმების საქმეს" სხვადასხვა ინსტანციებში იხილავენ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგე, ევროპის ჰეპატოლოგთა ასოციაციის წევრი, პროფესორი ელზა ვაშაკიძე გვირჩევს: "თუ უჩივით საერთო სუსუსტეს, ულონობას, მუცლის შებერვას, დისკომფორტს მარჯვენა ფერდქვეშ, პერიოდულად შარდის გამუქებას და ცუდ "პახმელიას", აუცილებლად მიმართეთ ექიმს".

**- რატომ გახდა დღეს ჰეპატიტის მკურნალობა ასე პრობლემური?**

- საქმე ისაა, რომ C ჰეპატიტის დროს დიაგნოზის დასმა უმთავრესად დაგვიანებით ხდება. უმრავლეს შემთხვევაში დაავადება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნევლად ან სუსტად გამოხატული სიმპტომებით მიმდინარეობს და ავადმყოფი უკვე ქრონიკულ სტადიაზე აკითხავს ექიმს. სამწუხაროდ, ამ დაავადების კლინიკა ისეთია, რომ ახალგაზრდობაში შეყრილი ვირუსის გამო ხშირად ღვიძლის დაზიანება მოწიფულობის ჟამს იჩენს თავს. ამთავითვე მინდა აღვნიშნო, რომ მცდარია მოსაზრება, თითქოს C ჰეპატიტი მხოლოდ ნარკომანების დაავადებაა. ასეთი მიდგომა სწორი არ არის. არ გამოვრიცხავ, რომ ავადმყოფთა გარკვეული კატეგორია იმიტომაც არ მიდის თავის დროზე ექიმთან, რომ ვიღაც ნარკომანად ჩათვლის. მე მოგაწოდებთ მრავალი პაციენტის ისტორიას, რომლებიც არასდროს ყოფილან ნარკომანები, მაგრამ ეს ვირუსი მაინც შეეყარათ. საქმე ისაა, რომ სისხლით გადამდები სხვა ინფექციების მსგავსად C ჰეპატიტი ინტრავენურ ნარკომანებში უფრო ადვილად ვრცელდება.

**- ოფიციალური მონაცემებით საქართველოში მოსახლეობის 5 პროცენტი ამ ვირუსითაა ინფიცირებული. ეს საგანგაშო მაჩვენებელია?**

- თავისთავად საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. რაც შეეხება სტატისტიკას და, აქედან გამომდინარე, რა ადგილი უკავია საქართველოს მსოფლიოში ამ დაავადების გავრცელების მხრივ, ეს იმაზეა დამოკიდებული, რომელ ქვეყანასთან ვავლებთ პარალელს. თუ დავაკვირდებით ჰეპატიტის გავრცელების რუკას, ვნახავთ, რომ ეს ინფექცია მთელ მსოფლიოშია მოდებული - ყველგან, სადაც ადამიანია, ეს ავადმყოფობაც არსებობს. არის ქვეყნები, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მოსახლეობის ინფიცირების მაჩვენებელი ორ პროცენტზე ნაკლებია. მაგრამ არის ადგილები, მაგალითად, ეგვიპტე, სადაც ყოველი მესამე კაცი C ვირუსითაა დასნეულებული. დასავლეთ ევროპაში ამ ვირუსით მოსახლეობის დაახლოებით 1 პროცენტია დაავადებული, სამხრეთ ევროპაში, ვთქვათ, საბერძნეთში, სადაც ნარკომანია მეტადაა გავრცელებული, მაჩვენებელიც შედარებით მაღალია - 4 პროცენტი. რაც შეეხება საქართველოს, 2001 წლის მონაცემებით, რომელიც ქართველმა და ამერიკელმა სპეციალისტებმა ერთობლივად მოიპოვეს, დაინფიცირებულია მამაკაცი დონორების 8,6 და ქალი დონორების 5,8 პროცენტი - საშუალოდ ის 5 პროცენტი, თქვენ რომ ახსენეთ.

**- მაგრამ აქ ლაპარაკია დონორებზე და არა მთლიანად მოსახლეობაზე. გამოდის, რომ ეს 5 პროცენტი რეალურ სურათს არ ასახავს...**

- თუ გავითვალისწინებთ, რომ დონორები ინფექციური დაავადებების გავრცელების დაბალი რისკის ჯგუფში მოიაზრებიან (სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ისინი პერიოდულად სამედიცინო შემოწმებას გადიან), ეს მაჩვენებელი ზუსტი არ არის. მაგარამ ამ ხუთი პროცენტის ფარგლებში თუ ვილაპარაკებთ, ჩვენი ადგილი კამერუნის, რუანდისა და ბოლივიის გვერდითაა. სხვათა შორის, ეს ის ქვეყნებია, სადაც ნარკომანიამ, ჩვენი არ იყოს, არნახულ მასშტაბებს მიაღწია. რა თქმა უნდა, კარგია, ეგვიპტეს რომ ჩამოვრჩებით, მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ეგვიპტეში ეს დაავადება სამედიცინო მანიპულაციით გავრცელდა. საქმე ისაა, რომ იქ გავრცელებულია ასეთი დაავადება - შისტოსომიოზი, რომელიც პარაზიტულ ჭიას გადააქვს, ამ დაავადების სამკურნალოდ კი მხოლოდ ინტრავენური მედიკამენტები გამოიყენება. ნუ შევედრებით მაინცდამაინც აფრიკას - იქ მოსახლეობის ნახევარი შიმშილით იხოცება. ჩვენ ორიენტაცია ცივილიზებულ სამყაროზე უნდა ავიღოთ. ამიტომაც ვამბობთ, C ჰეპატიტის გავრცელების თვალსაზრისით საქართველოში მდგომარეობა არასახარბიელოა.

**- ისევ სტატისტიკას მივუბრუნდეთ. დაახლოებით მაინც თუ შეიძლება ითქვას, სინამდვილეში რამდენი კაცია ინციფირებული?**

- ძნელი სათქმელია, რადგან სათანადო კვლევის ჩატარებას საკმაოდ დიდი თანხა სჭირდება და ეს რომელიმე ერთი ექიმის ან თუნდაც საავადმყოფოს ნებასურვილზე არ არის დამოკიდებული. არსებობს ამ დაავადების გავრცელების მაღალი რისკის ჯგუფები - ნარკომანები, მეძავები, ტუბერკულოზით დაავადებულები და სულაც ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთაც ხშირად უწევთ სამედიცინო მანიპულაციების ჩატარება. როგორც მოგახსენეთ, ყველა ამ ჯგუფებში კვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ ტუბერკულოზით დაავადებულთა 13-14 პროცენტი C ჰეპატიტის ვირუსითაცაა დასნეულებული. მარტო ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ჰეპატიტის ამ ფორმით დაავადებულთა მაჩვენებელი ჩვენთან საკმაოდ მაღალია. ახლა რაც შეეხება ნარკომანებს. ჩვეულებრივ, ნარკომანთა 70 პროცენტი ნარკოტიკის ინტრავენურად მოხმარების დაწყებიდან უახლოეს ორ წელიწადში ამ ვირუსით ინფიცირდება, მნიშვნელოვნად უფრო მეტად, ვიდრე ეს შიდსის შემთხვევაში ხდება. აი, ამიტომ ამბობენ, რომ C ჰეპატიტი ნარკომანების დაავადებაა, თუმცაღა თავიდან ეს დაავადება ჩვენთანაც სისხლითა და სისხლის პროდუქტებით ვრცელდებოდა. ამიტომ ის პაციენტები, რომელთაც 1995 წლამდე გადაუსხეს სისხლი ან ხშირად უხდებოდათ სამედიცინო მანიპულაციების ჩატარება მაშინ, როცა არ არსებობდა ამ ვირუსით ინფიცირების დასადგენი ლაბორატორიული კვლევის მეთოდები, მაღალი რისკის ჯგუფში შედიან. ჩემი პაციენტების 40 პროცენტზე მეტს არანაირი შეხება ჰქონია ნარკოტიკებთან. ასევე დიდია C ჰეპატიტით დასნეულების ალბათობა იმ კატეგორიის ადამიანებში, რომელთაც ეპიზოდურად, თუნდაც ერთხელ მიუღიათ ნარკოტიკი ინტრავენური გზით.

**- რა ხდებოდა 1995 წლამდე, საკუთარ ტყავზე ვიწვნიეთ. რამდენად არის დაცული დღეს პაციენტი, რომ ეს საშიში ვირუსი სამედიცინო დაწესებულებებში არ შეეყაროს?**

- ვთქვათ, ექთანს ეჩხვლიტა ჰეპატიტით დაავადებული პაციენტის ნემსი - ამ შემთხვევაში მისი ინფიცირების ალბათობა 3 პროცენტია. იგივე პირობებში შიდსით დასნეულების მაჩვენებელი 0,3 პროცენტია, B ჰეპატიტის დროს კი გადადების ალბათობა 20-25 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. თეორიულად ნებისმიერი სამედიცინო მანიპულაცია, რომელიც კანისა და ლორწოვანი გარსის დაზიანებას იწვევს, გაუსტერილებელი ინსტრუმენტებით თუ ტარდება, შესაძლოა, ჰეპატიტით დამთავრდეს. ასევე საშიშია ტატუირება, პერსინგი, შესაძლოა - მანიკურიც და პედიკურიც. ამიტომაა აუცილებელი ერთჯერადი ინსტრუმენტების გამოყენება. გინეკოლოგია ავიღოთ. ცივილიზებულ ქვეყნებში მრავალჯერადი გინეკოლოგიური ინსტრუმენტები კარგა ხანია აღარ არსებობს. ჩვენთან ასე არ ხდება. ცხადია, ეს პრობლემა მხოლოდ გინეკოლოგებს არ უდგათ და ისევ და ისევ უსახსრობას უკავშირდება. ამიტომაა გაფრთხილებული ყველა სამედიცინო დაწესებულების უფროსი, მუდმივად ჩაატარონ თავიანთ დაწესებულებებში ტრენინგები და მედპერსონალს დადგენილი წესებით მკურნალობა მოსთხოვონ. ჩვენთან, ინფექციურ საავადმყოფოში, სხვადასხვა ინფექციით დასნეულებული პაციენტები მკურნალობენ. ასე რომ არ ვიქცეოდეთ, დავიღუპებოდით. შეიძლება, ჩვენი შენობის შემყურე ამაში ეჭვი შეგეპაროთ, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ ამ წესებს ზედმიწევნით კარგად ვიცავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული პრობლემების (რბილი ნათქვამია) წინაშე აღმოვჩნდებოდით. დარწმუნებული ვარ, სხვაგანაც იგივე ხდება. როცა ძალიან გვიჭირდა და თანხები თითქმის არ გვქონდა, სისხლის შემოწმების პროგრამა მაინც არ გაჩერებულა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ბრძოლა ამ დაავადების წინააღმდეგ ნამდვილად აყვანილია სახელმწიფოებრივ დონეზე და კონტროლი დაწესებულია როგორც სისხლზე და სისხლის პროდეუქტებზე, ისე ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. მაგრამ მოსახლეობამ ისიც უნდა იცოდეს, რომ დღეს სახელმწიფოს არა აქვს შესაძლებლობა, C ჰეპატიტის მკურნალობა მთლიანად თავის თავზე აიღოს.

**- მწირი დაფინანსების ფონზე გათვლა ასეთია: ფინანსდება უკვე გართულებული დაავადებების მკურნალობა, ამა თუ იმ ავადმყოფობის ადრეულ სტადიაზე გამოსავლენად კი შედარებით ნაკლები თანხა იხარჯება. იქნებ ჯობდეს, სახელმწიფომ დღეს მეტი თანხა პრევენციული ზომებისთვის გაიღოს, რომ ხვალ მკურნალობა შედარებით იაფი და, რაც მთავარია, ეფექტური გახდეს?**

- მოდი, გავარკვიოთ, ჩვენ ვლაპარაკობთ კონკრეტულ შემთხვევებზე თუ პრობლემას გლობალურად ვუდგებით? მართალია, პაციენტების გარკვეული ნაწილის მკურნალობა შეუძლებელია, მაგრამ მათთვის სიცოცხლის გახანგრძლივება უაღრესად მნიშვნელოვანია. ამიტომ როცა სახსრები არ გყოფნის, უპირველესად სწორედ ამ კატეგორიის ავადმყოფებზე უნდა იზრუნო. ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლე ადამიანს ერთხელ ეძლევა და უკურნებელი სენით დაავადებული პაციენტისთვის არათუ ყოველი დღე, ყოველი წუთიც ძვირფასია. მაგრამ თანამედროვე მედიცინა პროფილაქტიკისკენ მიდის და იმედი მაქვს, ეს დრო ჩვენთანაც დადგება. აქამდე აუცილებლად მივალთ. C ჰეპატიტის გამოვლენა არ არის პრობლემა არც სამედიცინო და არც მატერიალური თვალსაზრისით (სულ რამდენიმე ლარი ჯდება). პირველად გამოკვლევებს არც ერთი სახელმწიფო არ აფინანსებს, ამიტომ თუ თქვენ თვლით, რომ შესაძლებელია ჰეპატიტით იყოთ დაინფიცირებული, გამოკვლევა საკუთარი სახსრებით უნდა ჩაიტაროთ. სახელმწიფო ამ ეტაპზე აფინანსებს მხოლოდ რისკის ჯგუფების გამოკვლევას და ამ დაავადების ბოლო სტადიას, როცა ექიმებიცა და პაციენტებიც სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ვიბრძვით. შუა სტადია დაფინანსებული არ არის.

**- რიცხვებით რომ ვილაპარაკოთ, შუა სტადიაზე ბევრი ავადმყოფი იმყოფება?**

- ასეთი ავადმყოფები, სამწუხაროდ, ბევრია და მკურნალობაც ძალიან ძვირი ჯდება - 6-დან 12 ათასი ევრომდე. არის ქვეყნები - მაგალითად, საფრანგეთი, რომელიც არათუ თავის მოქალაქეებს, არამედ ლტოლვილებსაც მკურნალობს. ამიტომაც იყო შემთხვევები (მართალია, ერთეული), რომ C ჰეპატიტით ინფიცირებულები აქედან სწორედ იმიტომ წავიდნენ ლტოლვილის სტატუსით, რომ იქ უფასოდ ემკურნალათ. ლაპარაკია ანტივირუსული თერაპიის კურსზე, რომელიც ჩვეულებრივ ადრეულ სტადიაზე ტარდება - ანუ მანამ, სანამ განვითარდება ღვიძლის ციროზი. ისევ 5 პროცენტის ფარგლებში თუ ვილაპარაკებთ, მათგან დაახლოებით 30-40 პროცენტს ამ კურსის ჩატარება სჭირდება. ეს პროგრამა სახელმწიფომ რომ დააფინანსოს, მაშინ ჯანდაცვის სხვა სეგმენტზე მთლიანად უნდა თქვას უარი. ასეთი დაავადებები სხვაცაა. მაგალითად, ნეიროქირურგიული ოპერაციები 10, 15 და 20 000 ჯდება.

**- ამიტომ ვისაც შესაძლებლობა გააჩნია, სამკურნალოდ სხვაგან უნდა წავიდეს?**

- არსადაც არ უნდა წავიდეს. მე გაძლევთ გარანტიას, რომ ჩვენთან ანტივირუსული თერაპია, რომელიც თავის მხრივ ექიმისაგან განსაკუთრებულ კვალიფიკაციას მოითხოვს, ზუსტად ისევე ტარდება, როგორც მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

**- და კურნავენ სტაციონარში, სადაც პირობები, რბილად რომ ვთქვათ, საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება?**

- ამ ავადმყოფებს სტაციონარული მკურნალობა არ სჭირდებათ. პაციენტი ჩვენთან მოდის კვირაში ერთხელ. ვინც ამ თერაპიის კურსს იტარებს, მათგან 50-80-პროცენტი სრულიად იკურნება. ვიმეორებ, რაც უფრო ადრეულ სტადიაზე ხდება დაავადების გამოვლენა, მკურნალობა მით უფრო ეფექტურია. დაგვიანების შემთხვევაში ფული უკვე ვერაფერს წყვეტს, რადგან სრული განკურნება შეუძლებელია.

**- პროგნოზი როგორია?**

- არც ისე დამაიმედებელი. ასე მაგალითად, ამერიკაში 10 წელიწადში C ჰეპატიტით უკვე ინფიცირებულთა 12 პროცენტს განუვითარდება ციროზი, 2015 წლისათვის ეს რიცხვი გაორმაგდება. ეს ფორმულები ჩვენთან რომ გადმოვიტანოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: 2015 წლისათვის პაციენტთა რაოდენობა, რომელთაც C ვირუსით გამოწვეული ციროზი განუვითარდათ, რამდენიმე ათეულ ათასს მიაღწევს. სხვათა შორის, შიდსთან შედარებით C ჰეპატიტით ინფიცირებულთა რაოდენობა ხუთჯერ მეტია. ამიტომაც ლაპარაკობენ ამ დაავადების ჩუმ ეპიდემიაზე. შავი ჭირი ყვირის, მალარია ყვირის, ქათმის გრიპი ხომ ყვირის და ყვირის, C ჰეპატიტი კი ჩუმად მიმდინარეობს. ამერიკაში ყოველწლიურად C ჰეპატიტის ციროზით 8 000-10 000 კაცი იღუპება და 10 000 კაცს უკეთდება ღვიძლის ტრანსპლანტაცია. აი, ამაზეა ლაპარაკი. მოსახლეობას მუდმივად უნდა შევახსენოთ ამ ინფექციის შესახებ. ზოგმა იცის, რომ დაავადებულია, მაგრამ ეშინია და ექიმთან არ მიდის. ეს სწორი არ არის, ღვიძლს დიდი შესაძლებლობები აქვს და ჩვენ ყველა სტადიაზე შეგვიძლია დახმარების გაწევა. ამისდა მიუხედავად, დროზე მოგვაკითხეთ. ასაკობრივი მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, ხანდაზმულ ასაკში მხოლოდ 30 პროცენტს აქვს სრული გამოჯანმრთელების შანსი, მაშინ, როცა ახალგაზრდებში ეს მაჩვენებელი 70-80 პროცენტს აღწევს.


## TV5MONDE

### 20 ივნისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ინდოეთი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ბიგუდი. სერიალი. **11.30** გადაცემა: გურმანი. **12.15** სანდრინ კიბერლენი. დოკ. ფილმი. **14.05** ჟერარ კლეინი მსოფლიოს გარშემო.დოკ. ფილმი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** ნოსტალგია. მხ ფილმი. რეჟისორი ბერნარ ტავერნიე. 1990. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** სამი ქალბატონი... ზაფხულის ერთი საღამო. რეჟისორი სებასტიან გრალი. 2003. **23.00** გადაცემა: თალასა. **03.15** ჟერარ კლეინი მსოფლიოს გარშემო.დოკ. ფილმი. **04.40** გადაცემა: თვალსაზრისი.



## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06 893 65 38 39



## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



**ბერჰარდ შრიოდერი: ნავთობის ფასი 100 დოლარი/ბარელს გადააჭარბებს**

გერმანიის ექს-კანცლერის, გერჰარდ შრიოდერის აზრით, ირანის წინააღმდეგ ემბარგოს დაწესებას 1 ბარელი ნავთობის 100 დოლარზე მეტად გაძვირება მოჰყვება. მან აღნიშნა, რომ ბევრი ევროპული ქვეყანა ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესების წინააღმდეგ იმიტომაც გამოდის, რომ შედეგები მათ ეკონომიკაზე ერთობ ნეგატიურ გავლენას მოახდენს. ამასთან, შრიოდერის აზრით, აუცილებელია ირანის მსოფლიო ეკონომიკაში ინტერაცია, რისთვისაც აშშ-მ და ევროპამ მხარი ირანულ რეფორმატორულ ძალებს უნდა დაუჭირონ. ექს-კანცლერმა პრობლემის ძალისმიერი გზით გადაჭრის წინააღმდეგ გაილაშქრა და ყველას შეახსენა, რომ მსოფლიოს ენერგორესურსების 50 პროცენტი სწორედ არასტაბილურ ქვეყნებში მოიპოვება.

# ჩეხური "ენერგო პრო" "თითქმის" გამარჯვებულია

დიანა ჩაჩუა

*საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მყიდველი, პრაქტიკულად, გამოვლენილია. უკონკურენტო Energopro-ს ეკონომიკური განვითარების მინისტრი გამარჯვებულად, სავარაუდოდ, ხვალ გამოაცხადებს. სხვა საკითხია დანარჩენი კომპანიების ბედი, რომელთა შესახებ სამინისტროში, ჯერჯერობით, ინფორმაციას არ ახმაურებენ. ოფიციოზის განცხადებით, სწორედ ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონკურენტი კომპანიების შესახებ მონაცემების მოპოვება და დამუშავება.*

**რაც შეეხება ამ ჩეხური კომპანიის რუსულ ფესვებს, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ამას გამორიცხავს. "ჩეხური "ექსპორტბანკიდან" მივიღეთ წერილი, რომლის თანახმად, "ენერგო პრო" ჩეხური კაპიტალითაა შექმნილი, კარგი რეპუტაცია აქვს და ევროგაერთიანების კომპანიას წარმოადგენს. რაც შეეხება იმას, რომ "ენერგო პრო"-ს უკან რუსული კომპანია "რაო ეესი" მოიაზრება, ჩემთვის ამის შესახებ არაფერია ცნობილი," - განმარტა გილაურმა.**



*ენერგეტიკის მინისტრი და სემეკ-ის თავმჯდომარე მალე შედეგებს გამოაცხადებენ.*

B4

## ფინანსთა მინისტრი ნიდერლანდების ჯგუფის წევრი ქვეყნების შეხვედრაზე

## მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი დაიწყო

B2

# ბაზარზე ხუთი ინტერნეტპროვაიდერი ლიდერობს

## 2005 წელს შემოსავლები 22,4 პროცენტით გაიზარდა

ნინო ნატროშვილი

*ბოლო წლების სტატისტიკამ აჩვენა, რომ საქართველოში ინტერნეტმომსახურების ქსელი და ამ სერვისის მომხმარებელთა რაოდენობა საკმაოდ სწრაფად იზრდება. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციით, კომისიის სალიცენზიო დეპარტამენტში ავტორიზაცია 60-მა ინტერნეტპროვაიდერმა გაიარა. საგულისხმოა ისიც, რომ პროვაიდერებისთვის სავალდებულო, ლიცენზიის აღების პროცედურა გაუქმდა და მათ კომისიაში მხოლოდ ავტორიზაციის გავლა უწევთ, რაც ერთჯერად პროცედურას წარმოადგენს. რაც შეეხება მოსაკრებელს, ინტერნეტპროვაიდერები რეგულირების გადასახადს - შემოსავლების წლიური ბრუნვის 1 პროცენტს იხდიან.*

- **პროვაიდერების შემოსავლების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია. ინტერნეტმომსახურება და მისგან მიღებული შემოსავალი საქართველოს მთლიანი სატელეკომუნიკაციო ბაზრის 4 პროცენტს შეადგენს.**
- **2000-2005 წლებში ინტერნეტით მომსახურების ბაზრის სეგმენტზე საერთაშორისო შემოსავლების მატებასთან ერთად გაიზარდა მოქმედ ოპერატორებს შორის საბაზრო კონკურენციის დონეც.**



B2

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3190 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9815 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4835 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7760 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8286 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1495 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3016 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3086 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2480 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4370 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3415 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1194 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1548 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2920 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1940 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2368 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4012 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5971 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1828 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4941 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3323 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2862 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5573 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5967 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0658 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1185 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4219 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5465 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4524 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5506 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8257 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1432 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1482 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4390 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2426 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4453 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0795 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2221 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2288 |




# "ფიატს" "ფერარის" დაბრუნება სურს

**ბერნი ის კაცია, ვინც ერთ დროს ფორმულა ერთის გუნდს (ბრებჰემი) ფლობდა. შემდეგ კი, როგორღაც, "ფორმულა ერთის" კომერციული უფლება დაისაკუთრა და, რაც მთავარია, დიდი პრიზების სამყარო დიდი მოგების წყაროდ აქცია. ფორმულა 1 დღეს სწორედ მას უნდა უმადლოდეს, რომ სპორტის სახეობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია.**

B4

მერაბ ლორთქიფანიძე

*რეალურად, "ფიატი" მას შემდეგაც ფლობდა "ფერარის" აქციების საკონტროლო პაკეტს, რაც თავისი კუთვნილი აქციებიდან 34 პროცენტი 775.2 მილიონ ევროდ მიჰყიდა იტალიური ბანკების კონსორციუმს, სახელად "მედიობანკა". ეს 2002 წელს მოხდა, როცა იტალიური კონცერნი მძიმე კრიზისს განიცდიდა.*



# მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი დაიწყო

სალომე ძაძამია

საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესებში და ევროკავშირის სამეზობლო სივრცეში ჩართვამ, აქედან გამომდინარე, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლამ, აუცილებელი გახადა შესაბამისი ცვლილებების გატარება. რეფორმირების პროცესში ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს მოსახლეობის ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან ადაპტაციის სირთულეები წარმოადგენს. ამ ეტაპზე უმთავრეს ამოცანად შრომისა და დასაქმების, უმუშევრობის და სიღარიბის დაძლევის პრობლემების მოგვარება იქცა.

საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის და ბიზნესგარემოს, გარკვეულწილად, გაუმჯობესების მიუხედავად, შრომის ბაზარზე მდგომარეობა კვლავაც არასახარბიელო და არასტაბილურია. მაშინ, როცა უმუშევრობის მაჩვენებლები ზოგადად შეესაბამება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის დამახასიათებელ მაჩვენებლებს, საერთო სურათზე გავლენას ახდენს არასრული დასაქმება, ფართოდ გავრცელებული და შენიღბული უმუშევრობა და ხელფასების დონის ჩამორჩენა მინიმალურ საარსებო დონესთან.

შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო აშშ საერთაშორისო განვითარების (USAID) პროგრამის ფარგლებში, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტში, რომლის ძირითადი მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა-განვითარება და საქართველოს მოსახლეობისთვის დასაქმების ხელშეწყობა. საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსი საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ოთხწლიან პროექტს ახორციელებს. მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის მიზნით, პროექტის თანამშრომლებმა, ექსპერტებმა და კონსულტანტებმა შემუშავეს სხვადასხვა მიზნობრივი ღონისძიებების თანმიმდევრული გეგმა. განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტები. ესენია: დახმარება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით, ბიზნესასოციაციებისთვის დახმარების გაწევა, ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება, სამეწარმეო საქმიანობის წახალისება-ხელშეწყობა, ტრენინგები სამეწარმეო საქმიანობის უნარის განვითარებაზე. პროექტის მიმდინარეობის პირველი წლისთვის შეირჩა თბილისი, თელავი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, მარნეული და ახალციხე.

პროექტის დირექტორი კონსტანტინე ნანობაშვილი აცხადებს, რომ ქართული კომპანიები კადრების სიმცირეს უჩივიან: - მიუხედავად დღეს ქვეყანაში გაბატონებული აზრისა, რომ სამუშაო ადგილები არ არის, კვლევამ საწინააღმდეგო ფაქტები დაგვანახა. ჩავატარეთ კვლევა 40-მდე კომპანიაში. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა მათგანს სჭირდება კადრები. სპეციალისტების მოძიებაში გვეხმარება დასაქმების სახელმწიფო სააგენტო.

- რომელ კომპანიებთან თანამშრომლობით ახორციელებთ პროექტს?

- "ავერსი ფარმა", "ალდაგი", "ჯი-ემ-პი", "სახალხო ბანკი", "აქსისი" და ა.შ.

- როგორც ცნობილია, პროექტში ტრენინგების პარალელურად სამეწარმეო პრაქტიკაც არის გათვალისწინებული...

- თეორიული ნაწილის პარალელურად მოხდება პრაქტიკული მომზადება. კომპანიებში მოხდება ამ ადამიანების პრაქტიკა-სტაჟირება. სტაჟირების პროცესში უკეთ გაერკვევიან კომპანიის მუშაობის სპეციფიკაში.

- პროექტის მიმართულებაა დამწყები მცირე ბიზნესმენების ხელშეწყობაც. რა ფორმით შეუწყობთ ხელს დამწყებ ბიზნესმენებს?

პროგრამით გათვალისწინებულია მცირე სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად აუცილებელი ცოდნის მიღება. მეწარმეების მომზადება მოხდება გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით. პოტენციურ მეწარმეს საშუალება ეძლევა საკუთარი შესაძლებლობები შეაფასოს. დამწყებ ბიზნესმენებს საკრედიტო ორგანიზაციები ცოტა სკეპტიკურად უყურებენ. ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება საკრედიტო ორგანიზაციებთან და წარმატებულ ბიზნეს-იდეებს ისინი, გარკვეულწილად, დააფინანსებენ. ასევე, გაიცემა შეღავათიანი კრედიტებიც. ეკონომიკური ექსპერტების შერჩევით, გამოვლინდება წარმატებული და მზარდი ბიზნეს-იდეები. ვინც გარკვეულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მათ მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს, რომ წარმატებით დაიწყონ ახალი საქმე. ამ პროექტით 10 მეწარმე უნდა მომზადდეს. აქედან ნახევარმაც რომ დაიწყოს ბიზნესი, ერთი მეწარმე მინიმუმ, ორი ახალი სამუშაო ადგილს მაინც შექმნის. პროგრამა იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანი არ იყოს ვილაცაზე დამოკიდებული და ჰქონდეს, თუმცა მცირე, მაგრამ საკუთარი ბიზნესი.

# ბაზარზე ხუთი ინტერნეტპროვაიდერი ლიდერობს

პირველი გვერდიდან

ინტერნეტმომსახურებაზე მზარდი მოთხოვნა პროვაიდერების შემოსავლების მკვეთრ ზრდას უზრუნველყოფს. პირველი პროვაიდერი საქართველოს კომუნიკაციების ბაზარზე 1993 წელს გამოჩნდა. მათი შემადგენლობის მატება ბაზარზე 2001 წლიდან ფიქსირდება. ბაზარზე არიან ლიდერები და აუტსაიდერები, ამის მიუხედავად, ამ ბიზნესს მაინც სოლიდური მოგება აქვს. რა სეგმენტი უჭირავს ბაზარზე ამა თუ იმ პროვაიდერს, ამის გარკვევა მის მიერ მიღებული შემოსავლებიდან ხდება და არა აბონენტთა რაოდენობით. თუმცა, როგორც კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, პროვაიდერების შემოსავლების შესახებ არსებული ინფორმაცია კონფიდენციალურია. ინტერნეტმომსახურება და მისგან მიღებული შემოსავალი საქართველოს მთლიანი სატელეკომუნიკაციო ბაზრის 4 პროცენტს შეადგენს. იგი სტაბილურად მზარდია და 2002 წელს მისმა შემოსავლებმა ინტერნეტმომსახურებიდან 8 მილიონი ლარი, 2003 წელს - 13,7 მილიონი ლარი, 2004 წელს კი - 23,7 მილიონი ლარი შეადგინა.




წლიური ზრდის პროცენტულ შემოსავალს თუ გადავხედავთ, 2004 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 73 პროცენტი შეადგინა. 2003 წელს - 71,2 პროცენტი, 2002 წელს - 11,1 პროცენტი, 2001 წელს კი 2,13 პროცენტი იყო.

ექსპერტების შეფასებით, 2005 წელს ამ სეგმენტში შემოსავლების ზრდის კუთხით, უფრო მზარდი მაჩვენებლები დაფიქსირდა. შემოსავლების მატებამ, წინა წელთან შედარებით, 22,4 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე ინტერნეტით მომსახურება ყველაზე მზარდი სეგმენტია. მაგალითისათვის, 2000-20005 წლებში შემოსავლების წლიური ზრდის ტემპის პოზიტიურმა მაჩვენებელმა თითქმის 40 პროცენტი შეადგინა.

ADSL ტექნოლოგიებით, ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა 2005 წლის ბოლოს 15,3 ათასი იყო. წინა, 2004 წელთან შედარებით, აღნიშნული აბონენტების რიცხვი თითქმის 3,6-ჯერ გაიზარდა. DIAL-UP ტექნოლოგიით ინტერნეტის მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობა 2005 წელს, წინა წელთან შედარებით, 40 პროცენტით გაიზარდა და დაახლოებით 178 ათასი შეადგინა.

2000-2005 წლებში ინტერნეტით მომსახურების ბაზრის სეგმენტზე საერთაშორისო შემოსავლების მატებასთან ერთად გაიზარდა მოქმედ ოპერატორებს შორის საბაზრო კონკურენციის დონეც. ექსპერტების შეფასებით, ბაზარზე, ძირითადად, ხუთი ინტერნეტპროვაიდერი (სანეტი, ჯორჯიან ონლაინი, ვანექსი, ჯეონეთი და კავკასუს ნეტვორკი) ლიდერობს. ხოლო ბაზრის დარჩენილი მცირე სეგმენტი სხვა, უფრო წვრილ პროვაიდერებზე ნაწილდება.

# სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები ქართველ მეღვინეებს გამოცდილებას გაუზიარებენ

სურსათის საერთაშორისო ორგანიზავია "ფაო" 27-28 ივნისს სასტუმრო "სიმპათიაში" ღვინის ხარისხთან დაკავშირებით სემინარს გამართავს. "ფაოს" საქართველოს წარმომადგენლობაში აცხადებენ, რომ სემინარზე, რომელსაც უცხოელი ექსპერტები და ღვინის ქართველი მწარმოებლები დაესწრებიან, იტალიიდან ჩამოსული, მეღვინეობის დარგში მომუშავე ექსპერტები ქართველ მეღვინეებს თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ. სემინარზე შესაძლებელია განიხილონ ქართულ-რუსული პრობლემები ღვინოსთან დაკავშირებით. **ჯი-ეიჩ-ენი**

# რიგაში საქართველო-ლატვიის ბიზნესფორუმი გაიმართება

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, 28-29 ივნისს, ლატვიის დედაქალაქ რიგაში, საქართველო-ლატვიის ბიზნესფორუმს და ქართული პროდუქციის გამოფენა-პრეზენატიაციას აწყობს. ბიზნესფორუმი ლატვიის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში გაიმართება, რომელსაც ლატვიის პალატის პრეზიდენტი იანის აბოლტინსი გახსნის.

ფორუმს სიტყვით მიმართავს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი. საქართველოში ბიზნესგარემოზე საქართველოს სავაჭრო პალატის გენერალური დირექტორი გიორგი კაკაბაძე ისაუბრებს. დაგეგმილია "თბილღვინოს" პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის, "ქართული მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" გამგეობის თავმჯდომარის ზაზა კიკვაძის და სს "მადნეულის" გენერალური დირექტორის კობა ნაყოფიას პრეზენტაციები. ბიზნესფორუმის შემდეგ გაიმართება ქართული პროდუქციის გამოფენა და ქართული ღვინოების დეგუსტაცია. ლატვიაში ქართულ ღვინოს წარადგენენ შემდეგი კომპანიები: "თბილღვინო", "ვაზიანი", "თელიანი ველი", "თელავის ღვინის მარანი", "ტიფლისის მარანი" და "კახური ტრადიციული მეღვინეობა". ღვინის მწარმოებელი კომპანიების გარდა, ფორუმში და გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა და ექვსი ქართული კომპანია: "უშბა დისტილერი", "ქართული მინისა და მინერალური წყლების კომპანია", "დენდრო", "PSP", "LUX 2004", "მადნეული". ქართველ და ლატვიელ ბიზნესმენებს შორის ორმხრივ შეხვედრებს ლატვიის სავაჭრო-სამრეწველო პალატა უზრუნველყოფს, რომელიც გამოფენის ბოლოს გაიმართება. ლატვიის მხრიდან წარმოდგენილნი იქნებიან: დისტრიბუტორები, იმპორტიორები, მსხვილი სავაჭრო ქსელების და სხვა სფეროების წარმომადგენლები. ორმხრივი შეხვედრები ორ დღეს გაგრძელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ფინანსთა მინისტრი ნიდერლანდების ჯგუფის წევრი ქვეყნების შეხვედრაზე

17-18 ივნისს სომხეთის დედაქალაქი მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნიდერლანდების წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისა და სახელმწიფო ბანკების მმართველთა შეხვედრას მასპინძლობდა. შეხვედრაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიური სამიტისათვის, მოსაზრებები და სამოქმედო გეგმები შეჯამდა. ფორუმზე სპეციალური მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი.



ალექსი ალექსიშვილმა გამოსვლაში დეტალურად ისაუბრა საქართველოს მაკროეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე. ამ სფეროებში მთავრობის მიერ უკვე მიღწეულ შედეგებსა და მიმდინარე რეფორმებზე. ქართველმა მინისტრმა პარტნიორებს გააცნო ქვეყნის ის სამოქმედო სტრატეგია და პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა განხორციელებასაც საქართველოს მთავრობა უახლოესი წლების განმავლობაში გეგმავს.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის ორმხრივი შეხვედრები ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრთან გერიტ ზალმთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველ დირექტორთან როდრიგო დე რატოსთან. გაიმართა მოლაპარაკებები სომხეთის პრემიერთან და ფინანსთა მინისტრთან. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნიდერლანდების წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების მმართველთა ანალოგიური შეხვედრა პირველად დსთ-ს სივრცეში გასული წლის 11-12 ივნისს თბილისში გაიმართა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები მხარს უჭერენ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმებს და ეკონომიკურ პოლიტიკას.

# თბილისში ევრაზიის ენერგოუსაფრთხოებისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიხსნა

გუშინ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ეგიდით, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" საერთაშორისო კონფერენცია "ევრაზიის ენერგეტიკული უსაფრთხოება - ბაზრის მისაწვდომობა და საინვესტიციო პოლიტიკა" გაიხსნა. კონფერენციაში მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები, მსხვილი ენერგოკომპანიების ხელმძღვანელები. კონფერენციაზე განიხილავენ "ენერგომატარებლების ტრანსპორტირების სამხრეთის დერეფნის" განვითარების, ცენტრალური აზიის ბუნებრივი გაზის ევრაზიისათვის საჭიროებისა და მოთხოვნილების ზრდის, ენერგომატარებლების მოწოდების კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს. კონფერენცია შეიმუშავებს ენერგომატარებლების მოწოდების კოლექტიური უსაფრთხოების ახალ მიდგომებსა და ფორმებს, რაც შესაძლებელს გახდის ევრაზიული პოტენციალის ახლებურად გამოყენებას. ერთიანი ევრაზიული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება საშუალებას მისცემს პოტენციურ ინვესტორებს, შეიქმნან მყარი გარანტიები, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის ევრაზიის გრძელვადიანი ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკის განსაზღვრას, მიწოდების უზრუნველყოფას და დროულ ინვესტირებას. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი კლოდ მანდილი, კონფერენცია მუშაობას 21 ივნისს დაასრულებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საქართველოს მთავრობის ინიცირებული საფინანსო სექტორის რეფორმირების შესახებ კანონპროექტი დაიწუნეს

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ და ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა მონაწილეობა მიიღეს ერევანში მიმდინარე მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნიდერლანდების ჯგუფის წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების მმართველთა სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრაზე საუბარი გაიმართა საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ ვითარებასა და ფონდის პროგრამის მიმდინარეობის საკითხებზე. სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობის განცხადებით, ფონდი მხარს არ უჭერს საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს საფინანსო სექტორის რეფორმირების შესახებ. სავალუტო ფონდის შეფასებით, კანონპროექტი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, საუბარია "კანონში კომერციული ბანკების შესახებ" შესატან ცვლილებებზე, რომლებიც ეხება ბანკებში მნიშვნელოვანი წილის შეძენის პროცედურებს და მსხვილ აქციონერთა შესაბამისობის კრიტერიუმებს, აგრეთვე, ანგარიშის გახსნისა და ფიზიკური და იურიდიული პირების ინდენტიფიცირების წესებს. აღინიშნა, რომ მთავრობის მიერ შეთავაზებული პროექტი არსებულ კანონთან შედარებით უკან გადადგმული ნაბიჯია. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნიდერლანდების ჯგუფის წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების მმართველთა სამუშაო შეხვედრაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი, რომელმაც ფისკალურ სფეროში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

GALT & TAGGART SECURITIES

19 ივნისი 2006

## საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 308,291 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 40,888,956 |

| | 16-ივნ-2006 | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.779 | ▲ | 0.56% | 0.78% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 575.5 | ▲ | 0.42% | 63.03% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 518.2 | ▼ | -0.14% | 61.76% |

GTBC ინდექსი (GEL) & სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




საქართველოს ბანკის აქციის ფასი




გაცვლითი კურსი GEL/US




| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 21,000 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 205,512 |

| მომავალ კვირას | | |
|---|---|---|
| სსბ-ს სესია | No. 49 | 0 ივნისი |
| სსბ-ს სესია | No. 50 | 2 ივნისი |

**საფონდო ბაზარი**

**გასულ კვირას გალტ ꞉ თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 0.14%-ით შემცირდა 518.2-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 308.2 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები თოთრმეტ სხვადასხვა აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო ოთხი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 0.17%-ით), გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ყიდვა, დაიკლო 13.4%-ით), გაერთიანებული ქართული ბანკი (UGB, ფლობა, გაიზარდა 14.55%-ით) და ეი-ი-ეს თელასი (AEST, გაყიდვა, უცვლელი). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 95.46% მოდიოდა.

გასულ კვირას საქართველოს ბანკის აქციის (GEB) ფასი გაიზარდა 0.17%-ით და 12.86 ლარი შეადგინა 169.4 ათასი ლარის ოდენობით ვაჭრობის მოცულობის შედეგად. სულ გასულ კვირას გაიყიდა ბანკის 13,179 აქცია.

**პოლიტიკა/ეკონომიკა**

**გასულ კვირას სანკტ-პეტერბურგში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა შედგა.** პრეზიდენტებმა განიხილეს არსებული ვითარება საქართველოსა და რუსეთს შორის, მათ შორის გაყინული კონფლიქტების მოგვარების საკითხი. შეხვედრა ძირითადად გამიზნული იყო კონფლიქტური საკითხებისა და ეკონომიკური ურთიერთობების მოგვარებისკენ და ითვალისწინებდა ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობის შემცირებას.

მოლაპარაკების შემდეგ გამართულ ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა და მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე მკაცრი განცხადება გააკეთეს ერთმანეთის მისამართით. საქართველოს ლიდერმა რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რეგიონებში საქართველოს ტერიტორიების ანექსიაში დაადანაშაულა და ხაზი გაუსვა, რომ საქართველო არასდროს დათმობს საკუთარ ტერიტორიებს. რუსეთის პრეზიდენტმა თავის მხრივ კვლავ გააკეთა მინიშნება ამ ორი რეგიონის მცხოვრებთა თვითგამორკვევის უფლებებზე.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქართული მხარე მზად არის მშვიდობის დასამყარებლად და რომ ეს დიალოგი უნდა გახდეს იმ მრავალი პრობლემის მოგვარების წინაპირობა, რომლებიც რუსულ-ქართულ ურთიერთობებში დაგროვდა და რომლებიც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ორივე მხარეში.

პუტინმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები მეტად სასარგებლო იყო და გამოთქვა დაძაბული ურთიერთობების მოგვარების სურვილი. "მე და მიხეილ სააკაშვილი შევთანხმდით, რომ ორივე ქვეყანამ უნდა გადადგას ნაბიჯი ურთიერთობების ნორმალიზებისა და სახელმწიფოთაშორისო კავშირების განვითარებისთვის კარგი პირობების შესაქმნელად. ჩვენ ასევე შევთანხმდით გავაუმჯობესოთ ჩვენი ურთიერთკავშირის მექანიზმი, რასაც უახლოეს მომავალში განვახორციელებთ", განაცხადა პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტმა ისაუბრა ქართული ღვინისა და მინერალური წყლის რუსეთში გაყიდვის აკრძალვის შესახებ და განაცხადა, რომ უხარისხო ან ყალბი პროდუქციის პრობლემის მოგვარების შემდეგ ქართული პროდუქცია კვლავ დაიშვება რუსეთის ბაზარზე.

ქართველი პარლამენტარების (განსაკუთრებით საპარლამენტო უმრავლესობიდან) დიდი ნაწილი კმაყოფილია აღნიშნული შეხვედრით და უახლოეს მომავალში მისგან დადებით შედეგებს ელოდება. თავის მხრივ საპარლამენტო ოპოზიციას ეჭვი ეპარება, რომ აღნიშნული მოლაპარაკება რაიმე რეალურ შედეგს გამოიღებს და თვლის, რომ პუტინს უბრალოდ სურდა მშვიდობის და რეგიონალური კონფლიქტების მოგვარების მოსურნე გამოჩენილიყო დიდი რვიანის წევრი ქვეყნების შეხვედრის წინ.

**ამასობაში კი საქართველო ცდილობს თავისი ღვინისთვის და მინერალური წყლებისთვის ალტერნატიული ბაზრების მოძიებას და მათ ევროპის ბაზარზე დამკვიდრებას.** გასულ კვირას საქართველოს ევროკომისიის დელეგაცია ეწვია. ევროკომისიასთან მთავრობის შეხვედრა ითვალისწინებდა ხელმოწერას ორმხრივ შეთანხმებაზე, რომელიც ითვალისწინებს ღვინითა და მინერალური წყლით თავისუფალ ვაჭრობას საქართველოსა და ევროპას შორის.

**სავალუტო ბაზარი**

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.56%-ით გაიზარდა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 21.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ წინა კვირასთან შედარებით 5.9 მლნ აშშ დოლარით მეტი. ეროვნული ბანკმა ჯამში 18.2 მლნ. აშშ დოლარი შეიძინა.

GALT & TAGGART SECURITIES

19 ივნისი 2006

## საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

სესია No. 48, 15 ივნისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 16 | 12.83 | 12.87 | 12.86 | 54.1 | 8,805 | 113,243 | 198,932,893 | - |
| UGB | 3 | 2.40 | 2.50 | 2.44 | 248.6 | 250 | 610 | 100,040,000 | ფლობა |
| UTC | 17 | 0.50 | 0.59 | 0.56 | -70.0 | 55,600 | 30,933 | 45,118,225 | ყიდვა |
| AMB | 1 | 0.90 | 0.90 | 0.90 | 12.6 | 580 | 522 | 9,000,000 | რეკ. გარეშე |
| BSK | 1 | 55.00 | 55.00 | 55.00 | 37.5 | 50 | 2,750 | 6,572,500 | რეკ. გარეშე |
| STSP | 1 | 5.00 | 5.00 | 5.00 | -37.5 | 42 | 210 | 1,960,695 | რეკ. გარეშე |
| MACN | 1 | 6.00 | 6.00 | 6.00 | 20.0 | 53 | 318 | 853,572 | რეკ. გარეშე |
| AVSV | 3 | 2.00 | 2.00 | 2.00 | na | 187 | 374 | 326,904 | რეკ. გარეშე |
| TABR | 1 | 0.12 | 0.12 | 0.12 | na | 54,261 | 6,511 | 233,440 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 155,471 | | |

სესია No. 47, 13 ივნისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 14 | 12.85 | 12.86 | 12.86 | 54.1 | 4,374 | 56,240 | 198,886,490 | - |
| AEST | 5 | 1.60 | 1.60 | 1.60 | -13.6 | 500 | 800 | 129,836,618 | გაყიდვა |
| UTC | 13 | 0.25 | 0.75 | 0.64 | -65.7 | 145,450 | 92,455 | 51,610,055 | ყიდვა |
| ENIS | 1 | 6.43 | 6.43 | 6.43 | 2,822.7 | 149 | 958 | 11,657,378 | რეკ. გარეშე |
| AMB | 6 | 0.90 | 0.90 | 0.90 | 12.6 | 790 | 711 | 9,000,000 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 1 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 1,720.0 | 455 | 1,656 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 152,820 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

12 ივნისი, 2006 – 16 ივნისი, 2006

| კოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 1.14 | 0.78 | 0.63 | 0.70 | 0.67 | -4.3 | 1,699,200 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.79 | 2.40 | 1.60 | 2.12 | 1.94 | -7.6 | 11,717,933 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.50 | 1.48 | 1.33 | 1.33 | 1.37 | -4.9 | 191,000 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 800 | 129,836,618 | 0.1 | 0.2 |
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 12.86 | 0.17 | 54.02 | 15-ივნ-06 | 169,483 | 199,725,645 | 22.0 | 59.5 |
| გაერთიანებული ქართული ბანკი | UGB | ფლობა | 2.44 | 14.55 | 110.34 | 15-ივნ-06 | 610 | 51,240,000 | 10.0 | 6.9 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | ფლობა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 30-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.2 |
| ყაზბეგი | KAZB | ფლობა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 30-მაი-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 12.6 |
| გაერთიანებული სატელეკონუნიკაც. კომ | UTC | ყიდვა | 0.56 | -13.40 | 54.44 | 15-ივნ-06 | 123,388 | 57,399,596 | 9.4 | 7.3 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | ფლობა | 7.51 | 0.00 | 200.40 | 28-მარ-06 | 0 | 21,028,000 | 42.7 | 12.2 |
| რუსთავცემენტი | RUCE | ყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 294,281 | 504,193,069 | | 100 |

საფონდო ბაზარზე ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით ვაჭრობის შედეგები

12 ივნისი, 2006 – 16 ივნისი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | ვადაფარვის თარიღი | შაპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | აგაყ | საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებულებებთან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/ S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 102 | 102 | 102 | - | 11.00 | -14 | 587 | 1.07 | B-/B3 |
| პროკრედიტბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.15 | - | 15.10 | -11 | 994 | 0.39 | B / - / - |

**აქტიური ყიდვა:** ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა **ყიდვა:** 10%-20% ზრდა **ფლობა:** 10% კლება ან 10% ზრდა, **გაყიდვა:** 10%-ზე მეტი კლება

საქართველო, 0162, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74ა,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

თამუნა ბიჭინაშვილი
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

ზემოთმოყვანილი მასალა შექმნილია სს "გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითის" მიერ. [illegible]

## TVR ბრიტანეთს არ დატოვებს



ექსკლუზიური სპორტული ავტომობილების მწარმოებელი ფირმა TVR, რომელიც რუს ნიკოლაი სმოლენსკის ეკუთვნის კვლავ ინგლისის ქალაქ ბლეკპულში რჩება.

ბოლო პერიოდში აღნიშნულ კომპანიაში გაყიდვების რიცხვმა საგრძნობლად იკლო და ფირმაში სერიოზულმა ფინანსურმა პრობლემებმა იჩინა თავი. აქედან გამომდინარე, გავრცელდა ხმები, რომ ავტომობილების წარმოებას ბრიტანეთიდან ევროპის რომელიმე ქვეყანაში გადაიტანდნენ. კონკრეტულად კი იქ, სადაც მუშახელი შედარებით იაფი იქნებოდა. ბრიტანეთის სატრანსპორტო პროფესიული კავშირის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ადმინისტრაციასთან შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ ქარხანა ბლეკპულეში დარჩება. ქარხანა ბრიტანეთის ამ ქალაქში 1947 წელს გაიხსნა და აწარმოებს ავტომობილებს, რომელთა საბაზო თანხაც 50 ათას ფუნტ სტერლინგს (90 ატასი დოლარი) შეადგენს. რაც შეეხება ფირმის შტაბ-ბინას, მას ქალაქ ლანკასტერში გადაიტანენ, სადაც სპეციალურად პრესისთვის, მომხმარებლებისთვისა და მოყვარულებისთვის მუზეუმი და ბიბლიოთეკა გაიხსნება.

TVR-ის ხელმძღვანელობის განცხადებით, ეს სტრატეგიული ნაბიჯები კომპანიას ბრიტანული სპორტული ავტომობილების წარმოების ბაზარზე პოზიციების გამყარებაში დაეხმარება.

"დროთა განმავლობაში, ჩვენ TVR-ისთვის სრულიად ახალი ქარხნის გახსნას ვაპირებთ. თუმცა, იმაზე საუბარი, თუ სად იქნება ეს ახალი ქარხანა, ვფიქრობ, ჯერ ნაადრევია."-აცხადებს ფირმის მფლობელი სმოლენსკი.

პროფესიული კავშირის წარმომადგენლის ინფორმაციით, კომპანიის 300 თანამშრომელს უახლოესი პერიოდის მანძილზე საფრთხე არ შეექმნება. ხოლო გაგდებულ თანამშრომლებს კვლავ დააბრუნებენ სამუშაო ადგილებზე.

"სიტუაცია ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული, მიუხედავად იმისა, რომ პესიმიზმის პერიოდის შემდეგ, ჩვენ სასიამოვნო სიახლეებიც გვაქვს. ჩვენ ადმინისტრაციასთან კიდევ გვექნება შეხვედრა და ვფიქრობ სასურველ შედეგს მივაღწევთ,"- აცხადებს პროფკავშირის წარმომადგენელი ენდი რობერტსონი. ოლიგარქ ალექსანდრე სმოლენსკის ვაჟმა ნიკოლაი სმოლენსკიმ კომპანია TVR 2004 წელს იყიდა. ამ უკანასკნელმა კი რუსეთში ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი "Столичный" დაარსა. 1998 წლის ფინანსური კრიზისის დროს, ის რუსეთს ტოვებს და საზღვარგარეთ მიემგზავრება. 2003 წელს კი ალექსანდრე სმოლენსკიმ თავისი საბანკო ბიზნესი ჰოლდინგ "Интеррос"-ის მფლობელს ვლადიმირ პოტანინუს მიჰყიდა. კომპანია TVR-ის მფლობელი ნიკოლაი სმოლენსკი 25 წლისაა.

## Google Finance 38-ე ადგილზე გადის

Hitwase-ი მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, სერვისი Google Finance-მ პოპულარულობის მიხედვით რეიტინგში 38-ე ადგილი დაიკავა. ფინანსურ ბაზარზე აღნიშნული სერვისის წილი 0,1%-ია. Hitwase-ის მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა 988 ფინანსური ინფორმაციის საძიებო სერვისმა მიიღო. პირველ საპატიო სამეულში მოხვდნენ ისეთი სერვისები, როგორიც გახლავთ yahoo Finance (34,90%), Microsoft MSN Money Central (13,67%) და CNN Money (4,50%). კომპანია Google-მა ფინანსური ინფორმაციის საძიებო სერვისი 2006 წლის მარტში გახსნა. Hitwise-ის ვიცეპრეზიდენტის ბილი ტანსერას აზრით, Google-ის ფიფნანსური სერვისის ნაკლებად პოპულარობა იმით აიხსნება, რომ Google Finance, თავად კომპანია Google-ის დანარჩენ სერვისებს მოწყვეტილია. შეგახსენებთ, რომ თვითონ კომპანია Google მსოფლიოში საძიებო სერვისებს შორის ყველაზე პოპულარულია და რეიტინგში პირველ ადგილზეა. ამ კომპანიის წილი მსოფლიო ინტერნეტ-საძიებო ბაზარზე 60%-ს შეადგენს.

# ურანი - ენერგიის ეფექტური წყარო

მერაბ ლორთქიფანიძე

*რაც დრო გადის, სულ უფრო მცირდება ნავთობის მარაგი და კაცობრიობა სულ უფრო ინტენსიურად ეძებს მის შემცვლელ ენერგომატარებლებს. უკვე დიდი ხანია, ერთ-ერთ ასეთ შემცვლელად ბირთვული ენერგია მოიაზრება. მეცნიერები მალე შეუდგებიან ყველაზე პერსპექტიული, თერმობირთვული საცდელი რეაქტორის მშენებლობას, მანამ კი, სანამ ეს საერთაშორისო ექსპერიმენტი დასრულდებოდეს, სულ უფრო ვითარდება ატომური ენერგეტიკა, რომლის წყაროსაც ურანი წარმოადგენს.*

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსა (აესს) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ ერთობლივ მოხსენებაში "ურანი 2005: რესურსები, წარმოება და მოთხოვნილება" ნათქვამია, რომ ერთი კილოგრამი ურანის მოპოვება დაახლოებით 130 დოლარი ჯდება, ხოლო მისი დაზვერილი მარაგი დაახლოებით 4.7 მილიონ ტონას შეადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ურანის მოხმარების ახლანდელი ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში, მისი დაზვერილი მარაგი 85 წლის შემდეგ ამოიწურება. სულ კი პლანეტაზე ურანის სავარაუდო მარაგი დაახლოებით 35 მილიონი ტონა უნდა იყოს.

მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ თუ გამოყენებულ იქნება თანამედროვე ატომური ტექნოლოგიები, კერძოდ, ეგრეთ წოდებული "სწრაფი რეაქტორები", რომლებიც მარგი ქმედების მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევა, მაშინ ურანის არსებული მარაგი მსოფლიოს დაახლოებით 2.5 ათასი წელი ეყოფა.

სტატისტიკური მონაცემებისა და ტენდენციების გათვალისწინებით დადგინდა, რომ 2025 წლისთვის ატომურ ელექტროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა დაახლობით 22-44 პროცენტით გაიზრდება. რა თქმა უნდა, ამას შესაბამისი პროპორციით ურანზე მოთხოვნის ზრდა მოჰყვება.

2002-დან 2004 წლამდე ურანის მოპოვებაზე (მთელ მსოფლიოში) გაწეული დანახარჯები 130 მილიარდი დოლარით, ანუ 40 პროცენტით გაიზარდა.

აესს-ის ცნობით, 2004 წელს მსოფლიოს 30 ქვეყანაში 442 ატომური ელექტროსადგური მუშაობდა, რომლებზეც მსოფლიოში გამომუშავებული ელექტროენერგიის დაახლოებით 20 პროცენტი მოდიოდა. ყველაზე უკეთ ატომური ენერგეტიკა განვითარებულია აშშ-ში (104 სადგური), საფრანგეთში (59), იაპონიაში (54), რუსეთში (30) და ბრიტანეთში (27). ხუთ ქვეყანაში კი მთლიანად გამომუშავებული ელექტროენერგიის ნახევარი ან მეტი ატომურ ენერგიაზე მოდის. ეს ქვეყნებია: ლიტვა (80%), საფრანგეთი (76%), სლოვაკეთი (57%), ბელგია (55%) და შვედეთი (50%). ახლა მშენებლობის პროცესშია 27 ატომური ელექტროსადგური, რომელთაგან 18 - აზიის ქვეყნებში მდებარეობს.

აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, ურანის შემცველი მადნები მსოფლიოს 43 ქვეყანაში მდებარეობს. ყველაზე მეტი მარაგი გააჩნია ავსტრალიას (მსოფლიოს დაზვერილი მარაგის დაახლოებით 27%), თუმცა ამ ქვეყანას არ აქვს განვითარებული ატომური ენერგეტიკა. შემდეგ მოდიან: ყაზახეთი (17%), კანადა (15%), სამხრეთ აფრიკა (11%), ნამიბია (8%), ბრაზილია (7%), რუსეთი (5%), აშშ და უზბეკეთი (4-4%).

მსოფლიოს ბირთვული ასოციაციის ინფორმაციით, 2004 წელს ყველაზე მეტი ურანი აწარმოეს კანადამ (მსოფლიო წარმოების დაახლოებით 29%), ავსტრალიამ (21%), ყაზახეთმა, ნიგერმა, ნამიბიამ, უზბეკეთმა, რუსეთმა, უკრაინამ, აშშ-მ და და სამხრეთ აფრიკამ.

ურანი პირველმა გერმანელმა ქიმიკოსმა მარტინ კლაპროთმა აღმოაჩინა (1789 წელს, 1896 წელს კი ფრანგმა ქიმიკოსმა ანტუან ბეკერელმა პირველმა აღმოაჩინა მისი რადიაქტიურობა. ურანი არის რადიაქტიური, მოვერცხლისფრო-თეთრი ლითონი, რომელიც ბუნებაში თავისუფალი სახით არ მოიპოვება. მისი სიმკვრივეა 19070 კგ/მ3.

ურანის წარმოების ძირითადი ეტაპებია: მადნის მოპოვება მიწისქვეშა ან ღია საბადოზე, მადნის გამდიდრება და გამდიდრებული მადნიდან ურანის გამოყოფა. ურანის გადამუშავება მეტად რთული ტექნოლოგიური პროცესია, რომელიც რამდენიმე საფეხურს მოიცავს.

ურანს სამი ძირითადი იზოტოპი (233U, 235U, 238U) გააჩნია. მათგან პირველი ორის ბირთვი იშლება როგორც სპონტანურად, ასევე ნელი და სწრაფი ნეიტრონებით დაბომბვისას. მესამეს დაშლას კი მხოლოდ სწრაფი ნეიტრონები იწვევს. ამასთან, მისი ნელი ნეიტრონებით დასხივების შედეგად წარმოიქმნება მეორეული ბირთვული საწვავი პლტონიუმის 239Pu იზოტოპი, რომელიც თვისებებით ახლოსაა 235U-თან.







ურანი ჩვენი პლანეტის ქერქის დაახლოებით 0,003 პროცენტს შეადგენს. სამაგიეროდ, ურანზე მომუშავე ბირთვული ელექტროსადგურები მსოფლიოს ელექტროენერგიის დაახლოებით 20 პროცენტს გამოიმუშავებს.

ნავთობპროდუქტების გაძვირების ფონზე, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ბირთვულ ენერგიაზე და, აქედან გამომდინარე, ურანზე მოთხოვნლება გაიზრდება. თუმცა, დაახლოებით მსგავსი სიტუაცია შეიქმნა ირანის პირველი კრიზისის შემდეგ, როცა ნავთობი უსაზღვროდ ძვირდებოდა. მაშინაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ კაცობრიობის მოთხოვნილებას ბირთვული ენერგეტიკა თუ დააკმაყოფილებდა. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო ურანზე მოთხოვნილების გაზრდა. თუმცა, მაშინ ეს არ მოხდა, რადგან ნავთობის ფასი დარეგულირდა. მერე კი ჩერნობილის კატასტროფაც მოხდა...

შედეგად, შეჩერდა რიგი ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა. ბევრი მოქმედი სადგური კი დროთა განმავლობაში დაიხურა. შესაბამისად, შემცირდა მოთხოვნილება ურანზე.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, ურანის მოპოვებისა და წარმოების მოცულობაზე პირდაპირი გავლენა იქონია ურანის სამხედრო მარაგის გამოთავისუფლებამ - 1992 წელს რუსეთმა თანხმობა განაცხადა თავისი ბირთვული იარაღის დემონტაჟსა და სამხედრო დანიშნულების ურანის საწვავად გადამუშავებაზე. პარალელურად, აშშ-მ თავის თავზე აიღო გამოთავისუფლებული ურანის საბაზრო ფასებში შესყიდვის ვალდებულება. შედეგად, 2000 წელსაც კი სამხედრო დანიშნულებიდან გამოთავისუფლებულმა ურანმა მსოფლიო ბაზრის დაახლოებით 20 პროცენტი დაიკავა.

უნდა ითქვას, რომ ურანით მომარაგების საქმეში რუსეთი დღესაც აშშ-ს უმსხვილესი პარტნიორია - ყოველწლიურად ამერიკული ბირთვული ელექტროსადგურები თითქმის 12 მილიონ კილოგრამ რუსულ ურანს მოიხმარენ, რაც ამერიკის ენერგეტიკის მოხმარების თითქმის ნახევარს შეადგენს.

დღეისათვის მსოფლიოში ურანს ყველაზე დიდი რაოდენობით მოიპოვებს და გადაამუშავებს კანადა. ამ ქვეყნის ურანის ყველაზე დიდი საბადოები მდინარე ატაბასკას აუზში, პროვინცია სასკაჩევანის ჩრდილოეთში მდებარეობს. აქ ყოველწლიურად 11600 ტონა ურანს მოიპოვებენ და გადაამუშავებენ.

ურანის გადამამუშავებელი კომპანიებიდან კი ლიდერია კანადური კომპანია "კამეკო" (Cameco), რომელსაც ყოველწლიურად 8 ათასი ტონა ურანის გადამუშავება შეუძლია. მსოფლიოს ბირთვული ასოციაციის რეიტინგით, მეორე ადგილზეა ფრანგული "კოგემა" (Cogema, 5300 ტონა), რომელიც ნედლეულის უმეტეს წილს სწორედ სასკაჩევანიდან ღებულობს.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ აფრიკასა და ნამიბიაში ურანი ოქროს საბადოებზე, ოქროს თანმდევ მეორად პროდუქტად მოიპოვება. ამასთან, ნამიბიაში მდებარეობს ურანის ყველაზე დიდი ღია საბადო. ნამიბია ცალკე აღნიშვნას იმსახურებს. ამ ქვეყანაში ახლა ურანის მოპოვების ნამდვილი ბუმია. ბუნებრივია, ეს გარემოება მსოფლიოს წამყვან კომპანიებსაც იზიდავს, რომელთა წყალობითაც, მალე სამხრეთ აფრიკის ეს ქვეყანა მსოფლიოში ურანის მესამე უდიდესი მომპოვებელი გახდება კანადისა და ავსტრალიის შემდეგ.

# მთელი მსოფლიოს ოქრო

გოჩა ქიმუცაძე



*ოქრო კაცობრიობის ძველი თანამგზავრია, გრძნობების კონცენტრატი და სიცოცხლეთა ფასი, პირადი და სახელმწიფო კაპიტალის საფუძველი, სიმდიდრისა და ძალაუფლების სიმბოლო და გარანტია. ოქრო არასოდეს არის ზედმეტი. ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობის არც ერთ თანამედროვე ფორმას, ახალ საანგარიშო სისტემებს არ შეუძლია ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ოქროს მნიშვნელობის შემცირება.*
*მსოფლიოს ოქროს ბაზარი მეტად კომპლექსური ცნებაა, რომელიც მოიცავს საბადოების დაზვერვა-მოპოვებას, გადამუშავებას და ჩამოსხმას, შემდგომი განაწილების სისტემებსა და სახელმწიფო რეზერვებს, წარმოებას, საიუველირო ვაჭრობას და ა.შ.*

### ოქროს ციებ-ცხელება

ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ დღეისათვის ოქრო ვალუტა აღარ არის. იგი სულ უფრო მეტად ხდება პოლიტიკური ინსტრუმენტი, რადგან "მუდმივი ლითონის" საბაზრო ფასი დამოკიდებულია მსხვილი ბანკების და წამყვანი, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მთავრობების კაბინეტებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე და ამ ქვეყნებისავე ვალუტის კურსზე.

1971 წელს ოქროს სტანდარტის გაუქმების შემდეგ, ოქროს ბაზარი მსოფლიო ეკონომიკის ცვალებადობაზეა დამოკიდებული. ოქროს ფასი, ბარომეტრის დარად, აღმავლობისა და ჩავარდნის პერიოდებზე მიუთითებს.

ამ დროისათვის მსოფლიოში არსებული ოქროს 40 პროცენტი საიუველირო ნაკეთობებითაა წარმოდგენილი, 30 პროცენტამდე სახელმწიფო რეზერვებშია თავმოყრილი, დაახლოებით 18 პროცენტი მონეტებისა და ზოდების სახითაა, 12 პროცენტი კი მრეწველობაში ტექნიკური და ტექნოლოგიური მიზნებისათვის გამოიყენება.

1970-იანი წლებიდან 1994 წლამდე ოქროს მოპოვების მოცულობა გამუდმებით იზრდებოდა, რაც 70-იანების ბოლოს მისი ფასის მატებით იყო განპირობებული. 1994 წლიდან ოქროს მოპოვების მოცულობა თანდათანობით წლიური 2400-2500 ტონის ფარგლებში სტაბილური გახდა. დღეისათვის ოქროს წარმოება სულ უფრო ფართოვდება ამ თვალსაზრისით არატრადიციულ ქვეყნებში, როგორებიცაა განა, ინდონეზია, კორეა, ინდოეთი, პერუ, ჩილე და ა.შ.

ოქროს ფასის ზრდას 80-იანი წლების შუიდან ბევრ ქვეყანაში გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების ფართოდ გაშლა მოჰყვა. ამ პერიოდში ახალი საბადოების აღმოჩენაზე დახარჯულმა თანხამ მთელი სამთო-მოპოვების 70 პროცენტს მიაღწია. ოქროს გამუდმებული გაძვირება მომგებიანს ხდიდა ადრე დაწუნებული, დაკონსერვებული, მიტოვებული საბადოების ამოქმედებას და ისეთი ნედლეულის გადამუშავებას, რომელიც მცირე რაოდენობით ოქროს შეიცავდა.

ყველაფერ ამას დამატებით, რა თქმა უნდა, ტექნოლოგიების განვითარებაც ხელს უწყობდა.

თავისთავად ცხადია, კომპანიები გულმოდგინედ ცდილობდნენ, ოქროს მოპოვების პროცესი თანდათანობით გაეიაფებინათ და, ამგვარად, მეტი შემოსავალი მიეღოთ, რასაც მათი შერწყმა, კაპიტალის გამსხვილება და განვითარებად ქვეყნებში მცირე ლირებულების საბადოების დაზვერვა და ადგილობრივი იაფი მუშახელით მათი ამუშავება მოჰყვა.

### ბაზარი და მომპოვებლები

ზემოთ აღნიშნულს, ოქროს მოპოვების სიმძლავრეების მთელს მსოფლიოში გადანაწილება, ტენდენციების შეცვლა და ამ თვალსაზრისით ტრადიციული ქვეყნების მიერ მოწინავე პოზიციების დათმობა მოჰყვა. მაგალითად, მართალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ოქროს მოპოვების მხრივ კვლავ ლიდერობს, მაგრამ თუ 1970 წელს მსოფლიოს ოქრო მოპოვებაში მისი წილი 67 პროცენტს აღწევდა, ამჟამად მხოლოდ 18-20 პროცენტია.

1990-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ყოველწლიურად 200 ტონა ოქროზე მეტს მხოლოდ სამი სახელმწიფო მოიპოვებს. ესენია: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ავსტრალია და აშშ. გასულ წელს მათ, შესაბამისად, 300, 254 და 244 ტონა ოქრო მოიპოვეს. 100 ტონაზე მეტი ოქრო შარშან ასევე სამმა სახელმწიფომ: კანადა (150), ჩინეთი (130) და რუსეთი (115) მოიპოვეს. მათ გარდა, პირველ ათეულში შედიან ინდონეზია, უზბეკეთი, პერუ და ბრაზილია.

შარშან, 2004 წელთან შედარებით, მსოფლიოში მოპოვებული ოქროს მოცულობა 1,2 პროცენტით გაიზარდა და 2450 ტონა შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა არა ზემოთ ჩამოთვლილი ლიდერი, არამედ არატრადიციული ქვეყნების მიერ მოპოვებული ოქროს ხარჯზე მოხდა.

დღეისათვის მსოფლიოს უმსხვილესი ოქროსმომპოვებელი კომპანიებია: ამერიკული Newmont Mining, კანადური Barrick Gold, ბრიტანული AngloGold Ashanti, სამხრეთ აფრიკული Gold Fields, კანადური Placer Dome, სამხრეთ აფრიკული Harmony Gold Mining, პერუს Cia. de Minas Buenaventura SA, კანადური Kinross Gold Corp, ავსტრალიური Rio Tinto Group და სამხრეთ აფრიკული Durban Roodepoort Deep. მსოფლიოში მოპოვებული ოქროს 75 პროცენტამდე სწორედ მათზე მოდის.

მსოფლიო ბაზარზე ოქროზე მოთხოვნილება მისი მოპოვების მოცულობას 2-3 პროცენტით აღემატება. მოთხოვნილების ზრდას ხელს უწყობს საიუველირო მრეწველობის და ტექნოლოგიური სექტორის განვითარება. უნდა ითქვას, რომ მაღალტექნოლოგიურ პროცესებში ოქროს სულ უფრო ხშირად გამოიყენებენ.

ოქროს მიმოქცევას, ძირითადად, ცენტრალური ბანკების პოლიტიკა განსაზღვრავს, რომლებიც ოქროს მარაგს ქმნიან, მას უცხოურ ვალუტაში ცვლიან, ან კიდევ გარკვეული პროცენტის სანაცვლოდ კრედიტით გასცემენ. მართალია, მსოფლიოს ოქროს მოცულობაში ბანკების წილი ბოლო დროს საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ მათი გავლენა მაინც ძალიან სოლიდურია.

1971 წელს ოქროს სტანდარტის გაუქმებამ თავისუფალი ბაზრის განვითარება განაპირობა. ხოლო 1995 წელს კერძო მფლობელობაში არსებული ოქროს ლეგალიზაციამ ოქროს მსოფლიო ბაზარზე კერძო ინვესტორთა როლი ძალიან გაზარდა.

ოქროს უმსხვილესი სავაჭრო ობიექტი ლონდონის ოქროს ბირჟაა, სადაც ყოველდღიურად თითქმის 1000 ტონაზე მეტი ოქრო იყიდება. ეს კი მსოფლიო ბაზრის მესამედზე მეტი გახლავთ. მეორე მსხვილი სავაჭრო ობიექტი ნიუ-იორკის ბირჟაა. სწორედ ამ ბირჟებზე დგინდება ყოველდღიურად ოქროს ფასი. როგორც წესი, იგი ძალიან მერყევია და უამრავ ფაქტორზე - მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ვალუტების კურსზე, მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპზე, ნავთობის ფასის ცვლილებაზე და ა.შ. არის დამოკიდებული.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა შორის თანდათან იკლო ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შიშმა და მათი განწყობა კორპორაციულმა სიახლეებმა გამოაკეთა. კერძოდ, მნიშვნელოვანი გახლდათ Nokia-ს და Siemens-ს შორის განხორციელებული გარიგება და ავტოკონცერნ Ford-ის მიერ შტატების შემცირების თაობაზე თანამშრომლებთან მიღწეული შეთანხმების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. ამასთან, გარკვეული გავლენა ნავთობის გაიაფებამაც მოახდინა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,31 პროცენტით, 10.048,72 პუნქტამდე გაიზარდა. 0,36 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.137.69 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,28 პროცენტით, 1.255,08 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობი ოდნავ გაიაფდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მცირე კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 68,11 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 69,11 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ამის მიზეზი აშშ-ს ნავთობის მარაგის ზრდის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია და მექსიკის ყურეში მოსალოდნელ შტორმებთან დაკავშირებით სინოპტიკოსთა დამაიმედებელი პროგნოზი გახდა.

## Mittal Steel-მა Arcelor-ის აქციონერები ვერ მოხიბლა

ერთი თვის განმავლობაში მსოფლიოს უმსხვილესმა მეტალურგიულმა კონცერნმა Mittal Steel-მა Arcelor-ის აქციების მხოლოდ 0,03 პროცენტის შეძენა მოახერხა. თუმცა, ექსპერტების ვარაუდით, ინდური კომპანია სწორედ ამ დღეებში კიდევ უფრო გააქტიურდება და, შესაძლოა, სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალოს. შეგახსენებთ, რომ Arcelor-ის დირექტორთა საბჭომ რუსულ "სევერსტალთან" შერწყმის გადაწყვეტილება მიიღო და 21 ივნისს დანიშნულ აქციონერთა კრებაზე წინააღმდეგობის შემთხვევაში 6,5 მილიარდი ევროს ღირებულების საკუთარი აქციების გამოსყიდვა გადაწყვიტა. ამ შემთხვევაში, ახალ, გაერთიანებულ კომპანიაში Arcelor-ის წილი გაიზრდება. თუმცა, ბევრ აქციონერს აქციების გამოსყიდვის თაობაზე დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება არ მოსწონს. მათ შორისაა ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერი, იტალიური ჰოლდინგი Carlo Tassara International, რომლის ხელმძღვანელობა მხარს Mittal Stell-თან შერწყმას უჭერს.

## Nokia და Siemens-ი გაერთიანდნენ

ფინური კორპორაცია Nokia-ს და გერმანული კონცერნის Siemens-ის დირექტორთა საბჭოების წარმომადგენლები სატელეკომუნიკაციო ხელსაწყოების მწარმოებელი საერთო კომპანიის შექმნასა და მათი საპროფილო აქტივების გაერთიანებაზე შეთანხმდნენ. ამგვარად, გარიგების მონაწილეები გამოკვლევებსა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე მნიშვნელოვან, დაახლოებით, წლიურ 1,59 მილიარდი დოლარის ეკონომიას გეგმავენ. გარიგების საერთო ღირებულება 31,6 მილიარდი დოლარი გახლავთ. ორივე მხარე ახალი კომპანიის, რომელსაც Nokia Siemens Networks-ი დაერქმევა, აქციების 50-50 პროცენტს მიიღებს, თუმცა, დირექტორთა საბჭოში Nokia უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი. კონცერნის შტაბ-ბინა ფინეთში განთავსდება და მას Nokia-ს ვიცე-პრეზიდენტი საიმონ ბერესფორდ-ვილი უხელმძღვანელებს. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე რეორგანიზაციისას, Siemens-მა თავისი შვილობილი კომპანია Dematic Logistics-ი გაყიდა. მისი ახალი მფლობელი ევროპული საინვესტიციო კომპანია Troton-ი გახდა. გარიგების ღირებულება ჯერჯერობით არ ხმაურდება.

## ოპეკი ნავთობზე მოთხოვნილების გაზრდას ვარაუდობს

ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა კავშირის (ოპეკი) წარმომადგენლის განცხადებით, მაღალი ფასების მიუხედავად, 2006 წლის მეორე ნახევარში მსოფლიოში ნავთობზე მოთხოვნილება გაიზრდება. ამასთან, აღინიშნა, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთების გავლენა მოთხოვნილებაზე 2007 წლამდე არ აისახება.

ოპეკის წარმომადგენლის თქმით, "შავი ოქროს" უმსხვილეს ექსპორტიორ საუდის არაბეთში მარტის შემდეგ ნავთობის მოპოვება დღე-ღამეში 250 ათასი ბარელით, 9,1 მილიონ ბარელამდე შემცირდა. ოპეკის ვარაუდით, უახლოეს მომავალში ნავთობზე მოთხოვნილება დღე-ღამეში 1,4 მილიონი ბარელით, ანუ 1,6 პროცენტით, 84,6 მილიონ ბარელამდე გაიზრდება. კარტელის წარმომადგენლის აზრით, რომ არა მაღალი ფასები, მოთხოვნილება კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა.

## შაქარი სარეკორდოდ გაძვირდება

ანალიტიკოსთა აზრით, ნიუ-იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე მეოთხე კვარტლის შაქრის ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასები საგრძნობლად გაიზრდება და, თუ ისტორიულ არა, უკანასკნელი 20 წლის მაქსიმუმს მიაღწევს. მათი აზრით, ბოლო კვარტალში 1 ფუნტი (0,454 კგ) შაქრის ფასმა, შესაძლოა, 19 ცენტს მიაღწიოს. საერთოდ, შაქრის საშუალო ფასი წელს, შარშანდელთან შედარებით, 69 პროცენტით, 16,92 ცენტი/ფუნტამდე გაიზრდება.

შაქრის ამგვარი გაძვირების მიზეზი ნავთობის ფასების მატების გამო ალტერნატიული საწვავ ეთანოლზე, რომელიც შაქრისგან მზადდება, მოთხოვნილების ზრდაა. ოქტომბრიდან მოყოლებული, შაქარზე მოთხოვნილება 1,3 პროცენტით გაიზარდა და სარეკორდო ნიშნულს - 145,7 მილიონ ტონას მიაღწია.








# "ფიატს" "ფერარის" დაბრუნება სურს

პირველი გვერდიდან



ახლა კი, როცა კრიზისი დაძლეულია, "ფიატს" თავისი აქციების გამოსყიდვა სურს. უფრო სწორად, აქციების 29-პროცენტიანი პაკეტისა, რომელშიც იმავე თანხას იხდის, რამდენიც "მედიობანკას" აქციების 34-პროცენტიან პაკეტში გადაუხადა. უფრო მეტიც, "ფიატ-ის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ლუკა კორდერო დი მონტეძემოლო ამბობს, რომ მისი კომპანია ამ ოთხი წლის განმავლობაში დაგროვებულ პროცენტებსაც გადაიხდის.

სამაგიეროდ, "ფიატი" ველარ გამოისყიდის აქციების 5-პროცენტიან პაკეტს, რომელიც შარშან "მედიობანკამ" 114 მილიონ ევროდ მიჰყიდა არაბულ საინვესტიციო კომპანია "მუბადალა დეველოპმენტს", რომელიც არაბეთის გაერთიანებული საემიროების სახელმწიფო კუთვნილებაა.

"კომპანიამ დაძლია გაჭიანურებული კრიზისი და ახლა თავისი აქციების უკან დაბრუნება გვსურს. ეს ჩვენი მომავლისთვის საჭირო არჩევანია. "ფერარი" ჩვენი სიამაყე და განუყოფელი ნაწილია," - ამბობს დი მონტეძემოლო. ცნობისათვის, ამჟამად "ფიატი" "ფერარის" აქციების 56 პროცენტს აკონტროლებს.

სხვათა შორის, "ფიატი" ერთადერთი როდია, ვისაც "ფერარის" აქციების მსხვილი პაკეტის შეძენა სურს. მაგალითად, "მუბადალა დეველოპმენტს" მადა გაეხსნა და კიდევ 5 პროცენტის შეძენაზე გააკეთა ოფიციალური განაცხადი. არაბების გარდა, სუპერავტომობილების მწარმოებელ კომპანიაში წილის შეძენა სურს ფორმულა ერთის ფაქტობრივ გამგებელს, ბრიტანელ მილიარდერ ბერნი ეკლსტოუნსაც. უნდა ითქვას, რომ უკვე დიდი ხანია, რაც ბერნი "ფორმულა ერთის" ჩემპიონატების სადავო სიტუაციებში დაუფარავად უჭერს ხოლმე "სკუდერიას" მხარს.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ "მუბადალა დეველოპმენტი", რომლის პრეზიდენტია აბუ დაბის პრინცი მუჰამედ ბენ ზაიედ ალ-ნაჰიანი, აბუ დაბიში გართობის გიგანტურ პარკს აშენებს, რომელსაც სახელად, ალბათ, "ფერარი" დაერქმევა. ეს იქნება ულტრათანამედროვე ცენტრი, რომელმაც მილიონობით ტურისტი უნდა მიიზიდოს. ის 2008 წელს უნდა გაიხსნას და, რა თქმა უნდა, მისი სახელის გამოყენების სანაცვლოდ, "ფერარი" მოგების გარკვეულ წილს მიიღებს.

რაც შეეხება ეკსლტოუნს, მას უკვე რამდენჯერმე ჰქონდა მოლაპარაკება დი მონტეძემოლოსთან. ბერნი "ფერარის" აქციების 10 პროცენტის ყიდვაზე აკეთებს განაცხადს. მას ტურინელებისგან ჯერ ოფიციალური პასუხი არ მიუღია. როგორც ამბობენ, "ფიატი" უარის თქმას არ აპირებს. თუმცა, მოთხოვნილ აქციებს, ალბათ, თავისი წილიდან დათმობს.

უნდა ითქვას, რომ "ფიატი" დიდხანს ირწმუნებოდა, "მედიობანკასგან" აქციების დაბრუნებას არ ვაპირებთო. ამით ხაზი ესმებოდა იმას, რომ 2002 წელს ბანკის მიერ აქციების შეძენა ვალის აღებად არ გამოცხადებულიყო. თუმცა, ახლა "ფერარის" აქციებს ფასი დაედო, რამაც კვლავ გამოიწვია "ფიატის" დაინტერესება.

შარშან მარანელოში ბაზირებული კომპანიის აქციების ფასი 9.7 პროცენტით გაიზარდა. რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გაიზარდა სუფთა მოგება: თუ ორი წლის წინ პასივმა 26.6 მილიონი ევრო შეადგინა, შარშან კომპანიამ 86 მილიონი ევრო სუფთა მოგება მიიღო. როგორც ამბობენ, მეტწილად ეს იმ ფაქტმა განაპირობა, რომ "ფერარის" ჩამოაშორეს მანამდე წაგებაზე მომუშავე კიდევ ერთი სპორტული ავტომობილების მწარმოებელი კომპანია "მაზერატი", რომელიც "ფიატ ჰოლდინგს" შეუერთდა. სხვათა შორის, ამ გაყრის შემდეგ ორივე კომპანიის საქმეები უკეთ წავიდა. თანაც, მათ თანამშრომლობა არ შეუწყვეტიათ.

და ისევ ეკლსტოუნის შესახებ. ამ კაცმა "ფორმულა ერთის" კომერციულ უფლებათა მფლობელი თავისივე კომპანია "სლეკ"-ი შარშან გაყიდა, რის შემდეგაც არ მალავს, რომ სურს შეიძინოს ჩემპიონატის მონაწილე ისეთი გუნდი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია დიდი პრიზების ცირკში (ფორმულა ერთს ხშირად ასეც მოიხსენიებენ). 75 წლის ბრიტანელი მაგნატი მზადაა, თავისი სურვილის განსახორციელებლად 100 მილიონი ევრო გაიღოს.

ცნობისათვის, ბერნი ის კაცია, ვინც ერთ დროს ფორმულა ერთის გუნდს (ბრებჰემი) ფლობდა. შემდეგ კი, როგორღაც, "ფორმულა ერთის" კომერციული უფლება დაისაკუთრა და, რაც მთავარია, დიდი პრიზების სამყარო დიდი მოგების წყაროდ აქცია. ფორმულა 1 დღეს სწორედ მას უნდა უმადლოდეს, რომ სპორტის სახეობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია.

# ჩეხური "ენერგო პრო" "თითქმის" გამარჯვებულია

პირველი გვერდიდან

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია საქართველოს რეგიონების მთავარი ელექტროოპერატორია, რომლის საწესდებო კაპიტალი 59 032 782 ლარს შეადგენს და სახელმწიფო, ჯერ-ჯერობით, კომპანიის 100-პროცენტიანი მეწილეა. კომპანიას დღეს 600 მილიონ ლარამდე დავალიანება აქვს და გაკოტრების რეჟიმში იმყოფება.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" 2002 წელს რეგიონული ელექტროგანამაწილებელი კომპანიების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. კომპანიას დაახლოებით 650 000 მომხმარებელი ჰყავს. მისი მომსახურების არეალი საქართველოს ტერიტორიის 70 პროცენტს ფარავს.

2003 წლის გაზაფხულიდან "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" USAID-ის დაფინანსებით ამერიკული "PA consulting" მართავს, რომელსაც სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულება 2006 წლის ნოემბერში ეწურება.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, გასულ წელს კომპანიის გამრიცხველიანებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 12 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

როგორც გუშინ ენერგოკომპანიის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, მისი კომპანიის მუშაობისთვის ბოლო კვარტალი განსაკუთრებით წარმატებული იყო.

**"ენგურჰესის" გამორთვის მიუხედავად, ქვეყნის 24-საათიანი ენერგომომარაგება მაინც მოვახერხეთ. ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთობლივად წარმატებით დასრულდა ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტი. გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის პროგრამის ფარგლებში სისტემის რეაბილიტაციისთვის 25 მილიონი კრედიტი გამოიყოფა. აქედან, პირველი ტრანში 750 000 ევროს ოდენობით, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ სამ ქვესადგურს მოხმარდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლო კვარტალში ყველაზე მაღალი იყო გადასახადების ამოღების მაჩვენებელი. ამასთან, იგი ყველა ენერგოკომპანიის ამოღების მაჩვენებელს აღემატება,"** - ასე ახვედრებს დინ უაითი ინვესტორს ენერგოკომპანიას. მისივე თქმით, კომპანიის მმართველად კონტრაქტორი კომპანია PA consulting-ის შემოსვლის შემდეგ, გატარებული ცვლილებების მიზანი ენერგოკომპანიის სწორედ უცხოელ ინვესტორზე წარმატებით გასხვისება იყო. რაც შეეხება კომპანიის პრივატიზაციის პროცესს, უაითი შედეგებით კმაყოფილია.

სხვათა შორის, აპრილში კომპანიამ პრესტიჟული ევროპული ჯილდო მიიღო, რომელსაც ყოველწლიურად ბრიტანული "Management consulting Association" აწესებს, რაც მართვაში მოსული გუნდის უდავო აღიარებაა.

საინტერესო დეტალი: 2003 წლის ჩათვლით, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორის მრჩევლად მუშაობდა.

რაც შეეხება ამ ჩეხური კომპანიის რუსულ ფესვებს, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ამას გამორიცხავს. **"ჩეხური "ექსპორტბანკიდან" მივიღეთ წერილი, რომლის თანახმად, "ენერგო პრო" ჩეხური კაპიტალითაა შექმნილი, კარგი რეპუტაცია აქვს და ევროგაერთიანების კომპანიას წარმოადგენს. რაც შეეხება იმას, რომ "ენერგო პრო"-ს უკან რუსული კომპანია "რაო ეესი" მოიაზრება, ჩემთვის ამის შესახებ არაფერია ცნობილი,"** - განმარტა გილაურმა.

შეგახსენებთ, რომ 9 ენერგოობიექტის პრივატიზაციაზე განაცხადების მიღება 16 ივნისს დასრულდა. განაცხადები 8 კომპანიამ შეიტანა, მათ შორის ჩეხურმა Energo pro-მ, რომელმაც საკონკურსო კომისიას 5 ობიექტზე უმაღლესი ფასები შესთავაზა.

კერძოდ, Energo pro-მ საკონკურსო კომისიას საუკეთესო ფასი, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გარდა, "აჭარის ენერგოკომპანიაზე", "რიონჰესზე", "გუმათჰესების კასკადზე" და "ლაჯანურჰესზე" წარუდგინა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ Energo pro-ს წინადადებაში, საჭიროების შემთხვევაში, თანხის გაზრდის გარკვეული პირობებია ჩადებული.

რაც შეეხება სხვა კონკურსანტებს:

ქართული TBC+Energia (TBC ჯგუფის წევრი) მზად არის, კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში 5 მილიონ 100 ათასი დოლარი გაიღოს, რიონჰესში კი 20 მილიონ 100 ათას დოლარს იხდის. ამ უკანასკნელ ობიექტში გაცილებით ნაკლებს - 14 მილიონ 320 ათას დოლარს იხდის კომპანია Laxtron-ი, თუმცა დამატებით მზად არის, შეიძინოს აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანია - 8 მილიონ 530 ათას დოლარად, ლაჯანურჰესი - 26 მილიონ 250 ათას დოლარად, გუმათჰესი - 12 მილიონ 300 ათას დოლარად და აწჰესი - 4 მილიონ 150 ათას დოლარად.

UNITRADE SERVICES LLP აწჰესის სანაცვლოდ - 4,5 მილიონ დოლარს, შაორჰესის სანაცვლოდ კი - 16 მილიონ დოლარს ჩამოდის. ამავე კომპანიას განაცხადი აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის პრივატიზაციაზე აქვს შეტანილი, რომელშიც 9 მილიონ დოლარს იხდის.

საინტერესოა რუსული INTER-RAO-ს ინტერესის ობიექტები: აწჰესი, რომელშიც მზად არის 4,5 მილიონი დოლარი გაიღოს და ძევრულჰესი, რომელშიც 20 მილიონ დოლარს იხდის.

GEO STEAL-ი რიონჰესში 21 მილიონ 521 ათას დოლარს იხდის, აწჰესში კი - 5 მილიონ 115 ათას 100 დოლარს.

აჭარის სადისტრიბუციო კომპანიითაა დაინტერესებული FALKON CAPITAL - ობიექტში 12 მილიონ დოლარს იხდის.

SB Energy კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში - 2 მილიონ 100 ათას დოლარს, კიდევ ერთ უმსხვილეს, აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში კი - 8 მილიონ 400 ათას დოლარს იხდის.

## "საბაჟო გადასახადის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებზე ვერ თანხმდებიან

"საბაჟო გადასახადის შესახებ" კანონში შესატანმა ცვლილებებმა საპარლამენტო უმრავლესობაში შეუთანხმებლობა გამოიწვია. "საბაჟო გადასახადის შესახებ" კანონში შესატანმა ცვლილებებმა საპარლამენტო უმრავლესობაში შეუთანხმებლობა გამოიწვია. აღნიშნული განცხადება დღეს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გააკეთა. "საბაჟო გადასახადების შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი საქართველოში იმპორტირებულ ზოგიერთ საქონელზე, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, საბაჟო ტარიფის განულებას ითვალისწინებს. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, მთავრობამ რამდენჯერმე შეცვალა აღნიშნული პროექტი და პარლამენტს აინტერესებს, რა არგუმენტით მოხდა პარლამენტში შემოტანილი კანონპროექტის სახის შეცვლა. საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილი აცხადებს, რომ აღნიშნულ კანონპროექტს მხარს ვერ დაუჭერს. ამიტომ, მაია ნადირაძის თქმით, მისთვის უცნობია, რა პოზიციას დაიკავებს კანონპროექტის კენჭისყრისას საქართველოს პარლამენტის უმრავლესობა. როგორც ოპოზიცია აცხადებს, უმრავლესობას კანონპროექტის კენჭისყრაზე გატანის ეშინია, რადგან საპარლამენტო ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმში მუშაობს და სხდომებს მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენლები ესწრებიან. პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, მთავრობის მიერ პარლამენტისთვის შეთავაზებული კანონპროექტი დღის წესრიგიდან გაურკვეველი ვადით იქნა ამოღებული. **ინტერპრესნიუსი**

## ამერიკულ თეთრ პეპელას გერმანული პესტიციდებით შეებრძოლებიან

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის ეროვნული სამსახური, ივნისის ბოლოს, გურიაში გაჩენილი ამერიკული თეთრი პეპლის კერებთან ბრძოლას დაიწყებს. სამსახურის უფროსის მოადგილის ზურაბ ლიპარტიას განცხადებით, დასავლეთ საქართველოში გაჩენილ ამერიკულ თეთრ პეპელას გერმანული ფირმის პესტიციდებით ვებრძვით. მისი თქმით, საქართველოს ყოველწლიურად შესაბამისი ღონისძიებების ჩასატარებლად 5 ტონა აგრო-ქიმიკატი პესტიციდი სჭირდება. ლიპარტიას ინფორმაციით, პესტიციდების საჭიროების შემთხვევაში სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა გარკვეული თანხა. სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის ეროვნული სამსახური კი ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიების დროს პესტიციდებით შეწამლული ხილისა და ბოსტნეულის გამოყენებას მოსახლეობას ორი კვირის შემდეგ ურჩევს. ზურაბ ლიპარტიას განცხადებით, სასურველია, მოსახლეობამ საკვები პროდუქცია შეწამვლიდან ორი კვირის შემდეგ გამოიყენოს. მისი თქმით, ხილისა და ბოსტნეულის კარგად გარეცხვით მოსახლეობა თავიდან აიცილებს გარკვეულ დაავადებებს. ამერიკული თეთრი პეპლის მეორე სახეობა ივლის-აგვისტოში გამოჩნდება. სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის ეროვნული სამსახური ივლისსა და აგვისტოში ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ მეორე შეწამვლითი ღონისძიებებს განახორციელებენ. ვეტერინარიის ეროვნული სამსახურის განმარტებით, პესტიციდებით შეწამლული პეპლის კვერცხი არ კვდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აღმოსავლეთ საქართველოს კალიების შემოსევა წელსაც ემუქრება

სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის ეროვნული სამსახური აღმოსავლეთ საქართველოში კალიებისა და სიმინდის ჭიების გაჩენას არ გამორიცხავს. ვეტერინარიის ეროვნული სამსახურის უფროსის მოადგილის ზურაბ ლიპარტიას განცხადებით, გამორიცხული არ არის, რომ აღმოსავლეთში კალიები და სიმინდის ჭიები გაჩნდეს. სამსახურის განმარტებით, კალიები და სიმინდის ჭიები ზიანს აყენებენ სასოფლო-სამეურნეო ნარგავებს. მათივე ინფორმაციით, აუცილებელია კალიებისა და ჭიების წინააღმდეგ სერიოზულილ ღონისძიებების გატარება. ლიპარტიას თქმით, ღონისძიებები ამერიკული პეპლის წინააღმდეგ ბრძოლის მსგავსად, გერმანული პესტიციდებით შეწამვლას ითვალისწინებს. "სამსახურს გათვალისწინებული აქვს ღონისძიებისათვის საჭირო თანხა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი თანხა სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა." **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს. ბიძინა ჭყონია სესბ-ის აღმასრულებელი საბჭოს ათმა წევრმა გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ერთხმად დაამტკიცა. "ახალ თანამდებობაზე ჩემი მთავარი მიზანია ენერგობაზრის ელექტროსისტემის ფინანსურ ოპერატორად ჩანაცვლების პროცედურების შემუშავება და მათი წარმატებული განხორციელება," - განაცხადა ჭყონიამ. მისივე თქმით, აღნიშნულის განხორციელება ენერგოსექტორში დაგროვილი კრედიტორ-დებიტორული დავალიანებების პრობლემას გადაჭრის, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს. ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე ბიძინა ჭყონია 2006 წლის თებერვლიდან სს "თბილგაზის" გენერალურ დირექტორად მუშაობდა. მის მიერ მომზადდა "თბილგაზი" საპრივატიზაციოდ. 2004-2006 წლებში ბიძინა ჭყონია მუშაობდა "ფონდ-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოში" საქართველოსა და აშშ-ს მთავრობებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ენერგეტიკული კომპონენტის პროექტის დირექტორის თანამდებობაზე.

ასევე მუშაობდა "PA კონსალტინგში", მონაწილეობდა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ჩარჩო კანონმდებლობის შემუშავებაშიც.

ბიძინა ჭყონიამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტი-ბაკალავრი, ის გახლავთ აშშ-ს ფლორიდის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხის მფლობელი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 20/06 | 21/06 | 22/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 25 | 23 | 27 |
| რიგა | 32 | 31 | 23 |
| ვილნიუსი | 30 | 30 | 23 |
| მოსკოვი | 31 | 31 | 33 |
| მინსკი | 30 | 30 | 32 |
| პარიზი | 26 | 21 | 22 |
| რომი | 34 | 34 | 36 |
| ლონდონი | 20 | 22 | 20 |
| მადრიდი | 30 | 30 | 32 |
| ბონი | 26 | 22 | 22 |
| ვარშავა | 32 | 31 | 30 |
| ათენა | 33 | 32 | 32 |
| ბერნი | 26 | 30 | 23 |
| ამსტერდამი | 22 | 18 | 16 |
| ოსლო | 20 | 18 | 15 |
| ანკარა | 32 | 32 | 33 |
| ვარნა | 30 | 30 | 34 |
| დელი | 48 | 50 | 52 |
| ტოკიო | 30 | 29 | 30 |
| კოპენჰაგენი | 23 | 21 | 13 |
| ბაქო | 32 | 32 | 32 |
| ერევანი | 35 | 38 | 38 |
| ასტანა | 26 | 25 | 26 |
| ჰელსინკი | 26 | 28 | 24 |
| დუბლინი | 16 | 12 | 11 |
| ლისაბონი | 26 | 24 | 26 |
| პრაღა | 28 | 26 | 25 |
| სოფია | 28 | 28 | 30 |
| ბუდაპეშტი | 38 | 39 | 36 |
| ბუხარესტი | 40 | 39 | 40 |

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ვინც მიქარა, ახლა ნანობს




C2

პეტრ ჩეხი: "ბოლომდე ვიბრძოლებთ"



C3

შარვალჩახდილი ჰოლანდიელები ლუდის სამსახურში



C4

## ვან ბასტენი ლიდერებს დაასვენებს

ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მარკო ვან ბასტენი არ აპირებს ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობის მინდორზე გაყვანას.

„გარისკვას არ ვაპირებთ. უკვე მერვედფინალზე ვფიქრობთ. ამიტომ უაზრობა იქნება, თუ არგენტინელებთან ძირითადი შემადგენლობით ვითამაშებთ. ჯერ ერთი, ფეხბურთელებს დასვენება სჭირდებათ. შესაძლოა, ვინმემ ყვითელი ბარათი მიღოს და მერვედფინალში ვერ დაგვეხმაროს. თან, სათადარიგოებსაც ხომ უნდა მივცეთ თავის გამოჩენის შანსი“, - აცხადებს მარკო ვან ბასტენი.

გამორიცხული არაა, რომ იგივე გააკეთოს პეკერმანმაც. მერვედფინალში თამაში ხომ არგენტინელებსაც აქვთ დაზღვეულდ.

## იაკინტა დაშავდა

ჩეხეთ-იტალიის მატჩში ბევრი რამ გადაწყდება. კარელ ბრუკნერს ამ შეხვედრაში სამი წამყვანი ფორვარდი ვერ დაეხმარება. რაც შეეხება იტალიის ნაკრებს, შესაძლოა, თავდასხმის პრობლემა „სკუადრა აძურასაც“ შეექმნას. ორშაბათს ვარჯიშზე დაშავდა ვინჩენცო იაკინტა. ექიმების თქმით, ის ალბათ ვერ შეძლებს ჩეხების წინააღმდეგ თამაშს.

## კიუელს დისკვალიფიკაცია ემუქრება

ავსტრალიის ნაკრების ლიდერმა ჰარი კიუელმა შესაძლოა ვერ ითამაშოს ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი, რომელსაც მწვანე კონტინენტის წარმომადგენლები ხორვატიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ.

სააგენტო როიტერის ინფორმაციით, ბრაზილია - ავტრალიის მატჩისას ავსტრალიელმა ფეხბურთელმა რამდენჯერმე სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენა გერმანელ არბიტრს მარკუს მერკს, რის გამოც შესაძლოა ფიფამ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მისცეს.

## ივანკოვიჩი ირანის ნაკრებს დატოვებს

ორშაბათს ირანის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბრანკო ივანკოვიჩმა განაცხადა, რომ მუნდიალის დასრულებისთანავე დატოვებს ირანის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს.

აღსანიშნავია, რომ ირანის ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული კონტრაქტის თანახმად, ივანკოვიჩი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებდა თანამდებობას, თუ გუნდს მერვედფინალში გაიყვანდა.

## ბექჰემი დაცვაში

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა განაცხადა, რომ ინგლისისა და შვედეთის ნაკრები გუნდების შეხვედრაში შესაძლოა ერთ საინტერესო ექსპერიმენტს მიმართოს. კერძოდ, ერიქსონი დაცვის მარჯვენა ფლანგზე დევიდ ბექჰემის დაყენებას აპირებს. ნახევარდაცვაში კი აარონ ლენონი ითამაშებს. ამავდროულად ერიქსონი აცხადებს, რომ ძალიან უნდა თანამემამულეების დამარცხება.

## შირაკმა დომენეკი გაამხნევა

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა კვირას დაურეკა რეიმონ დომენეკს და მას სრული მხარდაჭერა აღუქვა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ნაკრებმა კორეელთა დამარცხება ვერ შეძლო. პრეზიდენტის ზარს ფრანგები აშკარად არ იზიარებენ. საფრანგეთში თითქმის ყველას მიაჩნია, რომ ნაკრების ასეთი უსუსური თამაში სწორედ რეიმონ დომენეკის ბრალია. ამ მწვრთნელმა მუნდიალს მიღმა დატოვა ლუდოვიკ ჟიული, დავიდ ტრეზეგეს კი სათადარიგოთა სკამზე ინახავს.

## მოხერხებული ქურდი

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ტურნირის ორგანიზატორები დაბეჯითებით ამბობდნენ, სახელობითი ბილეთის გარეშე სტადიონზე ვერავინ შევაო. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ სახელობითი ბილეთები გაიყიდა და სტადიონზე შესვლის წინ ყველამ ბილეთთან ერთად პირადობის მოწმობაც უნდა წარადგინოს. ეს საჭირო გახდა იმისთვის, რომ არ მომხდარიყო ბილეთებით სპეკულირება. თუმცა, როგორც ჩანს, საქმეს ვერ სახელობითი ბილეთები შველის. ბრაზილია - ავსტრალიის მატჩზე კურიოზი მოხდა. სტადიონის წინ ერთმა ახალგაზრდამ ქალს ჩანთა მოჰპარა. ჩანთაში ამ ქალის კუთვნილი სახელობითი ბილეთიც იყო. მოხერხებულმა ქურდმა ისიც კი შეძლო, რომ სტადიონზე ამ ქალბატონის ბილეთით შევიდა. ცხადია, აშკარაა პოლიციელთა შეცდომა, რომლებმაც ისიც კი ვერ გაიგეს, რომ მათ წინაშე მამაკაცი იყო და არა ქალი. ამას ალბათ ვერავინ გაიგებდა, მაგრამ ქალბატონი სტადიონზე მარტო არ აპირებდა წასვლას - ტრიბუნაზე მის გვერდით მეუღლე უნდა მჯდარიყო. როდესაც მოხერხებული ქურდი ტრიბუნაზე აღმოჩნდა, ცხადია, დაზარალებული ქალბატონის მეუღლე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. სწორედ მისი დახმარებით დააკავეს ქურდი.

## ანრი მსაჯობაზე წუწუნებს

საფრანგეთის ნაკრების ლიდერი ტიერი ანრი მსაჯობაზე ალაპარაკდა. მართალია, ფეხბურთელის თქმით, მათი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი არაობიექტური მასჯობა არ არის, მაგრამ ცხადია, რომ მსაჯები ხშირად ცდებიან საფრანგეთის მეტოქეების სასარგებლოდ.

„შვეიცარიასთან მატჩში მსაჯმა ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა, კორეელებთან კი გოლი არ ჩაგვითვალეს. არ მინდა იმის თქმა, რომ ეს სპეციალურად ხდება, მაგრამ დაფიქრება მაინც ღირს“, - აცხადებს ანრი.

# ესპანეთი პირველია!



*რაულმა ანგარიში გაათანაბრა.*

ესპანეთის ნაკრებმა თავისი მისია შეასრულა. გუნდმა ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა და ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვა. თან ლუის არაგონესის გუნდმა კარგი შანსი მისცა უკრაინის ნაკრებს, რომელსაც მესამე ტურის გადამწყვეტ შეხვედრაში სწორედ ტუნისთან მოუწევს მეორე საგზურის ბედის გადაწყვეტა. ოლეგ ბლოხინის გუნდს ამ შეხვედრაში ფრეც აძლევს ხელს.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს ის უაღრესად მოულოდნელად დაიწყო და უკვე თამაშის მე-8 წუთზე მნარმა გაიტანა გოლი. ამ შემთხვევაში აშკარად შესცდა ესპანელთა დაცვა, რომელმაც აბსოლუტურად უყურადღებოდ დატოვა მეკარე კასილასის წინაშე მნარი და მას ორი დარტყმის საშუალება მისცა.

ამის შემდეგ პირინეელებს ცოტა არ იყოს დაბნეულობა შეეტყოთ და ვერაფრით ახერხებდნენ გადამწყვეტი დარტყმის ზუსტად შესრულებას. ტუნისმა მეორე ტაიმშიც კარგა დიდხანს აწვალა მეტოქე, ვიდრე თამაშის 71-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა რაულმა არ გაათანაბრა ანგარიში.

როჟე ლემერმა გადაწყვიტა მოეგო ეს თამაში, რადგან ტუნისელთათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ფრედ დაასრულებდა თამაშს, თუ წააგებდა. ორივე ამ შემთხვევაში მას უკრაინის დამარცხება მართებდა. ხოლო, თუ მოიგებდა უკრაინასთან შეხვედრაში ფრე ტუნისის მხარეზე იქნებოდა, ამიტომ აფრიკელებმა შეუტიეს და დაისაჯნენ კიდეც. ფერნანდო ტორესმა ჯერ თამაშიდან, შემდეგ კი თერთმეტმეტრიანი დარტყმით ორი გოლი გაიტანა და ესპანეთის ნაკრებს ჯგუფში პირველობა დაუჯავშნა.

**ესპანეთი - ტუნისი 3:1**

**ესპანეთი:** კასილასი, პერნია, პუიოლი, ხავი, ტორესი, გარსია (რაული, 46`), ხაბი ალონსო, რამოსი, მარკოს სენა (ფაბრეგასი, 46`), ვილია (ხოაკინი, 57`), პაბლო.

**მწვრთნელი:** ლუის არაგონესი

**ტუნისი:** ბუმნიჯელი, ჰაგუი, ჯაზირი, ტრაბელსი, ნაფტი, მნარი, ბოაზიზი (გოდბანე, 57`), ჩედლი (გუმამდია, 80`), ჯაიდი, აიარი (იაჰია, 57`), ნამუჩი.

**მწვრთნელი:** როჟე ლემერი

**გოლები:** 0:1 - მნარი (8`), 1:1 - რაული (71`), 2:1 - ფ. ტორესი (76`), 3:1 - ფ. ტორესი (90`).

**გაფრთხილება:** პუიოლი, აიარი, ტრაბელსი, ჯაიდი, გუმამდია, ჯაზირი, ფაბრეგასი.

**მსაჯი:** კარლოს სიმონი (ბრაზილია).

**24 კარში დარტყმა** 4

**10 კარისკენ დარტყმა 3**

**9 ჯარიმა 24**

**12 კუთხური 1**

**1 თამაშგარე 6**

**66 ბურთის ფლობა 34**

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ხაბი ალონსო (ესპანეთი)



დავით კოვზირიძის სვეტი

# ვინც მიქარა, ახლა ნანობს

როდესაც კაცს ფეხბურთი უსაზღვროდ გიყვარს და მასზე საჯაროდ აზრის გამოთქმა ხშირად გიწევს, მსოფლიო ჩემპიონატისას ცოტა იბნევისავით - ყოველი მხრიდან გესმის კამათი, პროგნოზი, სხვადასხვა ხარისხის ანალიზი და ძალაუნებურად მთელი ეს ინფორმაცია ტვინს გირევს, შენს აზრებს დეფორმაციას უკეთებს. აი, უყურებ რომელიმე თამაშს და შენთვის იტყვი, რომ ეს ასეა და ეს - ისე. მერე მეგობარი დაგირეკავს, ტოტალიზატორთან ნაცნობი შეგხვდება, გაზეთს ჩახედავ, ტელევიზორს გახედავ და მორჩა, ზომბი ხარ!

ამიტომ ახლა უნდა დავიძაბო, ზედმეტი ინფორმაცია თავიდან ამოვიგდო და ნაშთი შემოგთავაზოთ. ქატო იქა, ფქვილი აქა - დაახლოებით ასეთი ხალხური ამბავი გამოდის.

მსოფლიო ჩემპიონატზე ყოველთვის ასეა - პირველი, ჯგუფური ეტაპი ნახევარფაბრიკატია, ყველა რაღაცას მალავს, ძალებს ზოგავს, წინ იყურება და არკვევს, რომელ მეტოქესთან და რომელ ხაზზე ჯობს გასვლა, ზოგი ბუნებრივად ვერ იხსნება და მერვედფინალიდან იწყებს თამაშს, ზოგიც პირიქით - ჯგუფში დაფრინავს და მერე ეგრევე სახლში მიფრინავს.

მთავრდება ჯგუფები და მთელი ეს მარჩიელობა, კომბინაციები დადის ორ მარტივ ვარიანტამდე: ან კი, ან არა. ან მოიგებ, ან წააგებ.

ამ ჩემპიონატზე ახალი ჯერჯერობით ისაა, რომ უმეტესად პირველი ტაიმი სჯობს მეორეს და შედეგიც თითქმის ყოველთვის პირველ ნახევარში წყდება. ეს არაა კარგი სიახლე, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მეორე ეტაპიდან ის წარსულს ჩაბარდება. ამის მიზეზი მარტივია - მერვედფინალებიდან ნაღდ ფეხბურთს ვნახავთ.

ძალიან კარგად ირღვევა ბოლო წლების, ფეხბურთის პოპულარიზაციისკენ მიმართული, ხშირად ხელოვნური ტრადიცია - ჯგუფიდან თითქმის ყველა ფავორიტი გადის. ამ მხრივ გამორჩეულად მურტალი იყო წინა ჩემპიონატი, როცა ნახევარფინალამდე ორი არაფრისმთქმელი ნაკრები გავიდა - კორეა და თურქეთი. ფეხბურთის გავრცელებისთვის ეს მშვენიერია, მაგრამ მსოფლიო პირველობა ოთხ წელიწადში ერთხელაა და მისი პოლიტიკური სვლებით დაბინძურება სანახაობას, ამ ტურნირის მუღამს სპობს.

ერთადერთი ურჩხული, რომელსაც შეიძლება გარკვეული პრობლემები შეექმნას ჯგუფიდან გასვლისას, არის იტალიის ნაკრები, რასაც პირველი მატჩის შემდეგ ვერავინ იფიქრებდა. ლიპის ბიჭებისა და იანკების თამაშს ბევრი ლაპარაკი მოჰყვა მსაჯობის კუთხით, თუმცა, მე თუ მკითხავთ, არბიტრი ერთადერთხელ მაშინ შეცდა, როცა ამერიკელები 9 კაცით დატოვა - სხვა შემთხვევებში სწორად აფრიალა წითელი და ბისლის გოლიც არ უნდა ჩაეთვალა - ოფსაიდში მყოფი ამერიკელი ბურთს არ შეხებია, მაგრამ ბუფონს ხელს უშლიდა.

მსაჯობის თემა აქვე ამოვწუროთ: ჯერჯერობით ამ ხალხს სკანდალური არაფერი ჩაუდენია, მაგრამ ორი რამ თვალში საცემია - ძალიან ზერელედ ეკიდებიან საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაშს და ურჩევნიათ შეცდომით დააფიქსირონ არარსებული თამაშგარე, ვიდრე ოფსაიდიდან გაუვიდეთ გოლი.

მინდა მივულოცო არგენტინის გულშემატკივრებს - ასეთი ღონიერი და მომხიბვლელი ნაკრები მათ დიდი ხანია არ ჰყოლიათ. ამას 6:0-ის გამო არ ვამბობ, რადგან სერბებმა ძალიან ადრე ჩამოყარეს ყურები. ამას ვამბობ გამომდინარე იქიდან, თუ რატომ გამოაცხადეს მათ ნაადრევი კაპიტულაცია: წინა სვეტშიც აღვნიშნე, როცა არგენტინელები მაქსიმალური სიმძლავრით თამაშობენ, მათი გაჩერება ჯოჯოხეთია. ახლა საკითხავი ესღაა - როგორ გამოიყვანს პეკერმანი მოწაფეებს ეიფორიიდან, როგორ გააკონტროლებს სიჩქარეთა ცვალებადობას და როგორ მოახერხებს გუნდის ენერგიის განაწილებას მთელ ტურნირზე.

მარადონა? მარადონა კვლავ შეუდარებელი იყო. როგორ ღრიალებდა თავისი ქვეყნის სახელს, როგორ სდიოდა ცრემლები და კვლავაც რაოდენ მნიშვნელოვანი კაცია არგენტინისთვის. სალოლ, დიეგიტო!

რაც შეეხება ბავშვს, რომელზეც მარადონა და არა მარტო ის გიჟდება, მას დიდი სიამოვნებით გადავცემდი ოსკარს სპორტული თავხედობისთვის - ორთვიანი მკურნალობის შემდეგ ეს 18 წლის ლაწირაკი გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგარი გოლი შეაგდო, ძლივს გაიღიმა, რომელიღაც ბებერ სერბ მცველს თავში წამოარტყა და თამაშიც დამთავრდა. მგონი, დიეგოს კლონია, ოღონდ ფიზიკურად არ ჰგავს.

ამბობენ, ინგლისი გაიხსნებაო. მე კი რატომღაც მგონია, რომ ინდირა განდის მკვლელობა უფრო ადვილად გაიხსნება, ვიდრე პიჟონი ერიქსონის პროდუქტი. ვუყურებ ამ კაცს და მეჩვენება, რომ ერთი სული აქვს, როდის მორჩება თამაში და როდის გაძვრება თავის მორიგ ნორჩ საყვარელთან. შვედი უკვე ოფიციალურად დაიწვა იმაში, რომ მისთვის ფულია მთავარი. აპატიეს და ძალიანაც მიქარეს.

მიქარეს ფრანგებმაც, როცა არჩევანი რაიმონ დომენეკზე შეჩერდა. ამ მწვრთნელის უნიჭობის აპოგეა იყო კორეასთან ბოლო წუთებზე ზიდანის შეცვლა, კაცის, რომელმაც წინა ევროპის ჩემპიონატზე ინგლისს დამატებით სამ წუთში ორი გოლი გაუტანა. აღარაფერს ვამბობ ჟიულისა და პირესის სახლში დატოვებაზე, ასევე კუპესა და ტრეზეგეს იგნორირებაზე. ალბათ, ასე მოხდება - შვეიცარია მოუგებს ტოგოს, საფრანგეთიც მოუგებს ტოგოს, მერე შვეიცარია და კორეა უხვგოლიან ფრეს გააგორებენ და ჯგუფში ჩარჩენილ ფრანგებს თბილისში სხვა მწვრთნელი ჩამოიყვანს.

აი, ბრაზილიას ჯერ ვერაფერი გავუგე.

*მომავალ სამშაბათამდე*

# უკრაინამ ჯავრი არაბებზე იყარა



*უკრაინის ნაკრები ისტორიულ გამარჯვებას ზეიმობს.*

**ს. არაბეთი - უკრაინა 0:4**

**ს. არაბეთი:** ზაიდი, დოხი (ხატრანი, 55`), ტუკარი, ალ მონტაშარი, ალ გამდი, ამეენი (ალ ჰავსავი, 55`), ნოორი (ალ ჯაბერი, 77`), სულიმანი, კარირი, აზიზი, ალ კატანი.
**მწვრთნელი:** პაკეტა
**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი, რუსოლი, შევჩენკო (მილევსკი, 86`), შელაევი, გუსევი, ვორონინი (გუსინი, 79`), რებროვი (როტანი, 71`), კალინიჩენკო, სვიდერსკი.
**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი
**გოლები:** 0:1 - რუსოლი (4`), 0:2 - რებროვი (36`), 0:3 - შევჩენკო (46`), 0:4 - კალინიჩენკო (84`)
**გაფრთხილება:** ნესმაჩნი, დოხი, ალ გამდი, კარირი, კალინიჩენკო.
**მსაჯი:** გრემ პული (ინგლისი)
**6 კარში დარტყმა** 19
**0 კარისკენ დარტყმა 9**
**24 ჯარიმა 25**
**2 კუთხური 6**
**0 თამაშგარე 0**
**50 ბურთის ფლობა 50**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** მაქსიმ კალინიჩენკო (უკრაინა)

უკრაინის ნაკრებმა დიდი ანგარიშით დაამარცხა საუდის არაბეთის გუნდი და მერვედფინალში გასვლისთვის კარგი პლაცდარმი შეიქმნა. მესამე ტურის შეხვედრაში ოლეგ ბლოხინის გუნდს ფრეც ხელს აძლევს ისტორიული წარმატების მისაღწევად. არადა ესპანელებთან გამანადგურებელი მარცხის შემდეგ ცოტა, თუ იფიქრებდა, რომ უკრაინელები ასეთ შთამბეჭდავ ფეხბურთს აჩვენებდნენ და ასე სწრაფად დაივიწყებდნენ პირველ შეხვედრაში განცდილ ფიასკოს.

თუმცა სიმართლე რომ ითქვას, ესპანეთთან განცდილი ფიასკოს დავიწყებაში ბლოხინის გუნდს თავად საუდის არაბეთი დაეხმარა, როცა არაბებმა არ წააგეს ტუნისთან მატჩი და ფრედ - 2:2 ითამაშეს. ეს, რა თქმა უნდა, დამატებითი სტიმული იყო უკრაინული გუნდისთვის.

ბლოხინის გუნდმაც კარგად გამოიყენა ეს სტიმული და შანსი არ დაუტოვა საუდის არაბეთის გუნდს. უკრაინელებმა თავიდანვე სერიოზულად მოკიდეს საქმეს ხელი და პირველივე კუთხური მათ სასარგებლოდ დასრულდა. რუსოლმა მატჩის მე-4 წუთზე კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ გახსნა ანგარიში. თამაში არც გატანილი გოლის შემდეგ შეცვლილა. უკრაინელები დამაჯერებლად აკონტროლებდნენ ბურთსაც და თამაშის მსვლელობასაც. ამის დასტური ის იყო, რომ საწყის 30 წუთში ბლოხინის გუნდმა 7-ჯერ დაარტყა მეტოქის კარის მიმართულებით. ერთ-ერთი ასეთი დარტყმა მეორე გოლით დასრულდა. სერგეი რებროვმა დაახლოებით 30 მეტრიდან დარტყმული ბურთი გაახვია მეკარე ზაიდის კარის ბადეში.

სიმართლე რომ ითქვას, აქ დასრულდა არაბთა ყოველგვარი ამბიცია, თუკი მატჩის წინ გააჩნდათ. ისინი ისედაც არ ჰგავდნენ მატჩის გარდამტეხ გუნდს და მეორე გოლმა საერთოდ ჩამოაყრევინათ ყურები.

თამაშის მეორე ნახევარი ხეირიანი დაწყებულიც არ იყო, როცა ანდრეი შევჩენკომ თავით გაიტანა საკუთარი გოლი მსოფლიო ჩემპიონატზე. კალინიჩენკომ კი თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე წერტილი დაუსვა უკრაინელთათვის ამ მეტად მნიშვნელოვან მატჩს - 4:0.

# შვეიცარიამ მერვედფინალისკენ გაიხედა



*ადებაიორმა ტოგოელებს ვერ უშველა.*

**ტოგო - შვეიცარია 0:2**

**გოლები:** 0:1 ფრია (16), 0:2 ბარნეტა (88)
**გაფრთხილება:** სალიფუ, ადებაიორი, რომაო
**ტოგო:** აგასა, ჩანგაი, ნიბომბე, ფორსონი, ასიმოუ ტურე, დოსევი (სენაია 69), ჩერიფ ტურე (მალმი 87), აგბოჰი (სალიფუ 25), რომაო, აბდელ კადერი, ადებაიორი
**მწვრთნელი:** ოტო პფიტცერი
**შვეიცარია:** ცუბერბიულერი, დეგენი, მიულერი, სენდეროსი, მანინი, ფოგელი, ბარნეტა, კაბანიასი (შტრელერი 77), ვიკი, ჟიგა (იაკინი 46), ფრეი (ლუსტრინელი 87)
**მწვრთნელი:** კობი კუნი
**მსაჯი:** კარლოს ამარილია (პარაგვაი)
**7 კარში ლარტყმა 9**
**10 კარისკენ დარტყმა 15**
**18 ჯარიმა 14**
**4 კუთხური 8**
**6 თამაშგარე 5**
**50% ბურთის ფლობა 50%**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ალექსანდრ ფრეი (შვეიცარია)

შვეიცარიის ნაკრებმა გაიმარჯვა. ეს ალბათ დამსახურებულიც იყო. კობი კუნის ბიჭებმა აშკარად უკეთესი ფეხბურთი აჩვენეს, ვიდრე ტოგოელებმა, მაგრამ გამოჩნდა ერთი ტენდენცია. შესაძლოა, ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყოს, თუმცა ერთ დეტალზე ყურადღების გამახვილება ალბათ მაინც ღირს. შვეიცარია - საფრანგეთის შეხვედრაში რუსმა არბიტრმა ვალენტინ ივანოვმა კუნის გუნდის კარში აშკარა პენალტი არ დანიშნა, გუშინ პარაგვაელმა კარლოს ამარილიამ დაინდო შვეიცარიელები, როდესაც ემანუელ ადებაიორის წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნა. შესაძლოა, ეს უბრალო დამთხვევაა, შესაძლოა, - არა. ამის ზუსტად თქმა შეუძლებელია. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი შვეიცარიელია.

ახლა რაც შეეხება თავად მატჩს. შეხვედრა დიდად საინტერესო არ ყოფილა. შვეიცარიის ნაკრებმა, როგორც ყოველთვის, გააზრებული და ორგანიზებული ფეხბურთი ითამაშა, მომენტები მაქსიმალურად გამოიყენა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „დრაგუნთა“ კარში პენალტის დანიშვნა ამ მუნდიალზე ცუდ ტონად ითვლება, შედეგი ძნელად პროგნოზირებადი არ უნდა იყოს.

თანაც, რაც მთავარია, შვეიცარიამ ზუსტად ისეთი ანგარიშით მოიგო, როგორც სჭირდებოდა. კუნის გუნდს ანგარიში 1:0 ბოლომდე ხელს არ აძლევდა. მაშინ ბოლო ტურში შვეიცარიას აუცილებლად დასჭირდებოდა კორეის ნაკრების დამარცხება. ახლა კი შვეიცარიის ნაკრებს პრაქტიკულად თავის ქუდში აქვს. თუ ბოლო ტურში ზეპ ბლატერის თანამემამულეებმა მატჩი ფრედ დაასრულეს, მერვედფინალის საგზურს მათ ვერავინ შეეცილება.

რაც შეეხება ტოგოს ნაკრებს, ამ გუნდს ურიგო ფეხბურთი არ უჩვენებია, თუმცა გარკვეულწილად ტოგოელებს კლასის უქონლობა ეტყობოდათ და მარცხის მთავარი მიზეზიც ეს უნდა იყოს.

# მთავარია შვილი

ბრაზილია - ავსტრალიის მატჩში პენტაკამპეონების გამარჯვება ადრიანოს გოლმა განაპირობა. ფეხბურთელისთვის ეს წარმატებმა ორმაგად სასიხარულო იყო, ვინაიდან გასულ ხუთშაბათს ადრიანოს ვაჟი შეეძინა.

მატჩის შემდეგ ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ შერეულ ზონაში ადრიანოს პირველ რიგში სწორედ მემკვიდრეზე ეკითხებოდნენ.

- უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, შვილი რომ შემეძინა და ეს ამბავი გოლით აღვნიშნე. სიმპათიური ბიჭია. ფოტო უკვე ვნახე. ელექტრონული ფოსტით სიდედრმა გამომიგზავნა.

**- რა დაარქვით?**

- ადრიანო ჟუნიორი.

**- ფეხბურთელი თუ გახდა, რომელ პოზიციაზე ითამაშებს?**

- რა თქმა უნდა, თავდასხმაში, ისევე როგორც მამამისი.

**- გამოტყდით: გოლის უკვე ტრადიციად ქცეულ აღნიშვნის წესზე მატჩამდე შეთანხმდით?**

- მხოლოდ ახლო მეგობრებთან. დანარჩენი ყველაფერი სპონტანურად გამოვიდა.

**- ავსტრალიასთან მატჩი უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე ხორვატიასთან?**



*ადრიანო გოლს ზეიმობს.*

- ვფიქრობ, ასეა. მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით უკეთ ვითამაშეთ - მეტს ვმოძრაობდით, მეტოქის კარშიც ბევრჯერ დავარტყით და სახიფათო მომენტებიც შევქმენით, მატჩი მაინც უფრო რთული იყო. ავსტრალიელები ხისტად გვეთამაშებოდნენ. ამისთვის კი მზად არ ვიყავით. ალბათ მომავალი მეტოქეებიც ანალოგიურ ტაქტიკას აირჩევენ.

**- მატჩის მთავარი შედეგი რაში მდგომარეობს?**

- ჩვენ მერვედფინალში ვართ. ისიც მახარებს, რომ ჩვენი გუნდი ყოველ თამაშში უმატებს და უკეთეს ფეხბურთს აჩვენებს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ მწვრთნელებს ჩვენთან, ფორვარდებთან, ბევრი პრეტენზია ექნებათ.

**- ხორვატებთან მატჩის შემდეგ რონალდოს ყველა აკრიტიკებდა. როგორ გამოიყურებოდა ის ავსტრალიასთან შეხვედრაში?**

- რონალდო უნიკალური ფეხბურთელია. მას არავისთვის არაფერი არა აქვს დასამტკიცებელი. საგოლე პასი სწორედ მან მომცა. სულ მალე ჩვეულ რონალდო-მატადორს ვნახავთ.

# პეტრ ჩეხი: "ბოლომდე ვიბრძოლებთ"

გაზეთ „სპორტ ექსპრესს“ დიდი დესანტი ჰყავს გერმანიაში. იგორ რაბინერი და ალექსანდრ პროსვეტოვი ჩეხეთი - განის მატჩამდე კარგა ხანს ელოდნენ აკრედიტაციას. მხოლოდ საათნახევრით ადრე მოიპოვეს სანუკვარი საშვები და განელთა ტრიუმფითაც ისიამოვნეს, მატჩის შემდეგ კი საინტერესო რამ აღმოაჩინეს: თურმე პეტრ ჩეხი გაწონასწორებული და გულთბილი ადამიანი ყოფილა. მარცხის მიუხედავად, ჩეხეთის ნაკრების მეკარემ ჟურნალისტებთან საუბარი არ დაიზარა და საკმაოდ დიდი დრო დაუთმო მედიის წარმომადგენლებს. პეტრი ოთხ სხვადასხვა ენაზე პასუხობდა ჟურნალისტთა კითხვებს. პოლონურად (დედა პოლონელი ჰყავს), ინგლისურად, ფრანგულად და ჩეხურად.

**- შოკირებული ხართ?**

- არა, უბრალოდ, იმედგაცრუებული ვარ როგორც მე, ისე ჩემი თანაგუნდელები, თუმცა ბრძოლას ბოლომდე გავაგრძელებთ.

**- რამდენად მძიმე დარტყმა მიიღო დღეს თქვენმა გუნდმა?**

- ჩვენი ამოცანა გაცილებით გართულდა. თუმცა მთავარი ის არის, რომ ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია. თუ იტალიასთან ჩვენი ფეხბურთის თამაში მოვახერხეთ, მერვედფინალშიც გავალთ. მართალია, განასთან დამარცხება მტკივნეული იყო, მაგრამ სატურნირო თვალსაზრისით ვითარება თითქმის არ შეცვლილა. იტალიასთან გამარჯვება გვჭირდება. ჩვენს განკარგულებაში ხუთი დღეა, რათა დავისვენოთ და გონს მოვიდეთ.

**- შეიძლება ითქვას, რომ თქვენმა ჯგუფმა მანამდე მშვიდად მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი ააფეთქა...**

- მართალი ბრძანდებით. ჯერჯერობით ერთადერთი ჯგუფია, რომელშიც ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა.

**- რას გრძნობს ადამიანი, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა, მისმა გუნდმა კი მაინც წააგო?**

- კარგს არაფერს. შეიძლება უამრავი ბურთი მოიგერიო, მაგრამ თუ წააგე, ამას რა მნიშვნელობა აქვს. მერჩივნა საშინლად მეთამაშა და ნაკრებს მოეგო.

**- როდის მიხვდით, რომ მატჩის გადარჩენა შეუძლებელი იყო?**

- სანამ განელები მეორე გოლს გაგვიტანდნენ, იმედი მქონდა. მათმა მეორე გოლმა ჩვენი იმედები დაასამარა.

**- მეორე გოლის შემდეგ თქვენს კართან ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო...**

- ბოლო 15 წუთში ჩვენ უკვე ფეხბურთს აღარ ვთამაშობდით. ამიტომ განის ნაკრებმა უამრავი მომენტი შექმნა.




*ჩეხმა ჩეხებს ვერ უშველა.*

**- თქვენს კარიერაში ამგვარი რამ აქამდე თუ მომხდარა?**

- მხოლოდ ერთხელ. შვიდი წლის წინ იუნიორების გუნდში ვთამაშობდი და ხუთი წლით უფროსებს დავუპირისპირდით. ის მატჩი 2:9 წავაგეთ. განასთან მატჩის ბოლო წუთებზე სწორედ ის კოშმარული თამაში გამახსენდა.

**- რამდენად მოულოდნელი იყო „შავი ვარსკვლავების“ სწრაფი გოლი?**

- ცხადია, მატჩის პირველივე წუთზე გოლის გაშვება ჩვენს გეგმებში არ შედიოდა. პირველი 70 წამის შემდეგ საჭირო გახდა ყველაფრის შეცვლა.

**- როგორ შეაფასებთ განელთა ლიდერს და თქვენს თანაგუნდელ მიკაელ ესიენს?**

- კლუბში ყოველთვის კარგად თამაშობს. ახლა კი დავრწმუნდი, რომ ნაკრებშიც წარმატებებს აღწევს. თუ გახსოვთ, იტალიელებთან პირველ მატჩშიც მშვენივრად ითამაშა.

**- მატჩის შემდეგ ესიენი თქვენთან მოვიდა, მაისურები ხომ არ გაგიცვლიათ?**

- ჩვენ ყოველთვის საუკეთესოს ვუსურვებთ ერთმანეთს და, ცხადია, მაისურებიც სიამოვნებით გავცვალეთ. ეს ალბათ პირველი შემთხვევაა ჩემს კარიერაში, როდესაც მეტოქის მეკარეს არ გავუცვალე მაისური.

**- განის ნაკრების თამაშმა არ გაგაკვირვათ?**

- არა. ვიცოდით, რომ ძლიერი და კარგად ორგანიზებული გუნდის წინააღმდეგ მოგვიწევდა თამაში.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს თუ არა 2006 წლის მუნდიალზე განის ნაკრები მერვედფინალში ან მეოთხედფინალში თამაშს?**

- თუ ისევე ითამაშეს, როგორც ჩვენს წინააღმდეგ, უპრობლემოდ.

**- მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგების შანსი თუ აქვთ?**

- ნებისმიერ გუნდს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშობს, შეუძლია ტიტულის მოგება.

**- გასაგებია, რომ თქვენთვის ამ მატჩის ესთეტიკურ მხარეს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია, თუმცა ხომ არ ყოფილა ისეთი მომენტი, როდესაც განის ნაკრების თამაშმა თქვენც კი მოგანიჭათ სიამოვნება?**

- მაყურებელმა ალბათ მართლაც ისიამოვნა. იყო ყველაფერი, რაც ფეხბურთს ალამაზებს, თუმცა სამწუხაროა, რომ ამას მხოლოდ ერთი გუნდი - განის ნაკრები სთავაზობდა გულშემატკივარს.

**- კოლერისა და ბაროშის არყოფნამ ალბათ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ მარცხში.**

- როცა მინდორზე ორი საუკეთესო ფორვარდი არ გყავს, ცხადია, გამარჯვებაზე ფიქრი ძნელია. ახლა ლოკვენციც დავკარგეთ.

**- კოლერი და ბაროში იტალიის წინააღმდეგ შეძლებენ თამაშს?**

- ეს ექიმებს ჰკითხეთ.

**- არგენტინელ მსაჯთან თუ გაქვთ რაიმე პრეტენზია?**

- არა. მიმაჩნია, რომ ობიექტურად და უშეცდომოდ მსაჯობდა. პენალტი ნამდვილად იყო, თუმცა ოდნავ გამიკვირდა, როდესაც უიფალუში გააძევა. როცა განამ მეორე გოლი გაიტანა, ვიფიქრე, რომ თამაშგარე იყო. თუმცა, დავინახე, ჩემი თანაგუნდელები არ აპროტესტებდნენ და მივხვდი, რომ შევცდი. მთლიანობაში ჩვენს მარცხში მსაჯს ნამდვილად ვერ დავდებ ბრალს. უბრალოდ, განამ უკეთ ითამაშა.

# კაფუ-მარადიული

მარი ჭავახიშვილი

7 ივნისს ბრაზილიელთა კაპიტანმა მარკუს ევანჯელისტა კაფუმ დაბადებიდან 36-ე წელი აღნიშნა. მანამდე ორიოდე კვირით ადრე იტალიურ „მილანთან“, სადაც მესამე სეზონს ატარებს, კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი. „სელესაოს“ ღირსებას კაპიტანი, არც მეტი, არც ნაკლები, 16(!) წელიწადია იცავს და ამ ხნის განმავლობაში 131 შეხვედრა გაუმართავს.

როდესაც 7 ივნისს, დაბადების დღეზე ჰკითხეს, რას გააკეთებს ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, ბრაზილიელთა ლიდერმა დაუფიქრებლად უპასუხა, რომ ამაზე ფიქრი ჯერ ნაადრევად ეჩვენება. მერე იქვე დაამატა, რომ კარიერის დასრულებამდე რამდენიმე სეზონი სიამოვნებით ითამაშებდა დაცვის ცენტრში.

36 წლის ფეხბურთელის ოპტიმიზმი, ალბათ, ერთბაშად ათ ახალგაზრდა მოთამაშეს ეყოფა. გასულ ზამთარს სელესაოს დაცვის ბურჯმა მუხლზე საკმაოდ მძიმე ოპერაცია გადაიტანა, თუმცა მეორე დღესვე განაცხადა, რომ მოედანზე, სულ ცოტა, 8-10 წელი კიდევ აპირებდა დარჩენას.

**- იხუმრეთ თუ სერიოზულად თქვით? -** ჰკითხეს მოგვიანებით გამოჯანმრთელებულ კაფუს.

**- თავადაც არ ვიცი. რა თქმა უნდა, ვგრძნობ, რომ ასაკი მემატება, მაგრამ განა ეს მოედანზეც შესამჩნევია? ჯერ მაინც არავინ მეგულება, ვინც ჩემს ადგილს დაიკავებს, -** იყო კაპიტნის პასუხი.

**- გული არ დაგწყდათ, როცა ზინედინ ზიდანი მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, თქვენ კი მხოლოდ ათეულში მოხვდით?**

**- მცველისთვის ყოველთვის ძნელია აღიარების მოპოვება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შენს გვერდით კაკა, რონალდო, რონალდინიო და ადრიანო თამაშობენ.**

რეალური მიზეზი ალბათ მაინც იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ბრაზილიელმა მცველმა უმაღლესი დონის კლუბში თამაში ოდნავ მოგვიანებით დაიწყო. 2003 წელს იტალიურ „მილანში“ „რომადან“ გადავიდა. დედაქალაქურ კლუბთან ერთად კი 2001 წელს სკუდეტო და მეტსახელი „პენდოლინო“ (ჩქარი მატარებელი) მოიპოვა.




მექსიკის 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილია-ინგლისის მატჩის (1:0) დღეს ქვეყნიერებას მოვლენილი კაფუ დღეს მოედანზე იმაზე მეტ ტერიტორიას ფარავს, ვიდრე ამას ხუთი-ათი წლის უკან აკეთებდა.

**- ყოველთვის უფრო წინ მინდოდა თამაში, - ჰყვება კაფუ, - გოლების გატანა მინდოდა. „რომაში“, მაგალითად, ნახევარმცველად ვიყავი გამწესებული, ბევრს ვუტევდი. „მილანში“ დაცვის ფლანგზე ვთამაშობ, თუმცა წინ წაწევას არავინ მიშლის.**

**- ავანტიურისტობაში არ გადანაშაულებენ?**

**- არა, რადგან ჩემს საქმეს მაინც ხუთიანზე ვასრულებ.**

ძნელია რამეში შეედავო. რომ არ ასრულებდეს, ალბათ, არც 131 მატჩს გამართავდა ქვეყნის პირველ გუნდში და არც პენტაკამპეონეთა ისტორიაში შევიდოდა საუკეთესო მცველის სახელით.

16-წლიანი კარიერა ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. მწვრთნელის გადაწყვეტილებით, ის სკამზე უნდა მჯდარიყო ამერიკის 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, თუმცა, მისდა საბედნიეროდ, იტალიასთან მატჩის მეოცე წუთზე ჟორჟინიომ ტრავმა მიიღო... 2002 წელს, როდესაც ნაკრების კაპიტნის სამკლაური მოირგო, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ ექსკაპიტანმა ემერსონმა ამოიგდო მხარი.

ხუთი წელია ღირსეულად კაპიტნობს ბრაზილიელთა გუნდს. კაფუს არც სელესაოს სათავეში ლუიშ ფელიპე სკოლარის შემდეგ მისულმა კარლოს ალბერტო პარეირამ ჩამოართვა კაპიტნობა. მწვრთნელმა ზუსტად იცის, რომ ბრაზილიელთა შორის ჯერ არ მოიძებნება ფეხბურთელი, კაფუზე უფრო გამოცდილი, უფრო ღირსეული და უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობით. ამას მისი თანაგუნდელებიც აღიარებენ. ის კი არა, სისინიომ კაპიტნისთვის ძეგლის დადგმაც კი მოისურვა. რობერტო კარლოსის აზრით კი, კაფუსი თვით პელესაც უნდა შურდეს.

აცრემლებული კაპიტანი პირველად მაშინ ნახეს, როდესაც ლეგენდარული ტელე სანტანას გარდაცვალების ამბავი შეიტყო. ბრაზილიის ნაკრების ექსთავკაცი კაფუს პირველი მწვრთნელი იყო „სან პაულუში“, სადაც 1988 წელს დაიწყო მისი საფეხბურთო კარიერა. 18 წლის წინ სელესაოს კაპიტანს სამშობლოში ბრწყინვალე მომავალს არავინ უწინასწარმეტყველებდა. მეტიც, კაფუს გუნდში აყვანაზე ერთბაშად 9(!) ბრაზილიურმა კლუბმა განაცხადა უარი. სანტანა ერთადერთი კაცი გამოდგა, ვინც მისი ირწმუნა და, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, არც უნანია. „სან პაულოსთან“ ერთად კაფუმ ორჯერ ლიბერტადორესის, ერთხელაც საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო.

**- პირველი სანაკრებო მატჩი არცთუ ტკიბილად მაგონდება. 1990 წლის 12 სექტემბერს რობერტო ფალკაომ ესპანეთთან ამხანაგური მატჩის განაცხადში შემიყვანა. იმ დღეს 0:3 დავმარცხდით.**

ცუდად დაწყებული სანაკრებო კარიერა კარგად არც საკლუბო დონეზე წარიმართა. 1994 წლის ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კარიერის გაგრძელების საუკეთესო ვარიანტი ევროპაში გადაბარგება იყო და ბრაზილიელმაც ესპანურ „სარაგოსას“ მიაშურა. მიუხედავად იმისა, რომ 1995 წელს ესპანური კლუბი თასების მფლობელთა თასს დაეუფლა, კაფუმ მაინც სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. ამჯერად „პალმეირასს“ შეუერთდა. თუმცა, მხოლოდ ერთი სეზონით. შემდეგ იყო იტალიური „რომა“. სერია ა-ს უძლიერეს კლუბში გადასვლამ ერთიორად გაამყარა მისი სანაკრებო პოზიცია, თუმცა ბრაზილიელი გულშემატკივარი მიიჩნევდა, რომ კაფუ ნაკრებში ადგილს არ იმსახურებდა.

**- 1998 წლის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატამდე არგენტინელებთან „მარაკანაზე“ გამართული მატჩი ცხოვრების კოშმარად მექცა, - იხსენებს კაფუ, - როგორც კი ბურთს მივიღებდი, გულშემატკივრები მაშინვე სტვენას მიწყებდნენ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხდება მაშინ, როდესაც ერთბაშად 100 ათასი ქომაგი გისტვენს? ჩემს თავზე უფრო მეტად ტრიბუნაზე მჯდომი მამაჩემი მეცოდებოდა. მატჩის შემდეგ მამა ჩემს დასაწყნარებლად მოვიდა, თუმცა თვითონ ძლივს იკავებდა ცრემლებს...**

**- იმავე წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა ფინალში ფრანგებთან (0:3) დამარცხდით, თქვენც ატირდით...**

**- ვტიროდი, რადგან ვფიქრობდი, რომ ასე ცუდად არასოდეს გვითამაშია.**

**- ოთხი წლის შემდეგ კორეა-იაპონიაში ალბათ საპირისპირო განცდა დაგეუფლათ...**

**- მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს თასი მანამდე 1994 წელს ამერიკაში აღვმართე, 2002 წელს რადიკალურად განსხვავებული გრძნობა მქონდა. ალბათ იმიტომ, რომ უფრო დიდი ვიყავი, შეიძლება იმიტომაც, რომ იაპონიაში ამერიკისგან განსხვავებული თამაში ვაჩვენეთ.**

გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატზე სათამაშოდ ჩასული გუნდის მეექვსეჯერ ჩემპიონობის გარდა, პირადი რეკორდის გაუმჯობესებაზეც ოცნებობს. თუ პენტაკამპეონები წლეულსაც დაუფლებიან მსოფლიო თასს, მაშინ ტიტულების რაოდენობით კაფუ თანამემამულე პელეს გაუტოლდება. ნაკრებში მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ნათამაშევი მატჩების რეკორდს კი, სავარაუდოდ, წელს დაამყარებს. ავსტრალიასთან გამართული შეხვედრა მისთვის მეთვრამეტე გამოდგა, რითაც უკვე გაუტოლდა თანამემამულეებს - ლეგენდარულ დუნგასა და კლაუდიო ტაფარელს.

## ლევან ყიფიანი: „მთავარი ფავორიტები - ბრაზილია, არგენტინა, იტალია და ინგლისი“

დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატის ორი ტური და დღეს ჯგუფური ეტაპის გადამწვეტი მატჩები იწყება. გთავაზობთ ლევან ყიფიანის კომენტარს უკვე გამართულ შეხვედრებთან და ჩემპიონატის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

„1978 წლიდან მოყოლებული, არგენტინის ქომაგი ვარ. ჯერ კემპესმა, შემდეგ მარადონამ ამ ქვეყნის ნაკრების გულშემატკივრად ჩამომაყალიბა. შესაძლოა, ამის გამო ერთგვარად სუბიექტურადაც ჩათვალონ ეს შეფასება, მაგრამ მიმაჩნია, რომ არგენტინის ნაკრები ერთ-ერთი გამორჩეული ფავორიტია. ამას მხოლოდ არგენტინელთა მიერ წარმატებული სტარტის, სერბეთის კარში გატანილი ექვსი გოლისა და მერვედფინალის საგზურის ვადამდე განაღდების გამო არ ვამბობ. პეკერმანმა ბრწყინვალე გუნდის ჩამოყალიბება შეძლო. მოგეხსენებათ, არგენტინის ნაკრებში მრავლად არიან გამოკვეთილი, უმაღლესი კლასის ინდივიდუალისტები. არგენტინას არაერთი ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებსაც ნებისმიერი მატჩის ბედის ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გადაწყვეტა შეუძლიათ. ამის მიუხედავად, ეს გუნდი, პირველ რიგში, სწორედ გუნდური, კოლექტიური თამაშით გამოირჩევა და ამ კომპონენტში მთელ მუნდიალზე ერთ-ერთი საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. ამას გარდა, არგენტინის ნაკრებში პეკერმანს აყვანილი ჰყავს მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებსაც გასულ სეზონში გამარჯვებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდათ. თანაც, ტევესი, რომელიც ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და მესი, რომელმაც როგორც ესპანეთის ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგაში ფურორი მოახდინა, მხოლოდ შეცვლაზე შემოიყვანა სერბებთან. ეს ამ გუნდის უსაზღვრო პოტენციალზე მიუთითებს. რა თქმა უნდა, არგენტინის ნაკრების წინასწარ ჩემპიონად მონათვლაზე საუბარი ზედმეტია. თუმცა, პირველ ორ ტურში ყველაზე შთამბეჭდავი, შედეგიანი, რომანტიკული და, ამავე დროს, რაციონალური ფეხბურთი აჩვენა. მეორე მხრივ, მსოფლიო ჩემპიონატი დიდი მარათონია, რომელიც ერთ თვეს გრძელდება და გუნდს, რომელიც უმაღლეს მიზნებს ისახავს, ამ პერიოდში შვიდი თამაშის ჩატარება სჭირდება. ასე რომ, ბრაზილიელების ერთი შეხედვით არცთუ დამაჯერებელი თამაში ჩემთვის სულაც არ არის მოულოდნელი. როგორც წესი, ფავორიტები მძიმედ იწყებენ, ძალებს ზოგავენ და არც საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამომზეურებას ჩქარობენ. ამ თვალსაზრისით, ბრაზლიის ნაკრებიც, რომელმაც თითქოს არადამაჯერებელი თამაშით მაქსიმალურ შედეგს მიაღწია და ისიც მერვედფინალშია, ჩემპიონატის გამოკვეთილი ფავორიტია. მათ გვერდით დავაყენებ იტალიას და ინგლისს. მართალია, „სკუადრა აძურამ“ აშშ-სთან თავის შესაძლებლობებთან შედარებით სუსტად ითამაშა და მერვედფინალში გასვლის ამოცანა ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ლიპის გუნდი ამ არცთუ იოლ ამოცანას წარმატებით გადაწყვეტს. იტალია-ჩეხეთი მესამე ტურის ყველაზე დამაინტრიგებელი თამაშია, თუმცა, მგონია, რომ იტალიელები საკუთარ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ და სლავების დამარცხებას შეძლებენ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს რამდენიმე ობიექტური ფაქტორი. ჯერ ერთი, ჩეხებს თავდამსხმელი არ ჰყავთ. ამ გუნდში ვერ მოიძებნა ისეთი ლიდერი, რომელიც გუნდს აიყოლიებს და წარმატებების მისაღწევად დარაზმავს. რამდენიმე წლის წინ ამ ფუნქციას ნედვედი ასრულებდა, მაგრამ ამ ჩემპიონატზე „იუვენტუსის“ ნახევარმცველი აშკარად არ არის ფორმაში. ლიპის კი, პრაქტიკულად, ორი თანაბარძალიანი ნაკრები ჰყავს და აშკარად შეუძლია ჩეხებთან გამკლავება.

მსოფლიო ჩემპიონატზე დიდ როლს თამაშობს განწყობა და ფსიქოლოგია. ისეთ დიდ გუნდებს, როგორებიც არიან იტალია და ინგლისი, უსახელო და მესამე რიგის გუნდების გამკლავება გაუჭირდათ. ძალიან ძნელია, რომ ზიდანი, რომელსაც ფეხბურთში ყველა ტიტული მოგებული აქვს, მაქსიმალურად მოტივირებული და კონცენტრირებული გამოვიდეს კორეასთან, ან თუნდაც შვეიცარიასთან სათამაშოდ. რაკი ზიდანი ვახსენე, უნდა შევეხო საფრანგეთსაც, რომელიც ალბათ მთავარი იმედგაცრუებაა. ამ გუნდმა ვერა და ვერ გვიჩვენა თავისი რეალური ძალა და ზედიზედ მეორე მსოფლიო ჩემპიონატზე სრული კრახის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ფრანგებს რამდენიმე სერიოზული პრობლემა აქვთ. პირველ რიგში, ეს ალბათ მწვრთნელის პრობლემაა. დომენეკის გუნდი ისე თამაშობს, რომ ამ სპეციალისტის კომპეტენციასა და პროფესიონალიზმში საფეხბურთო სამყარო, რბილად რომ ვთქვა, დაეჭვებულია. ჟიულის არწაყვანა რომ შეცდომა იყო, ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მეც გავიმეორებ: ასეთი რეაქტიული ფეხბურთელი მსოფლიო ჩემპიონატზე თითზე ჩამოსათვლელია და, მით უმეტეს, საფრანგეთს, რომელიც დიდი სისწრაფით ვერ დაიკვეხნის, აშკარად აკლია. მის ნაცვლად დომენეკმა წაიყვანა მალუდა, რომლის თამაშიც გვარწმუნებს, რომ ის აშკარად ვერ არის ფორმაში. ყოველ შემთხვევაში, მალუდა ჟიულის ვერაფრით სჯობს. ფრანგებისთვის პრობლემაა ისიც, რომ დომენეკმა ვერ მოახერხა ვეტერანი, მაგრამ გამოცდილი და უმაღლესი კვალიფიკაციის ფეხბურთელებისა და ახალგაზრდების შეთამაშება. გუნდური, კოლექტიური თამაში „სამფეროვნებში“ იმ დონეზე არ არის, რაც ამ გუნდის თითოეული ფეხბურთელის მაღალ პროფესიონალიზმს შეესაბამება. სასაცილოცაა იმაზე საუბარი, რომ ფრანგებს უდიდესი კლასისა და სპორტული ოსტატობის მქონე ფეხბურთელები ჰყავთ. მარტო ზიდანისა და ნარის დასახელებაც კმარა. თუმცა, ამ მოთამაშეებს, რომლებიც ევროპის წამყვან კლუბებში თამაშობენ, უმძიმესი სეზონი ჰქონდათ, რისი მძიმე კვალიც ამ ჩემპიონატზე ბევრს ეტყობა. ფავორიტი გუნდების ფეხბურთელთა უმეტესობა გადაღლილია და ეს მათ თამაშსაც ეტყობა.

ძალზე სიმპათიური გუნდი ჰყავთ მასპინძლებს. გერმანიას მუნდიალის სტარტამდე სამშობლოშიც აკრიტიკებდნენ, ფავორიტად არ ასახელებდნენ. თუმცა, პირველივე თამაშებმა ნათელი გახადა, რომ გერმანიის ნაკრები ბრწინვალე ფორმაშია, არც ახალგაზრდა, ნიჭიერი და მაღალი კლასის ფეხბურთელების ნაკლებობას უჩივის და საფუძვლიანი ამბიციაც აქვს. თუმცა, პირადად მე გერმანიას და ჰოლანდიას უფრო მომავლის გუნდებად მივიჩნევ, რომლებიც შესაძლებლობათა მაქსიმუმს მომდევნო ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამოავლენენ. ამიტომ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად ოთხი გუნდი მიმაჩნია: ბრაზილია, არგენტინა, ინგლისი და იტალია.“

## კლინსმანი უნდა დარჩეს

გერმანიის ნაკრების კაპიტნის მიხაელ ბალაკის აზრით, იურგენ კლინსმანი უნდა დარჩეს გერმანიის ნაკრებში, მიუხედავად იმისა, თუ როგორ დასრულდება მსოფლიო ჩემპიონატი.

„ნაკრების მწვრთნელს ყოველთვის შედეგებით აფასებენ. იურგენმა კი უკვე ბევრს მიაღწია. პროგრესი აშკარაა. მიმაჩნია, რომ კლინსმანი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგაც უნდა დარჩეს ნაკრებში და გააგრძელოს მუშაობა“, - აცხადებს ბალაკი.

## ლიუნგბერგი ყველაზე სექსუალურია

დაახლოებით ათი ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ერთ-ერთი გერმანული ინტერნეტ-ვებგვერდის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე სექსუალური ფეხბურთელის დადგენას.

გამოკითხულთა 42%-მა შვედეთის ნაკრების 29 წლის ნახევარმცველ ფრედერიკ ლიუნგბერგს მიანიჭა უპირატესობა. მეორე ადგილზე 15%-ით პორტუგალიელი კრისტიანო რონალდუა. ინგლისელთა სექს-სიმბოლო დევიდ ბექჰემი პორტუგალიელს მხოლოდ ერთი პროცენტით ჩამორჩა. მეოთხე ადგილზე იტალიელთა კერპი ალექს დელ პიერო გავიდა, მეხუთეზე კი - მიხაელ ბალაკი.

## იანასი წასვლას არ აპირებს

პოლონეთის ნაკრებმა საკმაოდ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. ამ გუნდმა ზედიზედ წააგო ორი მატჩი და უკვე დაემშვიდობა მუნდიალს. მიუხედავად ამისა, პოლონელთა მთავარი მწვრთნელი პაველ იანასი თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

„ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა. ამიტომაც გადადგომაზე საუბარი ნაადრევია. ჯერ კოსტა რიკის გუნდს ვეთამაშებით, შემდეგ კი ყველაფერს გავაანალიზებ და გადაწყვეტილებასაც მივიღებ. თუმცა ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ გადადგომას არ ვაპირებ“, - განუცხადა იანასმა პოლონელ ჟურნალისტებს.

## ლიპი „რეალში“

ესპანური მედიის ინფორმაციით, თუ იტალიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებლად ითამაშა, მარჩელო ლიპი დატოვებს თანამდებობას და სათავეში ჩაუდგება მადრიდის „რეალს“. აღსანიშნავია, რომ „რეალის“ მწვრთნელობის შანსი ფაბიო კაპელოსაც აქვს. თუ მადრიდული კლუბის პრეზიდენტის პოსტს რამონ კალდერონი დაიკავებს, ის გუნდში სწორედ კაპელოს მოიყვანს.

## რონალდოს არ დაასვენებენ

მიუხედავად იმისა, რომ კარლოს ალბერტო პარეირა კმაყოფილია ფრედისა და რობინიოს თამაშით, იაპონიის ნაკრებთან მატჩში, რომელსაც ბრაზილიელებისთვის არავითარი სატურნირო მნიშვნელობა არ ექნება, ძირითად შემადგენლობაში კვლავ რონალდო ითამაშებს.

„როდესაც რობინიო და ფრედი გავიდნენ მინდორზე, გუნდი უფრო სწრაფად ათამაშდა. რაც შეეხება რონალდოს, მან ძალიან კარგად ითამაშა. აშკარაა, რომ იგი ყოველ შეხვედრაში უმატებს თამაშს. ამიტომ იაპონიის ნაკრებთანაც ძირითადში იქნება“, - აცხადებს პარეირა.

## განხეთქილება ხორვატიის ნაკრებში

ხორვატიისა და იაპონიის მატჩამდე ხორვატების მიერ გამართულ ბოლო ვარჯიშზე ამ ნაკრების ორმა ფეხბურთელმა იჩხუბა. „ვარჯიშზე ყველასთვის მოულოდნელად შიმუნიჩმა და კლასნიჩმა ჩხუბი დაიწყეს. შემდეგ მათკენ გაემართა რობერ კოვაჩი. ყველას ეგონა, რომ ის მოჩხუბრების გაშველებას აპირებდა, მაგრამ მოხდა საპირისპირო: კოვაჩმა შიმუნიჩის მხარე დაიჭირა. ბოლოს და ბოლოს, საქმეში მწვრთნელი ჩაერია და მოჩხუბრების დაშოშმინება შეძლო“, - ნათქვამია ხორვატიის ნაკრების პრესსამსახურის განცხადებაში.

## ეს მართონია და არა სპრინტი

ჯერჯერობით რონალდინიოს თამაშით ალბათ კმაყოფილი ვერავინ იქნება, თუმცა თავად ფეხბურთელს მიაჩნია, რომ მთავარი ბრძოლები წინაა და ბრაზილიის ნაკრები მასთან ერთად პლეი-ოფების ეტაპზე აჩვენებს საუკეთესო ფეხბურთს. „მსოფლიო ჩემპიონატი მართაონია და არა სპრინტი. ჩვენ ყოველ შეხვედრაში უკეთ ვთამაშობთ და გადამწყვეტი მატჩებისთვის ფორმის პიკზე ვიქნებით“, - აცხადებს რონალდინიო.

## განამ მოიბოდიშა

განას ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად მოიბოდიშა ჩეხეთთან გამართულის მატჩის შემდეგ მომხდარი ინციდენტისთვის, როცა აფრიკელმა მცველმა ჯონ პეინტსილმა მოედანს ისრაელის დროშით ხელში შემოურბინა.

პეინტსილამ, რომელიც ისრაელის „ჰაპოელის“ ღირსებას იცავს, ამ ჟესტით სტადიონზე მყოფი თავისი კლუბის გულშემატკივრების მიმართ გამოხატა მადლიერება.

„გვინდა მოვიბოდიშოთ და ყველა დავარწმუნოთ, რომ ანალოგიური რამ აღარ განმეორდება. პეინტსილმა ეს თავისდაუნებურად გააკეთა, რადგან საერთაშორისო პოლიტიკაში საერთოდ ვერ ერკვევა, ვერ განსაზღვრა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის ასეთ საქციელს. არაბების შეურაცხყოფა ნამდვილად არ ჰქონია მიზნად“, - ნათქვამია განას ხელმძღვანელთა განცხადებაში.

## არაბი ფეხბურთელები დაჯილდოვნენ

საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის პირველი გუნდის თითოეული მოთამაშე 100 ათასი რეალით (26 670 დოლარი) დააჯილდოვა. ფეხბურთელებმა ჯილდო დაიმსხურეს მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ტუნისის ნაკრებთან ფრედ დასრულებული შეხვედრის გამო.

„კმაყოფილები ვართ გუნდის მიერ ტუნისთან მიღწეული შედეგით. ანგარიშიც სავსებით დამაკმაყოფილებელია ჩვენთავის“, - განაცხადა საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში ნაკრების ფეხბურთელები 600 ათას რეალს მიიღებენ პრემიის სახით.

# შარვალჩახდილი ჰოლანდიელები ლუდის სამსახურში

*რატომაა, რომ ასობით ჰოლანდიელმა გულშემატკივარმა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩს შარვალჩახდილმა უყურა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მაღალჩინოსნებს მოუხდათ.*

ნარინჯისფერი ფორმით შემოსილი ათასამდე ჰოლანდიელი გულშემატკივარი კოტ-დ`ივუარის წინააღმდეგ საკუთარი გუნდის საქომაგოდ შტუტგარტში ჩავიდა. პრობლემაც სწორედ აქ წარმოიშვა: ფანებს შარვლები დამშვენებული ჰქონდათ ერთ-ერთი ცნობილი ჰოლანდიური ლუდსახარშის ლოგოტიპებით. გერმანიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ერთადერთ ლუდის კომპანიას აქვს რეკლამირების უფლება - ჩემპიონატის ოფიციალურ სპონსორს. ასე რომ, ჰოლანდიელ გულშემატკივრებს ფირმის ლოგოტიპებით დამშვენებული შარვლებით სტადიონზე შესვლაზე უარი უთხრეს. ჰოლანდიელებსაც ბევრი არ უფიქრიათ და მატჩზე დასასწრებად ორიგინალურ ხერხს მიმართეს: შარვლები ჩაიხადეს და საცვლების ამარა შეუდგნენ საყვარელი გუნდის ქომაგობას.

ამასობაში ფიფას მამებმა განაცხადეს, რომ მათთვის მიუღებელია ჰოლანდიური კომპანიის „პარტიზანული



ჰოლანდიელი ფანები.

რეკლამირების“ მცდელობა.

„რა თქმა უნდა, ფიფას არა აქვს უფლება ცალკეულ გულშემატკივარს მიუთითოს იმაზე, თუ რა უნდა ჩაიცვას ამა თუ იმ მატჩზე, მაგრამ თუ ათასობით გულშემატკივარი კონკრეტული უნიფორმით მოდის, რომელიც, თავის მხრივ, რეკლამას უწევს ამა თუ იმ პროდუქციას და ის ტელევიზიითაც გამოჩნდება, ასეთ მცდელობას ჩვენ წინ აღვუდგებით, - მტკიცედ მოჭრა ფიფას საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორმა მარკუს ზიგლერმა, - ზუსტად ვერ ვიტყვი შტუტგარტში მომხდარის თაობაზე, მაგრამ, ეტყობა, ეს იყო მასობრივი პარტიზანული სარეკლამო კამპანიის ორგანიზებული მცდელობა“.

ჰოლანდიური ლუდის კომპანიის წარმომადგენლი პეერ სვინკელსი „როიტერთან“ ინტერვიუში განმარტავს, ასეთი ბრალდება სასაცილოდ მეჩვენებაო. ის, რომ ადამიანები აიძულო გაიხადონ ლედერხოზენები (ასე ეწოდება ტრადიციულ მოკლე ტყავის შარვლებს) ძალზე ექსტრემალური ზომააო.

„მესმის, რომ ფიფას ჰყავს სპონსორები, მაგრამ არ შეიძლება ადამიანებს ლედერხოზენების გახდა უბრძანო. ეს უკვე მეტისმეტია“.

- კიდევ კარგი, - დასძენს სვინკელსი, - გულშემატკივართა უმეტესობას საცვლებიც ნარინჯისფერი ეცვაო.

ჰოლანდიურმა ლუდის კომპანიამ ფიფა-ს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

15 უმსხვილესმა სპონსორმა მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს 50-50 მილიონი დოლარი გადაუხადა იმისთვის, რომ ჩემპიონატის ოფიციალურ პარტნიორად იწოდებოდეს.

პირველობის ოფიციალურ ღონისძიებებზე ლუდის რეკლამირების უფლება აქვს მხოლოდ Budweiser-ის მწარმოებელ ამერიკულ კომპანია Anheuser Busch. სხვათა შორის, ამერიკული კომპანიის ოფიციალურმა პარტნიორობამ გერმანიაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ბუნებრივიცაა: გერმანია საკუთარ თავს ხარისხიანი ლუდის სამშობლოდ თვლის.

# სესკ ფაბრეგასი - ახალგაზრდა დებიუტანტი

ესპანელი ნახევარმცველი სესკ ფაბრეგასი წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი გამოდგა უკრაინასთან ჩატარებული მატჩისას.

პირველი წარმატებული შეხვედრის შემდეგ (მოგეხსენებათ, ესპანეთმა უკრაინა 4:0 გაანადგურა), იგი დარწმუნებულია თავისი ნაკრების გამარჯვებაში, რომელიც, ფეხბურთელის აზრით, ტექნიკისა და სპორტული აგრესიის იდეალური შერწყმაა.

ფაბრეგასს ოდნავაც არ ადარდებს ჟურნალისტთა ნათქვამი. მედიის წარმომადგენლები მიიჩნევენ: მართალია, ესპანეთი ტექნიკურად ძლიერი გუნდია, მაგრამ სხვა ნაკრებებს ფიზიკურ მომზადებაში ჩამორჩება. ახალგაზრდა ესპანელის თქმით, „ბრაზილიის ნაკრების გარდა, წლევანდელ ტურნირზე სხვა, ტექნიკურად ძლიერი გუნდი არ ეგულება. სწორედ ტექნიკის ხარჯზე არის ბრაზილია ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი“.

მას არც ესპანეთის ნაკრების სამწუხარო ტრადიცია აღელვებს - ის, რომ აპენინელები მეოთხედფინალს ვეღარ აღწევენ თავს. მით უმეტეს, რომ შესაძლოა, წელს ბრაზილიას დაეჯახონ.

„ჩემი და ჩემი თანაგუნდელების ძალებში ბოლომდე დარწმუნებული ვარ.



თუმცა, ბრაზილიამ, ისევე როგორც ჩვენ, ჯერ მეოთხედფინალში გასვლაზე უნდა ვიზრუნოთ და მერე ნახევარფინალში გასვლა-არგასვლაზე“, - ამბობს 19 წლის ნახევარმცველი.

„გერმანიაში ჩვენს ნაკრებს გაცილებით მეტი შანსი აქვს, ვიდრე წინა მუნდიალებზე. ჩვენს გუნდს წლეულს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ რაც შეიძლება შორს წავიდეს“, - დაამატა ფაბრეგასმა.

რაც შეეხება კონკრეტულად მთავარი მწვრთნელის ლუის არაგონესის სათამაშო ტაქტიკას, სესკის აზრით, ის კარგად შერჩეულია ესპანეთის ნაკრებისთვის: „არაგონესი გამოცდილი მწვრთნელია. მან იცის, რას აკეთებს“.

ახალგაზრდა ნახევარმცველი გამოცდილი თანაგუნდელების რჩევებსაც ითვალისწინებს. ისინი ურჩევენ, რომ თამაშით მიღებული სიამოვნება საქმესაც შეუთავსოს. „თითოეული ჩვენგანი აქ იმის დასამტკიცებლად ვართ, რომ მწვრთნელი ჩვენს არჩევანში არ შემცდარა“.

ლონდონის „არსენალის“ ლეგიონერს არც რაულის ხსენება დავიწყებია, რომელსაც „ნაკრებისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვან ფიგურად“ მიიჩნევს.

„ის ჩვენი კაპიტანი და გამოცდილი მოთამაშეა, რომელიც ყოველთვის საჭირო მიმართულებით თამაშს გვაიძულებს. რაულს ნებისმიერი თამაშის შემობრუნება შეუძლია“, - სესკ ფაბრეგასი.

ჟურნალისტებთან საუბრისას ფაბრეგასი საკლუბო თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ „მეთოფეებიდან“ წასვლას არ აპირებს:

„არსენალთან“ კონტრაქტი კიდევ ხუთი წლით მაკავშირებს. ამ კლუბში ბედნიერი ვარ და არც მიფიქრია იმაზე, რომ „მეთოფეთა“ მაისურას სხვა გუნდისაზე გავცვლი“.

# დროშები, დროშები, დროშები ჩქარა

*ერთხანს შავ-წითელ-ოქროსფერი ქსოვილი არცთუ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ახლა, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, სამფერა ქსოვილზე მოთხოვნილება საგრძნობლად გაიზარდა. მსუბუქი მრეწველობის დარგი, რომელიც სახელმწიფო სიმბოლიკის ატრიბუტიკის წარმოებითაა დაკავებული, აღმავლობის გზაზეა. ერთი სიტყვით, გერმანიის სახელმწიფო დროშაზე ისტერიული მოთხოვნილებაა.*

გერმანიის ეროვნული ნაკრების გულშემატკივრებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ - ქვეყანაში სახელმწიფო დროშის საკმარისი მარაგია. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე სხვა ქვეყანათა დროშებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამაზე მიუთითებს გამოკითხვის შედეგები, რომელიც ჩაატარა გერმანულმა საინფორმაციო სააგენტო dpa.

დღოშების ირგვლივ შექმნილი ეიფორიის მიუხედავად, რომელიც, რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში შეინიშნება, მსუბუქი მრეწველობის დარგი ოპტიმისტურ პროგნოზებს აკეთებს. უფრო სწორად, გულშემატკივრებს ამშვიდებს: „სხვადასხვა ზომის გერმანიის დროშების შესაკერად კიდევ საკმარისი მასალა გვაქვს, რომლისგანაც არაერთ ასეულ დროშას შევქმნით“.

თუმცა, ბევრ მაღაზიაში დროშები გამოელიათ. მაღაზიის გამყიდველები ამბობენ: დროშები ისე იყიდება, როგორც ცხელი ფუნთუშები. მოთხოვნილება უზარმაზარია და მარაგიც ამოგვეწურაო. მაღაზიის მეპატრონეებს მსუბუქი მრეწველობიდან ანუგეშებენ, დეფიციტს მალე აღმოვფხვრითო.

შტუტგარტის ერთმა ფაბრიკამ, რომელიც დროშების კერვითაა დაკავებული, ჩემპიონატის მიჯნაზე ასობით ათასი დროშა გაყიდა. გაყიდულ პროდუქციაში, რა თქმა უნდა, გერმანიის სახელმწიფო სიმბოლიკის ატრიბუტიკა ლიდერობდა.

დიდი მოთხოვნილებაა იტალიის, ხორვატიის, ბრაზილიისა და შვეიცარიის დროშებზეც.

მაგალითად, მაისში გაყიდული დროშების რაოდენობა მხოლოდ ერთი მსხვილი საწარმოსთვის ჰამბურგში, წინა წელთან შედარებით, 50 პროცენტით გაიზარდა.

განსაკუთრებული მოთხოვნილებით სარგებლობს საავტომობილო ალმები, ასევე დროშები 1X1,5მ. ზომით. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოთა დროშებს, მათი გაყიდვა იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი ქვეყნის გულშემატკივრები ჩადიან ქალაქში. მაგალითად, კვირას კიოლნში ანგოლის დროშების დეფიციტი იგრძნობოდა. დიუსელდორფში იაპონელ ქომაგთა მოზღვავების გამო მაღაზიები მალე დაცარიელდა ამომავალი მზის ქვეყნის სახელმწიფო ატრიბუტიკისგან.

დიუსელდორფის ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის განყოფილების ხელმძღვანელი შეშფოთებულია: „არანორმალური სიტუაციაა. გაყიდვათა მოცულობა ათასი პროცენტით გაიზარდა“.

თუ ადრე ძირითადად შორეული აღმოსავლეთის საქონელი იყიდებოდა, ახლა დღის წესრიგში ესაა: სად ვიშოვოთ დროშა.

ვუპერტალის დროშების მწარმოებელ ფაბრიკაში, სავაჭრო დარბაზის წინ, ბრბო შეგროვდა.

„რა თქმა უნდა, გერმანიის დროშები უკეთ იყიდება, მაგრამ საოცრად კარგად იყიდება ეგზოტიკური ქვეყნების დროშები. ტრინიდადი და ტობაგოს დროშები ფაქტობრივად მთლიანად გაიყიდა“, - ამბობს მაღაზიის საქმეთა მმართველი.

# უეიდი ჩემპიონობისკენ მიდის

NBA-ს ფინალში დუეინ ვეიდი სასწაულებს ახდენს. შეიძლება ითქვას, რომ ეს კალათბურთელი მარტო უგებს ფინალურ სერიას „დალასს“. მას შემდეგ, რაც ფინალური სერიის პირველი ორი მატჩი დალასელმა კალათბურთელებმა მოიგეს, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს გუნდი იოლად მოიპოვებდა ჩემპიონის ტიტულს, თუმცა მომდევნო სამ მატჩს მაიამი მასპინძლობდა და სამივე დუეინ უეიდმა მოიგო. ორშაბათს, გამთენიისას, ფინალური სერიის მეხუთე და ყველაზე დრამატული მატჩი გაიმართა. შეხვედრის დასრულებამდე 1,9 წამით ადრე „დალასი“ იგებდა, თუმცა, ვეიდის ზუსტი საჯარიმოს შემდეგ ანგარიში გათანაბრდა და გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა ხუთწუთიანი დამატებითი ტაიმი, რომელშიც მასპინძლებს გაუმართლათ. მატჩი დასრულდა მაიამელთა გამარჯვებით - 101:100.

დუიენ უეიდმა თავის გუნდს 43 ქულა შესძინა, 4-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და 4 შედეგიანი გადაცემაც გააკეთა. აღსანიშნავია, რომ ფინალური



„დალასმა“ უეიდი კვლავ ვერ შეაჩერა

სერიის მესამე მატჩში ვეიდმა კარიერის რეკორდი დაამყარა და შეხვედრა 41 ქულით დაასრულა. ამჯერად მაიამელთა ლიდერმა საკუთარი შედეგი გააუმჯობესა.

ურიგოდ არც შაკილ ო`ნილს უთამაშია. მის ანგარიშზე 18 ქულა და 12 ფარიდან მოხსნილი ბურთია, თუმცა, საჯარიმოების ტყორცნისას შაკილმა კვლავაც დააღალატა გუნდი - მასპინძელთა ცენტრმა 12 საჯარიმოდან მხოლოდ ორი ტყორცნა ზუსტად.

სტუმართა გუნდში კი საუკეთესო იყო ჯეისონ ტერი. მის ანგარიშზე 35 ქულა და 5 ფარიდან მოხსნილი ბურთია. დირკ ნოვიცკიმ 20 ქულით დაასრულა შეხვედრა, ჯოშუა ჰოვარდმა კი 25 ქულა შესძინა გუნდს.

მოკლედ, ხუთი მატჩის შემდეგ სერიაში „მაიამი“ ლიდერობს ანგარიშით 3:2. თუმცა, ეს ჯერ საბოლოო გამარჯვება არ არის. დარჩენილ ორ მატჩს დალასი უმასპინძლებს და ნოვიცკისა და მის თანაგუნდელებს ჩემპიონობის საკმაოდ რეალური შანსი აქვთ.

## ინფოთეკა

### ავსტრალია მუნდიალის მასპინძლობისთვის იბრძვის

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰოვარდი მხარს უჭერს ქვეყანაში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის გამართვას.

„ვფიქრობ, ჩვენ შეგვწევს ნებისმიერი დონის ტურნირის მასპინძლობისა და ორგანიზების ძალა. ეს ჯერ კიდევ მელბურნში 1956 წელს და 2000 წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე დავამტკიცეთ. მელბურნმა ცოტა ხნის წინ რაგბის მსოფლიო ჩემპიონატსაც წარმატებით უმასპინძლა“, - განაცხადა ჯონ ჰოვარდმა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში ჩატარდება.

### ფრანგებს მოგებაში მინდორი უშლით ხელს

მსოფლიო ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების არადამაკმაყოფილებელ ასპარეზობაში ფრანგი სპეციალისტები საფეხბურთო გაზონს ადანაშაულებენ. მათი აზრით, გაზონი ძალიან მშრალია.

მუნდიალის ორგანიზატორთა მიერ დადგენილი ინსტრუქციით, გაზონი მატჩის დაწყებამდე ხუთი საათით ადრე უნდა მორწყას. თუმცა, გერმანიაში იმდენად ცხელა, რომ მატჩის დაწყებისთვის გაზონი უკვე გამომშრალია. პირველი, ვინც ამას მიაქცია ყურადღება, სამფეროვანთა თავკაცი რაიმონ დომენეკი იყო.

„გაზონის სიმშრალის გამო თავდამსხმელთა დარტყმები იშლებოდა“, - განაცხადა მან. გაზეთ „მონდის“ მტკიცებით, გაზონით ფრანგებზე უფრო უკმაყოფილოა ჰოლანდიის ნაკრები. თავის მხრივ, ფიფას ტურნირის ორგანიზატორებს ინსტრუქციის დარღვევისა და გაზონის უფრო ხშირად მორწყვისკენ მოუწოდა.

### „ნიუკასლი“ იყიდება

ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედის“ ერთ-ერთმა უმსხვილესმა აქციონერმა სერ ჯონ ჰელმ კლუბის აქციების გაყიდვა გადაწყვიტა. ჰელი, რომელმაც „ნიუკასლის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი 1991 წელს შეიძინა, 1997 წელს კლუბის მმართველობიდან გადადგა, თუმცა დღემდე აქციების მესამედის მფლობელია.

ბრიტანული პრესის ცნობით, აქციების შეძენის სურვილს ერთ-ერთი ამერიკული კომპანია გამოთქვამს, თუმცა კონკრეტულად რომელი, ჯერჯერობით არ სახელდება.

### ბელამით „ლივერპული“ დაინტერესდა

ინგლისური „დეილი მეილის“ ცნობით, უელსის ნაკრებისა და პრემიერლიგის „ბლექბერნის“ თავდამსხმელით კრეიგი ბელამით „ლივერპული“ ინტერესდება.

მერსისაიდული კლუბი მზად არის უელსელის სანაცვლოდ 6 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადოს. კრეიგი ბელამის თავისთან ხილვის სურვილი გამოთქვა კიდევ ერთმა პრემიერლიგურმა კლუბმა - ეს „მანჩესტერ იუნაიტედია“.

### „პალერმოს“ ბონაცოლი უნდა

სიცილიური საფეხბურთო კლუბი „პალერმო“ ემილიანო ბონაცოლის შეძენის სურვილს გამოთქვამს. კონტრაქტის თანახმად, ბონაცოლი შოტლანდიურ „რეინჯერსს“ ეკუთვნის, თუმცა წლევანდელი სეზონი იჯარით სერია ა-ს „სამპდორიაში“ ჩაატარა. აპენინური პრესის ცნობით, მას მერე, რაც გენუის კლუბმა კრისტიან ვიერი შეიძინა, ბონაცოლის „პალერმოში“ გადასვლაზე უარს აღარ იტყვის.

### „პორტსმუთი“ ძლიერდება

ინგლისურმა „პორტსმუთმა“ სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია რუმინული „სტიაუას“ კაპიტნის მირელ რედოიასა და „ლანსის“ თავდამსხმელის ოლივიე ტომერის თავისთან გადაბირებაზე.

ბი ბი სი-ს ინფორმაციით, „პორტსმუთის“ ხელმძღვანელობა რუმინელის სანაცვლოდ 7, ფრანგ ფეხბურთელში კი 10 მილიონ ფუნტ სტერლინგს გადაიხდის. ზემოხსენებული ორი ფეხბურთელის გარდა ჰარი რედნაპის გუნდს „ტულუზას“ კამერუნელი მცველის ეშილ ემანის შეძენაც სურს.

### ნევილი არ ითამაშებს

ინგლისის ნაკრების მცველი გარი ნევილი შვედეთთან დღევანდელ მატჩში ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. „სამწუხაროდ, ნევილი შვედებთან ვერ დაგვეხმარება. ვიმედოვნებთ, რომ მერვედფინალში მაინც შემოგვიერთდება, თუმცა, დარწმუნებული არ ვარ“, - განაცხადა ინგლისელთა თავკაცმა შვედმა სვენ-გორან ერიქსონმა.

### პირველი საუკეთესო წყვილი

გერმანიაში ჩატარებული გამოკითხვების შედეგად გაირკვა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატს 26 პროცენტით მეტი ტელემაყურებელი ადევნებს თვალს, ვიდრე კორეა-იაპონიის 2002 წლის მუნდიალს. გამოკითხვა ერთდროულად 23 ქვეყანაში ჩატარდა და გაირკვა, რომ ჩემპიონატის მატჩები გულშემატკივრისთვის ხელსაყრელ დროს იმართება. გამოცემა „ბილდის“ ცნობით, პირველი ხუთი დღის განმავლობაში ჩატარებული მატჩების მიხედვით, პირველი ადგილი ბრაზილია-ხორვატიის მატჩმა დაიკავა, რომელსაც საშუალოდ 60 მილიონმა ადამიანმა მიადევნა თვალი.

მეორე ადგილზე გავიდა იტალია-განას შეხვედრა, რომელსაც 59 მილიონმა ქომაგმა უყურა. მესამე ადგილი გერმანია-კოსტა რიკის მატჩს ხვდა წილად (50 მილიონი).

### მსაჯების ვინაობა გაცხადდა

ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა იმ არბიტრთა ვინაობა, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ხვალინდელ მატჩებს უმსაჯებენ.

„როიტერის“ ცნობით, ჰოლანდია-არგენტინის შეხვედრას ესპანელი მსაჯი ლუის მედინა კანტალეხო უმსაჯებს, კოტ დ`ივუარი-სერბეთს - მექსიკელი არბიტრი მარკო როდრიგესი მოემსახურება. პორტუგალია-მექსიკას - სლოვაკი ლუბოშ მიჰელი, ხოლო ირან-ანგოლას ავსტრალიელი მარკ შილდი უმსაჯებს.

# აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი - კომპიუტერული ტექნიკა.
დაფინანსების წყარო - სპეცსახსრები.
კომპიუტერების კონფიგურაცია

| № | დასახელება | ტექნიკური მახასიათებელი | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1. | პერსონალური კომპიუტერი | P4LGA 775 / Celeron 2.5 / HDD 40 GB / RAM 256 Mb / SVGA 64 Mb / CD+RW+DVD / FDD / Mouse optical / Keyboard / Monitor 17" | 80 |
| 2. | პერსონალური კომპიუტერი | P4 LGA 775 / P IV 3.OE / HDD 120 GB / Ram 2*512 Mb / SVGA 256 Mb / CD+RW / DVD / FDD / Mouse optikal / Keyboard / Monitor 17" | 20 |
| 3. | საბეჭდი მოწყობილობა | LaserJet / A4 30ppm 1200 dpi | 40 |
| 4. | უწყვეტი დენის წყარო | 1000 VA / 230 V | 50 |
| 5. | ასლგადამღები | 16ppm A4/A3zoom 50-20 10000p/month | 10 |
| 6. | დენის გამმართველი | 1 კვტ | 30 |

1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის წინაშე, გაუწიოს მის მიერ მიწოდებულ ტექნიკას და აქსესუარებს საგარანტიო მომსახურება ერთი წლის ვადით.

2. საგარანტიო მომსახურება ხორციელდება შემსყიდველის ტერიტორიაზე მიმწოდებლის მიერ მივლინებული სპეციალისტის მიერ.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:
იურიდიული პირისათვის:
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (საჯარო რეესტრიდან);
- ცნობა, რომ ბიუჯეტის მიმართ არ არის დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობა, მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტები.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: ქუთაისი თამარ მეფის №59 მე-3 კორპუსი კაბ. № 112 სახელმწიფო შესყიდვების სექტორი. 2006 წლის 6 ივლისის 13 საათამდე.

წარმოდგენილი საკვალიფიკაციო და სატენდერო წინადადებების პაკეტის გახსნა მოხდება 2006 წლის 6 ივლისს 14 საათზე მისამართზე: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი კორპუსი, "მწვანე დარბაზი".

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში ვერ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ცნობებს.

დაინტერესებულმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი "თი-ბი-სი" ბანკის ქუთაისის განყოფილება ანგ. № 340801002 ს/კ 212693049 ბანკის კოდი 220101888.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებიდან:
1. სატენდერო კომისიის თავმჯდომარე სოხაძე ზაზა ტ. 4-53-45
2. ფოფხაძე გოგი ტ. 4-31-85
3. შენგელია ოთარი ტ. 4-66-27

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისი თამარ მეფის №59. ტ. 8231 4-48-29, 8231 4-31-85, 8231 4-53-45.

სატენდერო კომისია

# აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი:
ბიბლიოთეკის შენობის ფუნდამენტის გამაგრება და რეაბილიტაცია.
დაფინანსების წყარო.
ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:
საამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეს შემდეგი სახის ლიცენზია:
საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.
იურიდიული პირისათვის:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (საჯარო რეესტრიდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).
ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა ქმედითუნარიანობაზე (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან).
როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, ლარებში.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: ქუთაისი სამარ მეფის №59 მე-3 კორპუსი კაბ. №112 სახელმწიფო შესყიდვების სექტორი, 2006 წლის 6 ივლისის 13 საათამდე.

წარმოდგენილი საკვალიფიკაციო და სატენდერო წინადადებების პაკეტის გახსნა მოხდება 2006 წლის 6 ივლისს 14 საათზე მისამართზე: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი კორპუსი, "მწვანე დარბაზი".

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში ვერ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ცნობებს.

დაინტერესებულმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი "თი-ბი-სი" ბანკის ქუთაისის განყოფილება ანგ. № 340801002 ს/კ 212693049 ბანკის კოდი 220101888.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:
1. სატენდერო კომისიის თავმჯდომარე სოხაძე ზაზა ტ. 4-53-45
2. ფოფხაძე გოგი ტ. 4-31-85
3. შენგელია ოთარი ტ. 4-66-27

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისი თამარ მეფის №59. ტ. 8231 4-48-29, 8231 4-31-85, 8231 4-53-45.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე: თემა - **" კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია - გამოცემები"**

**ლოტი 1.** - "უბისას ეკლესიის ხატები და კედლის მხატვრობა -XIVს"

**ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულებისა და ჩაბარების საბოლოო ვადაა 2006 წლის 30 სექტემბერი**

ტექნიკური დავალების პირობებისა და წარმოდგენილი ვადების ფარგლებში შემსრულებელმა საბოლოო პროდუქციის სახით დამკვეთს უნდა გადასცეს:

მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი წიგნები **- 500 ეგზემპლარი**

ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სამუშაოების ცალკეული ნაწილების შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მიერ. მათი მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირებისათვის**
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

**როგორც იურიდიული,**
**ისე ფიზიკური პირებისათვის:**
- უნდა გააჩნდეს სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება (ინფორმაცია ყველა მონაწილის, მათ შორის ძირითად თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ);
- შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი ბოლო 5 წლის მანძილზე;
- ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;
- ხარჯთაღრიცხვა მთლიანი და სამუშაოთა სახეობების მიხედვით;
- სამუშაოს კალენდარული გეგმა-გრაფიკი (სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, აგრეთვე, შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისთვის შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);
- ადრე შესრულებული ბეჭდური პროდუქციის ხარისხი (ნიმუშების წარმოდგენით);
ასევე, სხვა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის წარმომდგენი.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე, შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220 101 107 ანგარიშის ნომერზე N 200122900.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღება იწარმოებს 2006 წლის **11 ივლისიდან 14 ივლისამდე 17 საათამდე** სატენდერო მოსაკრებლის - 200 ლარის - გადახდის შემდეგ,

განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ერთად, ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ორი - ქსეროასლის სახით) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სანაპიროს ქ. N4, IV სართული, ოთახი 405.

დაგვიანებით შემოსული განაცხადები, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

სატენდერო წინადადების ვადა განსაზღვრული უნდა იყოს მინიმუმ 2006 წლის **?25 აგვისტომდე.**

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდე.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ვერა შანიძეს, ინგა ქარაია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.**

ტელეფონები: 990 285, 995 006. 999 196, 932 188

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმის გოგოლის ქუჩის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ნოებრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსერო ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 ივლისიდან 2006 წლის 11 ივლისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან), ხოლო ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდინარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 10 ივლისის 16 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6**. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში ქ. ბათუმში ერასა (N86 და N86ა) და შ. ხიმშიაშვილის (N15, N17, N21, N23, N33, N35) ქუჩებზე არსებული შენობების ფასადების აღდგენა-შეღებვითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსერო ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 ივლისიდან 2006 წლის 11 ივლისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან),

ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

გ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 10 ივლისის 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6**. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. მცხეთის რაიონის გამგეობა ს/კ 236033234, ბანკი: "სახალხო ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი, კოდი: 220101415, ა/ა 33030001, მისამართი: ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის 73, ატარებს ტენდერს ქ. მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური და შიდა გზების მოასფალტების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 10 ივლისის 12 საათიდან 12 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის 73.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებულს;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ინფორმაციას სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება).

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო დოკუმენტაცია) ქართულ ენაზე გაიცემა 20 ივნისის 12 საათიდან 9 ივლისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის 73.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი პაპაშვილი. ტელ.: (8 27 32) 27 27.

**სატენდერო კომისია**

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება სასრგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი – – სოფ. ლიაში მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 019 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 004 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 50 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**II ობიექტი – მდ. არაგვის კალაპოტში ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3756 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1252 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 60 000 მ3 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**III ობიექტი – ზუგდიდის რაიონში, სოფ. კოკის ტერიტორიაზე მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 878 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>376 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის მოცულობა | 30 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**IV ობიექტი – მდ. არაგვის მარცხენა ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 382 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>876 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 70 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**V ობიექტი – თერჯოლის რაიონი, გოდოგანის ტერიტორიაზე კირქვის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 22 520 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>4 504ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის (სახერხი ქვები) ჯამური მოცულობა | 20 000 მ³ |
| (საცემენტე ნედლეული) ჯამური მოცულობა | 414 000 ტ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა მოცულობა | 20 წელი |

**VI ობიექტი – ცაგერის რაიონი, მდ. ღოღურაშის მარჯვენა ნაპირზე დიაბაზის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 259 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 252 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი იდიაბაზის ჯამური მოცულობა | 20 000 მ3 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

| | |
|---|---|
| **სალიცენზიო მოსაკრებელი შეადგენს 900 ლარს** | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 275760<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 20 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 19 ივლისს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს **„ბე"-ს** შემოტანის ქვითარი | **„ბე"-ს** გადახდის ანგარიში-მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| **აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# საერთაშორისო განათლების ცენტრი
## CENTER FOR INTERNATIONAL EDUCATION

www.cie.ge
ქ. თბილისი 0108, ჭოველიძის ქ. 10. ტ.: 252615, 250463 ფ.: 252615 ელ.ფისტა: cie@osgf.ge
10 Chovelidze st., Tbilisi 0108, Georgia. T.: +995 32 252615, 250463 F: +995 32 252615 E-mail: cie@osgf.ge

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სარესურსო ცენტრი (CRC) აცხადებს კონკურსს 2006 წლის შემოდგომაზე ერთკვირიან სესიებში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსში გამარჯვებულთათვის გათვალისწინებულია ვიზიტი უნივერსიტეტში, სადაც საშუალება მიეცემათ დაამუშავონ სასწავლო პროგრამა, ისარგებლონ ბიბლიოთეკით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ასწავლიდეს უმაღლეს სასწავლებელში სოციალურ ან ჰუმანიტარულ დისციპლინას, ამზადებდეს ახალ სასწავლო კურსს ან სრულყოფდეს არსებულს
- ფლობდეს ინგლისურ ენას
- წარმოადგინოს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი

*http://www.ceu.hu/crc/*

2006 წლის შემოდგომისთვის ჩატარდება შემდეგი სესიები:

**- ღია სახლის სესიები (Open House Sessions):**

**სოციოლოგია:** 9 - 13 ოქტომბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 5 სექტემბერი 2006)**

**გარემოსდაცვითი მეცნიერებები:** 16 - 20 ოქტომბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 15 სექტემბერი 2006)**

**ფილოსოფია:** 20 - 24 ნოემბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 15 ოქტომბერი 2006)**

**სამართალი:** 27 ნოემბერი - 1 დეკემბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 15 ოქტომბერი 2006)**

**- ინოვაციური კურსები:**
**ღია საზოგადოების არქივები და ისტორია:** 4 - 11 ნოემბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 1 ოქტომბერი 2006)**
*(1956 რევოლუცია პერსპექტივაში)*

**მედიაველისტიკა:** 16 - 22 სექტემბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 11 აგვისტო 2006)**
*(რომი, ადრეული შუასაუკუნეები - მემკვიდრეობითობა და გარდატეხა)*

**გენდერული სწავლებანი:** 13 - 17 ნოემბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 6 ოქტომბერი 2006)**
*(გენდერი და პოსტსახელმწიფოებრივი სოციალიზმი)*

*სესიების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის, საგანაცხადო ფორმებისა და კონსულტაციებისათვის, მიმართეთ საერთაშორისო განათლების ცენტრის ოფისს, შემდეგ მისამართზე: ჭოველიძის ქ. 10,*
*ტელ: 25 26 15; ან ეწვიეთ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდს:* ***http://www.ceu.hu/crc/***

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2006 წლის 8 ივნისს გაზეთ "24 საათში" N125 (1277) გამოქვეყნებულ საკონკურსო განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გამოქვეყნებული განცხადების მე-2 და მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. კონკურსში მონაწილეობის მსურველების განაცხადების მიღება დაიწყება 5 ივნისს და დამთავრდება 27 ივნისს 14 საათზე. საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10-დან 18 საათამდე, სოფლის მეურნების სამინისტროში, მისამართზე: "თბილისი, მ. კოსტავას N41. საკონტაქტო ტელეფონებია: 93-55-02 ან 898-14-46-76."

"3. კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 27 ივნისს 16 საათზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონფერენციო ოთახში, მე-4 სართულზე."

## ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს
## განცხადება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ღია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენისა და მასთან ხელშეკრულების დადების თაობაზე

ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ ა/წლის 4 მარტს გაზეთ "24 საათში" გამოცხადებულ ღია ტენდერში შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოსა და მის დანაყოფებზე კუთვნილი ავტოტრანსპორტის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გამარჯვებულად გამოცხადდა და სახელმწიფო შესყიდვეზა ხელშეკრულება დაიდო ი/მ "თომა გოშუა"-სთან.

## ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს
## განცხადება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ღია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენისა და მასთან ხელშეკრულების დადების თაობაზე

ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ ა/წლის 9 მაისს გაზეთ "24 საათში" გამოცხადებულ ღია ტენდერში შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს შენობაში ორი ახალი რუსული ლიფტის შეძენა-დამონტაჟებასთან დაკავშირებით გამარჯვებულად გამოცხადდა სს "თბილხელსაწყო".

## ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს
## განცხადება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ღია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენისა და მასთან ხელშეკრულების დადების თაობაზე

